

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი

ეთნიკური მრავალფეროვნება
და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში



თბილისი
2003

ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი: ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში – გია ნოდია საერთო რედაქციით. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2003

გამოცემულია დემოკრატიის ეროვნული ფონდის (აშშ) და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ევროპული ინიციატივის დახმარებით

© მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ISBN 99928-37-63-2

One Society, Many Ethnicities: Ethnic Diversity And Civic Integration In Georgia – Ghia Nodia (ed.), Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 2003

© Caucasus Institute for Peace, Democracy and Development

Published with the support of the National Endowment for Democracy (USA) and the European Initiative for Democracy and Human Rights

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163
ვებ გვერდი: <http://www.cipdd.org>

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

1. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში 9
არარატ ესოიანი 12
დავით ზურაბიშვილი 17
ალექსანდრ ნალბანდოვი 24
გაგა ნიჟარაძე 33
გურამ სვანიძე 39
ივლიანე ხაინდრავა 47
გიორგი ხუციშვილი 56

2. სიტუაციის ანალიზი და რეკომენდაციები

გია ნოდია. საქართველოს მრავალეთნოსურობა: ფაქტი, მასთან
მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის 61
არნოლდ სტეპანიანი, ზაურ ხალილოვი. ეთნიკური უმცირესობების
მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში 97
არნოლდ სტეპანიანი, აგიტ მირზოევი. ეროვნულ უმცირესობათა
ენებზე განათლება საქართველოში 124

3. დანართი

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის
პოლიტიკის კონცეფცია 135
განმარტებითი ბარათი საქართველოში ეროვნული უმცირესობების
ინტეგრაციის
პოლიტიკის კონცეფციის პროექტზე 147

წინასიტყვაობა

ინტერეთნიკური ურთიერთობები და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხებია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ამ საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას არავინ უარყოფს, მასზე მსჯელობა და დებატები, პრაქტიკულად, არ ეწყობა და საკითხი საზოგადოების ყურადღებისა და პოლიტიკური ინტერესების მიღმა რჩება. ეს შესაძლებელია იმითაც აიხსნას, რომ ყურადღება გაცილებით უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე მახვილდება, კერძოდ – სამთავრობო კრიზისზე, რომელმაც მოიტანა 2003 წლის ნოემბერის, მართალია, უსისხლო, მაგრამ მაინც რევოლუცია. მეორე მხრივ, ბევრი აღიარებს ამ პრობლემების ობიექტურ მნიშვნელობას, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს ზედმეტად მგრძნობიარე საკითხებია იმისათვის, რომ მოეწყოს მათი საჯარო განხილვა – განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, რომელსაც უკვე აქვს 1990-იან წლების ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების გამოცდილება, და ამ კონფლიქტების დამანგრეველი შედეგები ჯერ კიდევ სახეზეა.

მიუხედავად ყველაფრისა, ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება. ამ გამოცემის მიზანი არ არის ერთიანი სტრატეგიის წარმოჩენა, თუმცა მასში შესულია როგორც სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი, ისე კონკრეტული რეკომენდაციები. მთავარი მიზანია საქართველოში ეთნიკურ პრობლემასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დისკურსის დაფიქსირება. გამოცემას არ აქვს პრეტენზია იმაზე, რომ იგი ამ მიმართულებასაც სრულყოფილად მოიცავს – წარმოდგენილია მხოლოდ მათი შეხედულებები, ვინც მეტ-ნაკლებად სისტემატიურად ამხვილებს ყურადღებას ამ პრობლემაზე და განიხილავს მას დემოკრატიულ პრინციპებთან კავშირში.

გამოცემა სამი ნაწილისგან შედგება. პირველში მოცემულია მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2003 წელს ჩატარებული ექსპერტული გამოკითხვა. მეორეში გადმოცემულია კონცეპტუალური მონახაზები, რომლებშიც ჩართულია კონკრეტული პოლიტიკური რეკომენდაციებიც. მესამე ნაწილში მოცემულია საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფციის პროექტი და მისი განმარტებითი ნაწილი. ეს კონცეფცია მოამზადა საქართ-

ველოს სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა. იგი განხილული იყო არა მარტო კომიტეტის სხდომაზე, არამედ მოეწყო საჯარო დებატებიც (მისი განხილვის ორგანიზება უზრუნველყო მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმაც). მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ პროექტის სახით არსებობს და მისი მომავალი ბედი უცნობია, ეს არის ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ფორმულირების მეტ-ნაკლებად კარგად დამუშავებული მცდელობა.

გამოცემაში გამოყენებული მასალების უმრავლესობა მომზადებულია 2003 წლის ნოემბრამდე, ანუ მისი გამოცემისგან პრინციპულად განსხვავებული პოლიტიკური სიტუაციის დროს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ რევოლუციური ცვლილებები ქართულ პოლიტიკაში არ შეხებია ეთნიკური უმცირესობების პრობლემას. პრობლემები, რომლებიც გამოცემაშია აღწერილი, ასევე აქ წარმოდგენილი შეფასებები და რეკომენდაციები, არა ნაკლებ აქტუალურია დღეს, ვიდრე ეს „გვიანი შევარდნაძის“ პერიოდში იყო.

მასალების მომზადებას და გამოცემას ფინანსურად უზრუნველყოფს დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი (აშშ).

1. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში

ეთნიკური უმცირესობები საქართველოში

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი ეთნოვითნობით წამყვან ექსპერტებს ეთნიკური პრობლემებისა და საჯარო პოლიტიკის დარგში, გამოთქვით თქვენი აზრი საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებთან დაკავშირებით. წინამდებარე კითხვარს საორიენტაციო ან შეხსენების ფუნქცია აქვს: ექსპერტებს შეუძლიათ ცალ-ცალკე გასცენ პასუხი თითოეულ შეკითხვას ან შექმნან ერთიანი ტექსტი, რომელიც ჩამოთვლილ პრობლემებს უპასუხებს. უკანასკნელ შემთხვევაში სასურველია, ტექსტი ყველა ჩამოთვლილ შეკითხვას სცემდეს პასუხს და არა მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. მეორე მხრივ, კითხვარი არ ზღუდავს ექსპერტებს წამოჭრან ის პრობლემები, რომლებიც კითხვარში დასახელებული არ არის, ან თუნდაც გააკრიტიკონ თვითონ კითხვარი.

კითხვარი შეგნებულად არიდებს თავს ე. წ. „გაყინული კონფლიქტების“ (აფხაზეთი და სამაჩაბლო/სამხრეთ ოსეთი) პრობლემატიკას. ეს უკანასკნელი იმდენად რთული და მტკივნეულია, რომ მათზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება დაჩრდილოს ეთნიკური პრობლემები საქართველოში იმ რეგიონებში, სადაც მათ მწვავე ხასიათი არ მიუღია. რეალური ვითარება პრობლემათა ამ ორი წყების მიმართ არსებითად განსხვავებულია: საქართველოს ხელისუფლებას დღეს ნაკლებად გააჩნია ბერკეტები, ქმედითი გავლენა მოახდინოს საქმის ვითარებაზე სეპარატისტულ რეგიონებში. ამიტომ ექსპერტებს ეთნოვითნობით, პასუხების გაცემისას მხედველობაში გქონდეთ ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილი, რაზეც სახელმწიფო რეალურ იურისდიქციას ინარჩუნებს.

ჩვენ ველოთ, რომ თქვენი პასუხების მოცულობა იქნება დაახლოებით 7-10 გვერდი (კითხვების ტექსტის გარეშე), თუმცა დასაშვებია, რომ ისინი რამდენადმე უფრო გრძელი ან მოკლე იყოს. პასუხები გამოქვეყნდება კავკასიური ინსტიტუტის მიერ წიგნის სახით (ქართულ, რუსულ და, სავარაუდოა, ასევე ინგლისურ ენებზე) და განთავსდება მის ვებ-გვერდზე.

1. ხედავთ თუ არა საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემებს ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობასთან დაკავშირებით, ხოლო თუ ხედავთ, რაში მდგომარეობს ისინი? უქმნის თუ არა ეთნიკურ უმცირესობათა არსებობა რაიმე (პოტენციურ თუ აქტუალურ) საფრთხეს საქართველოს? არსებობს თუ არა საფუძველი ახალი კონფლიქტებისთვის ეთნიკურ ნიადაგზე, და თუ არსებობს, რა ფაქტორების გავლენით შეიძლება მოხდეს ამ საფრთხის აქტუალიზაცია?

2. განიცდიან თუ არა ეთნიკური უმცირესობები საქართველოში დისკრიმინაციას, ან არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას სახელმწიფოს ან საზოგადოების მხრიდან (მიზანმიმართულად თუ ფაქტიურად)? არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით – ხოლო თუ კი, მაშინ რაშია ეს საფუძველი? რა არის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა შედარებით პასიური პოზიციის ძირითადი მიზეზი: თვით მათი დამოკიდებულება, უმრავლესობის (ქართული საზოგადოების) განწყობა თუ ობიექტური მიზეზები?

3. რა არის ამ მხრივ სასურველი: რას უნდა ესწრაფვოდეს ქართული საზოგადოება და სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის თვალსაზრისით: მაგალითად, უნდა შეადგენდეს თუ არა მის მიზანს ეთნიკური უმცირესობების ასიმილაცია (ფრანგული ან თურქული ვარიანტი), უმჯობესია ეთნიკური თემების შედარებით განცალკევებული არსებობა, ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპის შემოღება (ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა ეთნიკური ნიშნით) და ა. შ.

4. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადგენს საქართველოს პოლიტიკის ძირითად პარამეტრებს ეთნიკური (ეროვნული) უმცირესობების მიმართ. თუ არა, რატომ (მაგალითად: მიგაჩნიათ, რომ ეს პრობლემა არ არის დღეს პრიორიტეტული, პოლიტიკური მოსაზრებებით დღეს არ არის საჭირო მასზე ყურადღების გამახვილება, ან სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გამართვისა და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ ისინი თავისთავად გადაწყდება)? თუ ასეთი დოკუმენტი საჭიროა, რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს მას?

5. შესაბამისად, საჭიროა თუ არა რაიმე პრინციპული ცვლილებები ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულებაში ეთნიკური უმცირესობების მიმართ? თუ კი, რაში მდგომარეობს ისინი? (მაგალითად, საჭიროა თუ არა რაიმე არსებითი ცვლილებები არაქართულენოვანი სკოლების სასწავლო პროგრამებში? საჭიროა თუ არა უმცირესობებისათვის კვოტების შემოღება სახელმწიფო სამსახურში, რათა ამაღლდეს მათი მონაწილეობის დონე ქვეყნის მართვაში – და ა. შ.)

6. როგორი უნდა იყოს თვით ეთნიკურ უმცირესობათა სტრატეგია სახელმწიფოს და საზოგადოების მიმართ? რა უნდა იყოს მათი პრიორი-

ტეტი: ზრუნვა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე (ქართული ენის სწავლა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობა), ბრძოლა უმცირესობების დაცვის სახელმწიფო გარანტიების მოსაპოვებლად (მაგალითად, კვოტების მოპოვება სახელმწიფო სამსახურში), ბრძოლა ეთნოტერიტორიული ავტონომიისათვის (მაგ., ზოგიერთი რეგიონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში რომელიმე არა-ქართული ენის ხმარების დაკანონება) და ა. შ.?

7. დღეს არჩევნებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, როგორც წესი, სამთავრობო ძალებს აძლევენ ხმას. რა არის ამის მიზეზი? არის თუ არა ეს სწორი სტრატეგია უმცირესობების მხრიდან? თუ ეს მდგომარეობა შეიცვალა, რა არის უფრო მოსალოდნელი და სასურველი: რომ უმცირესობები საკუთარ, ეთნიკურ ბაზაზე დამყარებულ პარტიებს დაუჭერენ მხარს, თუ მათი ხმები ზოგადეროვნულ პარტიებს შორის გადანაწილდება?

8. როგორ შეაფასებთ საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობას საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემების გადაჭრაში: ისინი უფრო ეხმარებიან საქართველოს პრობლემების გადაჭრაში თუ, პირიქით, ართულებენ მის პრობლემებს? მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეთნიკური უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებულ რაიმე საკითხში საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია მცდარი ან ტენდენციურია? რას უნდა აარიდონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავი ამ საკითხებზე მუშაობისას, რა არის მათი კონკრეტული შეცდომები (თუ ასეთი არსებობს)? მხარს უჭერთ თუ არა იმას, რომ საქართველო შეუერთდეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას?

9. დღეს საქართველოში ერთმანეთის პარალელურად იხმარება სხვადასხვა ტერმინი: „არაქართული მოსახლეობა“, „ეროვნული უმცირესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „დიასპორა“. რამდენად მისაღებია ან მიუღებელია თქვენთვის ეს ტერმინები, და რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა?

1. დიას, ვხედავ. სხვადასხვა რეგიონში ეს პრობლემა სხვადასხვაგვარად ვლინდება. მე საქართველოს სომხებზე ვილაპარაკებ. მაგალითად, თბილისში სხვა პრობლემებია, ჯავახეთში – სხვა. სომხები კომპაქტურად ცხოვრობენ. ეთნოსთა შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები სახელმწიფოს შიგნით ესაა ურთიერთობის პრობლემა ცენტრსა და რეგიონს შორის. ამიტომ, თუ წარმოიშობა რაიმე დაპირისპირება, ცენტრში ფიქრობენ, რომ ეს არის სეპარატიზმი, ხოლო რეგიონის აზრით ეს მხოლოდ სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლაა. ხოლო თუ კულტურული და სოციალური უფლებების შენარჩუნებისათვის იბრძვიან დისპერსიულად დასახლებული სომხები, მაშინ ისინი არ ხვდებიან სეპარატიზტების კატეგორიაში.

სახელმწიფოს საერთო კრიზისის ფონზე, ახალი პოლიტიკური რეაქციების ფორმირებისას, ასეთი სახის დაპირისპირების არსებობას რეალურად შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს სახელმწიფოებრიობას. მაგალითად, პოლიტიკური პარტიები ძალაუფლებრივი ამბიციების დასაკმაყოფილებლად არ ერიდებიან ჯავახეთში სიტუაციის დაძაბვას სხვადასხვა განცხადებით ან ადგილობრივი რადიკალების გამოყენებით. უკვე 10 წელზე მეტია, ასეთი სიტუაცია არსებობს. ჩემი აზრით, თუ სახელმწიფოს შიგნით არსებობს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორია, მაშინ აუცილებელია სახელმწიფო-ტერიტორიალური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტა, ე.ი. სრული თვითმმართველობის მინიჭება და უფლებამოსილებათა შესახებ ხელშეკრულების დადება, ანუ სახელმწიფო ფუნქციების ცენტრსა და სუბიექტს შორის გადანაწილება. არის მეორე ვარიანტი: დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა იძულებით გადაადგილების გზით ან სატიტულო ერისთვის შეღავათების დაწესება, ანდაც ტერიტორიული წარმონაქმნების შექმნა და მათზე არასომეხი მოსახლეობით დასახლებული სხვა რაიონების მიმაგრება. ეს არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს და შეფასებული იქნება როგორც საკითხის დისკრიმინაციული გადაწყვეტა. დღესდღეობით საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს. ამიტომ ჯავახეთში შიშით დაუწყებენ ყურებას ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ხასიათის ცვლილებებს, რომლებიც ტარდება ცენტრიდან. ამ სახის ცვლილებებზე პასუხი შეიძლება ცენტრისათვის მეტად არასასიამოვნო მექანიზმების შექმნა იყოს. ვინაიდან უმცირესობათა პრობლემების გადასაჭრელად არავითარი რეალური ზომები არ არის მიღებული, დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების და ქართულ ყოველდღიურობაში ინტეგრაციისათვის მებრძოლ არასამთავრობო ორგანიზაციებს სეკპტიციზმი იპყრობს.

2. დავიწყოთ იმით, რომ ეთნიკურ უმცირესობათა დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა და არც უახლოეს მომავალში ეცოდინება. ძირითადი უსიამოვნებები, რომლებთან შეჯახებაც მათ საზოგადოებაში უხდებათ, სწორედ აქედან გამომდინარეობს. ენის უცოდინრობა საყოფაცხოვრებო დონეზე იწვევს არაკეთილგანწყობას და გამუდმებულ პრეტენზიებს (რატომ არ იცი ენა?), სახელმწიფო დონეზე იგი ზღუდავს ხალხის პროფესიული და კარიერული თვალსაზრისით ზრდის შესაძლებლობას. ამასთან, სახელმწიფო არ ზრუნავს ენის სწავლებაზე. რაც შეეხება კონკრეტულად ჯავახეთს, უნდა აღინიშნოს შემდეგი პრობლემები:

1) სახელმწიფოებრივი სუბსიდირების დაბალი დონე

2) სოციალურ ინფრასტრუქტურათა, პირველ რიგში, კომუნიკაციების პრობლემების გადაუჭრელობა

3) რეალური თვითმმართველობის არარსებობა

4) მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელის შეშლა (თუ ეს სახელმწიფოს ბრალი არ არის, მაშინ რატომ ჯილდოვდებიან ორდენებით რეტროგრადები და კორუფციონერები, რატომ ნიშნავენ მათ მაღალ თანამდებობებზე?)

5) ეროვნული ბანკი ადგილობრივ ბანკებს სათანადოდ არ უზრუნველყოფს ფულადი აქტივებით, არ არსებობს ბანკებისა და ფინანსური ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის კრედიტის გამოყოფის პროგრამები. თბილისში და ახალციხეშიც კი საკრედიტო სისტემა უკეთესად მუშაობს.

სხვა რეგიონებში სიტუაცია რამდენადმე უკეთესია, თუმცა ცენტრალური ხელისუფლება ამტკიცებს, რომ სხვა რეგიონებშიც ცუდი მდგომარეობაა.

კარგია, რომ ამ პრობლემის არსებობას ქსენოფობიამდე არ მივყავართ. პირად დონეზე ხალხს შეიძლება ჩამოუყალიბდეს მეგობრული და ხანდახან ძმური ურთიერთდამოკიდებულება. მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. ჩნდება ინიციატივები, მაგალითად, ისეთი, როგორიც არის კანონი ენის შესახებ, რომელიც, სინამდვილეში, ზღუდავს უმცირესობათა მონაწილეობას საჯარო სფეროში. ამიტომ ეთნიკურ უმცირესობებს მცირე მიზეზი აქვთ, რათა კმაყოფილი იყვნენ არსებული მდგომარეობით.

ყველა აღნიშნული მომენტი, პლუს დიდი საინფორმაციო შიმშილი განსაზღვრავს ეთნიკურ უმცირესობათა საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მცირე სურვილს. მათთვის სულ ერთია, ვინ ზის სახელისუფლებო სკამზე, ისინი ამ სკამებისგან კარგს არაფერს მოელიან. ინერციით ისინი თავს იკავებენ ახლისგან იმიტომ, რომ შეეჩვივნენ ძველს. ეს არის რაღაც შუალედური ფეოდალიზმისა და საბჭოურ სოციალიზმს შორის.

ერთი თვალსაჩინო მაგალითი: ახალქალაქელი სპორტსმენი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა, ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. მის მაგივრად წავიდნენ ქართველები, რომლებმაც დაბალი ადგილები დაიკავეს. ჩვენი სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს მოქალაქენი არიან, ადიან საპატიო პედესტალზე სომხეთის, რუსეთის ან სხვა ქვეყნის ნაერების შემადგენლობაში, საკუთარი ქვეყანა კი მათ იგნორირებას უკეთებს. სპორტსმენი, რომელმაც არ იცის ქართული ენა, მაგრამ მსოფლიო არენებზე მოაქვს სახელი საქართველოსთვის, უნდა განიხილებოდეს როგორც ქვეყნის სამოქალაქო ფასეულობა.

3. მე ზემოთ გამოვთქვი საკუთარი აზრი. აქედან გამომდინარე, ალბათ ყველაზე მისაღებია ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპი. საქართველოსა და სომხეთს შორის ძმური ურთიერთობების გათვალისწინებით, ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპი, განსაზღვრული ორგანული კანონით ან კონსტიტუციით და უზრუნველყოფილი სახელმწიფოთაშორისი პაქტით, დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არაა, მოხსნის ეთნოსთა შორის ურთიერთობის პრობლემას საქართველოს სამხრეთში. ასეთი პრაქტიკა ხშირად გამოიყენება მსოფლიო პოლიტიკაში.

ბუნების მიერ ეროვნული ნიშნით დაწესებული გენეტიკური კოდი ერთობ სიცოცხლისუნარიანია. თურქეთში ასიმილაცია ხორციელდებოდა იძულებითი მეთოდებით და შედეგად ქურთები მაინც ქურთებად დარჩნენ. მათი პრობლემების მოუგვარებლობა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მაინც გამოიწვევს კონფლიქტს. ხოლო თურქეთში ასიმილირებულ სომეხთა და ქართველთა შთამომავლები განიცდიან ნოსტალგიას ისტორიული სამშობლოსადმი. ისინი ძალიან ცოტანი არიან და დიასპორულად არიან დასახლებულნი. საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპაში ასიმილაცია მიმდინარეობდა ძალდატანების გარეშე, ხდება მასიური მიგრაცია, რომელიც უფრო მეტისაცავს ჰვავს, ვიდრე ასიმილაციას. აშშ-ში ასიმილაციის პრობლემა არ არსებობს, მიგრაციის მთავარი მიზანი ინტეგრაცია და ქონების მოპოვებაა, იქ სომეხი არსობრივად სომეხად რჩება. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყანათა უმრავლესობაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა.

4. ის, რაც დღეს გავგაჩნია, უბრალო ქაღალდია, რომელიც არაფერს ნიშნავს, თუ არ გადაწყდა ფუნდამენტალური ინსტიტუციონალური საკითხები. თუ მივიღებთ ზემოთ ნახსენებ ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპებს, მაშინ ასეთი დოკუმენტის არსებობა აღარ არის იმდენად აქტიური და პრობლემაც თავისთავად გადაწყდება სახელმწიფოებ-

რივი ინსტიტუტების დამკვიდრებასთან და ეკონომიკურ პროგრესთან ერთად.

5. ცენტრში უნდა შეევეღონ იმ აზრს, რომ ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპი არ არის სეპარატიზმი, პირიქით – პრობლემის ცივილიზებული მეთოდით მოგვარების ქმედითი მექანიზმი. ნებისმიერი სხვა მექანიზმი საშიშია იმით, რომ შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, რომლის გადასაჭრელად აუცილებელი იქნება ძალა, ხოლო ძალის გამოყენების შედეგების პროგნოზირება თანამედროვე პირობებსა და რეალიებში ძნელია. პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა შექმნას ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში თავისი ლოალურობის გარანტია. თუ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები არ მართავენ ქვეყნის იმ ნაწილს, სადაც ცხოვრობენ, მაშინ რომელ თვითმმართველობაზე შეიძლება საუბარი. მხოლოდ მოცემული პრინციპების ჩარჩოებში შეიძლება საუბარი სკოლების პრობლემებსა და კვოტებზე სახელმწიფო დაწესებულებებში.

6. ასეთი სტრატეგია უნდა იყოს ეთნოტერიტორიული ავტონომიისთვის ბრძოლა – ე.ი. ეთნიკური ფედერალიზმის პრინციპის განხორციელება. ეს უნდა მოიცავდეს ჯავახეთში ხელისუფლების ორგანოებში არაქართული ენის გამოყენების დაკანონებას.

7. ეს ტენდენცია ქვეყნის მართვის ნახევრადფეოდალური ხასიათიდან მომდინარეობს. სანამდე არ გადაწყდება ძირეული საკითხები, ყველაფერი ძველებურად დარჩება. ხალხი მხარს დაუჭერს მხოლოდ ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილ პარტიებს, მაგრამ ასეთი პარტიების შექმნა კანონით აკრძალულია.

8. მე მხარს ვუჭერ, რომ საქართველო შეუერთდეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების როლს, ის ორჭოფულია. ხანდახან არ გვეხმის, რა არის მათი მიზანი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მამდარი და თავისი თავით კმაყოფილი უცხოელები, უბრალოდ, ვერ გვიგებენ ჩვენ ჩვენი კავკასიური „გამოხტომებით.“ მაგალითად, ისინი გავივრებულნი გვიყურებდნენ, როდესაც სადამოს ჯავახეთის ავტონომიის თაობაზე ცხარე დებატების შემდეგ თბილისელი სტუმრები და მათი ოპონენტები მტრული დამოკიდებულების გარეშე შემოუხსდნენ კავკასიურ სუფრას. მთლიანობაში, ვფიქრობ, მათ ჩარევას უფრო მასტაბილიზირებელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნეგატიური.

9. თითოეული ამ განმარტებათაგანი შეესაბამება სინამდვილეს. დიასპორას ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიოს სხვა სომხებისთვის, დანარჩენი სიტყვათა თამაშია იმის მიხედვით, თუ რომელი პრიზმიდან ვუყურებთ საკითხს. სახელმწიფოს იდენტიფიკაცია ეროვნულობასთან საქართველოსა და კავკასიის პირობებში – მტკივნეული საკითხია. სომეხი ან აზერბაიჯანელი ეროვნებაა. ფილოსოფიური თავსატეხია: – როგორ შეიძლება სომეხს ან აზერბაიჯანელს ეწოდოს ქართველი, თუნდაც მოქალაქეობრივი კუთვნილების თვალსაზრისით. მეორე მხრივ, როგორ შეიძლება ეწოდოს საქართველოს მოქალაქეებს – სომეხს ან აზერბაიჯანელს – „არაქართველი მოსახლეობა“, მაშინაც კი, თუ ისინი არ წარმოადგენენ ეთნიკურ ქართველებს. შეიძლება ბერძენი ან ებრაელი ამერიკელი იყოს, ვინაიდან „ამერიკელი“ სამოქალაქო ცნება, მაგრამ ქართველი – ეს ეთნიკური ცნებაა. მე მხარს ვუჭერ ტერმინს „ეთნიკური უმცირესობა“, როგორც ყველაზე უწყინარს.

დავით ზურაბიშვილი

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში არის მათი ინტეგრირების პრობლემა ქართულ სახელმწიფოში. ყველა სხვა პრობლემა ამ მთავარი პუნქტის გადაუჭრელობიდან მომდინარეობს.

საერთოდ, ეთნიკური პრინციპი ის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რასაც ეფუძნება ნაციონალური სახელმწიფოს არსებობა, განსხვავებით, ვთქვათ, ფეოდალურისგან, სადაც ეთნიკური ფაქტორი გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ნაციონალურ სახელმწიფოში, ეთნიკურ უმცირესობათა არსებობა, თუკი ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ და არ არიან გაბნეულნი დომინირებადი ეთნოსით დასახლებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად შეიცავს პოტენციურ საფრთხეს სახელმწიფოსთვის. ეს არ არის მაინც და მაინც პოპულარული აზრი და მემარცხენე-ლიბერალთა წრეში ამის მთქმელს ალბათ ნაცისტადაც მონათლავდნენ, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სხვანაირად ფიქრი, უბრალოდ, თავის მოტყუება იქნება.

მართლაც და, თუკი ნაციონალურ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გამოჩნულია დომინირებადი ეთნოსის კულტურისგან, გააჩნია განსხვავებული ისტორიული მემსიერება, ანუ, თუ ის არ აღიქვამს ეთნიკური უმრავლესობის ისტორიასა და კულტურას „თავისად,“ ბუნებრივია, ვერც იგრძნობს თავს ამ სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქედ. სახელმწიფოებრიობისგან გაუცხოება კი ავტომატურად ბადებს სეპარატისტულ განწყობილებებს და უცილობლად წარმოშობს „ობიექტურ მიზეზებს“ კონფლიქტისთვის.

ამიტომ, ერთადერთი გზა ამ პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად არის ეთნიკურ უმცირესობათა ასიმილაცია. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ასიმილაციის ხარისხზე, ასიმილირების პროცესის გონივრულ, უმტყვიანეულო წარმართვაზე და არა თვით მის საჭიროებაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, საფიქრალია არ ის, თუ „რა ვქნათ,“ არამედ – „როგორ.“ ამ კონტექსტში ასიმილაცია არ ნიშნავს აუცილებლად დომინირებად ეთნოსთან სრულ შერწყმას და განსხვავებათა წაშლას. მთავარია, რომ ეთნიკური უმცირესობის კულტურული თვითმყოფობა არ იყოს ანტაგონისტური და გარკვეული ხარისხით მაინც ინტეგრირებული იყოს დომინირებადი ეთნოსის კულტურულ ყოფაში. ასე რომ, ეთნიკურ უმცირესობათა ნაციონალურ

სახელმწიფოში ინტეგრაცია სხვა არაფერია, თუ არა ასიმილაციის ევფემიზმი. ვამბობთ ინტეგრაციას, იგულისხმება ასიმილაცია. სხვათა შორის, სათანადო ტერმინთა შერჩევა და გამოყენება აღნიშნული პროცესის წარმართვის ერთ-ერთი ელემენტია.

რასაკვირველია, აქ შეუძლებელია მათემატიკური სიზუსტის ზოგადი ფორმულის გამოყვანა, რომელიც ყველა ქვეყანას მიესადაგება. ვთქვათ, ტერიტორიული ავტონომიის მინიჭება ეთნიკური უმცირესობის ჯგუფისთვის ზოგ შემთხვევაში შეიძლება ხელს უწყობდეს ინტეგრაციის (ანუ ასიმილირების) პროცესს, ზოგ შემთხვევაში კი – პირიქით.

რახან ქართული სახელმწიფოსგან გაუცხოება ქართულ მოსახლეობაშიც გავრცელებულია, ეთნიკურ უმცირესობებებთან მიმართებაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერია. ამიტომ, ეთნოკონფლიქტების საფუძველი დღევანდელ საქართველოში ნამდვილად არსებობს. თუმცა, გარეპოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამ კუთხით ჯერჯერობით გარკვეული წონასწორობაა დაყარებული. პოტენციური საფრთხის შემცველი რეგიონები (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) დასახლებულია აზერბაიჯანული და სომხური ეთნიკური ჯგუფებით. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კი მძაფრი დაპირისპირება არსებობს. ამის გამო ორივე მათგანი დაინტერესებულია საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებით, რათა თავიდან აიცილოს „მეორე ფრონტის“ გახსნა: თუ ჯავახეთში სომხები აჯანყდებიან, ეს გამოიწვევს საქართველო-აზერბაიჯანის ალიანსს, ისევე როგორც აზერბაიჯანის პრეტენზიები გამოიწვევს საქართველო-სომხეთის დაახლოებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მყიფე წონასწორობა, რასაკვირველია, ვერ იქნება მდგრადი სტაბილურობის გარანტი.

ასეთი გარანტია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს მხოლოდ არაქართველი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში. ამ მხრივ კი ვითარება საკმაოდ რთულია. გარდა იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება, სამოქალაქო ინტეგრაციის არათუ მიზანმიმართულ, არამედ საერთოდ, არანაირ პოლიტიკას არ აწარმოებს, ხოლო სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეები, უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით, არაერთხელ ყოფილან შემჩნეული ეთნიკური შუღლის მაპროვოცირებელ ქმედებებში, თვით ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაუცხოება სახელმწიფოსგან ძალიან ხელსაყრელ ფონს ქმნის ეთნოკონფლიქტებისთვის. ახლო წარსულის მწარე გამოცდილებამ (ცხინვალის რე-

გიონი, აფხაზეთი) ვერც ხელისუფლებას ასწავლა ვერაფერი და ვერც საზოგადოებას.

საზოგადოების ამგვარი განწყობისა და ხელისუფლების ამგვარი უმოქმედობის პირობებში, დღეს ეთნოკონფლიქტის მთავარი კატალიზატორის როლი შეიძლება შეასრულოს რუსეთმა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ რეალურად დადგება ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის საკითხი, რუსეთის ინიცირებით მართლაც შესაძლოა მოხდეს იმ მკიფე წონასწორობის დარღვევა, რომელიც სომხეთ-აზერბაიჯანის დღევანდელი ურთიერთდამოკიდებულებითაა გაპირობებული.

საგარეო ფაქტორის (რუსეთის) მნიშვნელობა ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, გაპირობებულია ქართული სახელმწიფოს სისუსტით. თუმცა, უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაშიც საქართველოს ხელისუფლება, როგორც უკვე ვთქვით, ან არაფერს აკეთებს, ან ისეთ რამეს აკეთებს, რომ უმჯობესია არ გააკეთოს.

ეთნიკური უმცირესობების რაღაც მიზანმიმართულ დისკრიმინაციაზე ლაპარაკი ალბათ გადაჭარბება იქნებოდა, თუმცა, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება აშკარაა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ისე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან.

ყველა ობიექტური გამოკვლევა ადასტურებს, რომ ეთნიკური უმცირესობები უკმაყოფილონი არიან თავისი მდგომარეობით და მათ ამის სრული საფუძველი აქვთ – ისინი ვერ გრძნობენ, რომ ცხოვრობენ თავის სახელმწიფოში, მათი უმეტესობა, სინამდვილეში, გარიყულია ქართული საზოგადოებისგან და ერთგვარ ავტონომიურ რეჟიმში ცხოვრობს. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამო, ვთქვათ, ქვემო ქართლის არაქართველი მოსახლეობა ორიენტირებულია აზერბაიჯანზე და მეტი კონტაქტი აქვს ბაქოსთან, ვიდრე თბილისთან. ანალოგიური სიტუაციაა ჯავახეთშიც, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის ყველაფერს სომხეთიდან იღებს, დაწყებული პროდუქტებიდან და დამთავრებული სატელევიზიო გადაცემებით.

სიტუაციის რეალური შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მიზანმიმართული და კარგად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით. იმგვარი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება ეთნიკური უმცირესობების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირებისკენ. ამ კონტექსტში არასამთავრობო ორგანიზაციების თუ დამოუკიდებელი მასმედიის რო-

ლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც სახელმწიფო პოლიტიკაა. გაუცხოების ხარისხი ძალიან დიდია იმ ქვეყანაში, სადაც ბებიის არაქართველობა პოლიტიკურ კომპრომატად გამოიყენება; აუცილებელია მკაფიო პოლიტიკური ნების გამოვლენა, რაც საზოგადოებრივი ინსტიტუციების დონეზე ვერ მოხერხდება.

სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციას. საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმატებული ინტეგრირება ქართულ სახელმწიფოში საგრძნობლად გააძლიერებდა საქართველოს პოზიციებს როგორც კავკასიის რეგიონში, ისე უფრო ფართე არენაზე, ეს აუცილებელი პირობაა შიდაპოლიტიკური სტაბილურობისთვისაც

კონცეფციიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს კონკრეტული პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს კულტურული ინტეგრაციის საკითხს, ტოლერანტობის კულტივირებას ქართულ საზოგადოებაში, რაც შესაბამის პროპაგანდისტულ უზრუნველყოფასაც გულისხმობს, იქნება ეს მედიასთან ურთიერთობა (პრესასა და ტელევიზიებში შეიძლება სპეციალური პროგრამებიც გაკეთდეს), უშუალო კონტაქტები, საგანმანათლებლო საქმიანობა (როგორც არაქართველებთან, ისე ქართველებთან), საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა და ა. შ.

საქართველოში არსებულ ვითარებას საგრძნობლად ართულებს ერთი ფაქტორი: კერძოდ, ის არაერთგვაროვანი მდგომარეობა, რომელიც არსებობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ეთნიკურ უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებაში. აქ შეუძლებელია რაიმე ერთი კონკრეტული მოდელის შემუშავება. ვთქვათ, აფხაზეთის საკითხის დასარეგულირებლად აუცილებელია ტერიტორიული ავტონომიის კონკრეტული მოდელის შეთავაზება ქართული სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეული დათმობები შეიძლება გაკეთდეს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქის მიმართაც. ორივე შემთხვევაში ასეთი დათმობა ოსებისა და აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება მაშინ, როცა ჯავახელი სომხებისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება მათგან გამიჯვნისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

თვით ტერმინოლოგიის გამოყენების დროსაც დიდი მნიშვნელობა იქვს იმას, თუ რომელი ტერმინი რა განწყობილების ანარეკლად ჩანს. მაგალი-

თად, დღეს საქართველოში ერთმანეთის პარალელურად იხმარება სხვადასხვა ტერმინი: „არაქართული მოსახლეობა“, „ეროვნული უმცირესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „დიასპორა“. სახელმწიფოსთან ინტეგრირების თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე ნეიტრალური და, აქედან გამომდინარე, ყველაზე მოხერხებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა“. „არაქართულობაზე“ და „ეროვნულობაზე“ აქცენტირება ქართულ მოსახლეობაში კონფრონტაციულს თუ არა, გამოიწვევს მდრეკილ განწყობილებას მაინც აღძრავს. რაც შეეხება „დიასპორას“, ამ ტერმინის ხშირი გამოყენება ასევე გამოიწვევს მომენტზე უფრო მიუთითებს.

სწორედ ამიტომ, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული უნივერსალური და სპეციფიკური ფაქტორები.

რაც შეეხება თავად ეთნიკურ უმცირესობათა სტრატეგიას ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ, აქ ძნელია რაიმე რჩევის მიცემა. ჩემი აზრით, მაინც უმთავრესია თვით ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების დამოკიდებულება. უმცირესობათა ქმედებები, როგორც წესი, საპასუხო რეაქციის სახეს უფრო ატარებს. ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლება, მათი მონაწილეობის გააქტიურება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თვით ქართული სახელმწიფოს ინტერესებშია. რაც შეეხება კვლავის მოპოვებას სახელმწიფო სამსახურში ან ზოგიერთი რეგიონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში რომელიმე არაქართული ენის ხმარების დაკანონებას, ყველა ასეთი კონკრეტული ღონისძიება უნდა იყოს განხილული იმ კონტექსტში, თუ რამდენად უწყობს ხელს ესა თუ ის ღონისძიება ინტეგრაციის პროცესს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც უკვე ვთქვით, აქ ნიველირებული მიდგომა გაუმართლებელია.

სახელმწიფოსგან გაუცხოების გამოვლინებაა ის ტენდენციაც, როდესაც ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, როგორც წესი, სამთავრობო ძალებს აძლევენ ხმას. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ისინი ხმას აძლევენ არა მთავრობას, არამედ ძალაუფლებას – იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც თავს ავლენს როგორც ძალაუფლების მფლობელი. ეს არის ტიპური პოზიცია იმ ხალხისა, ვინც არც კი ცდილობს არჩევანის გაკეთებას, რადგან ელემენტარულად არ თვლის ამ სახელმწიფოს თავის ქვეყნად. ამდენად, არჩევნებში მონაწილეობა ეს არის ერთგვარი ხარკის გადახდა ძალაუფლების მქონე ინსტიტუციის მიმართ.

თუკი გაუცხოების ფაქტორი დაძლეული იქნება და თუნდაც მეტ-ნაკლები წარმატებით მაინც განხორციელდება ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირების პროცესი ქართულ სახელმწიფოში, მაშინ უმცირესობების ხმების დღევანდელი მონოლითურობა, რასაკვირველია, დაირღვევა და ეს ხმები ზოგადეროვნულ პარტიებს შორის გადანაწილდება. გარკვეულ ეტაპზე არ არის გამორიცხული ეთნიკურ ბაზაზე დამყარებული პარტიების მომრავლება, რომლებიც, ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძობებენ, მაგრამ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო წარსულის (ანუ დღევანდელი სიტუაციის) ინერცია იქნება. თუ სახელმწიფო მშვიდად და გონივრულად წარმართავს ინტეგრირების პროცესს, ეთნიკური პარტიების არსებობა ადრე თუ გვიან აქტუალობას დაკარგავს.

როდესაც ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობის ფაქტორი. ამ მხრივ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ძალიან არაკომპეტენტურია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ხატოვანად ამ პოლიტიკას შეიძლება ეწოდოს „სხვისი ხელით ნარის გლეჯის ამო მცდელობა.“ კერძოდ, ხელისუფლება აშკარად ცდილობს, შიდა პრობლემები როგორმე უცხოელ პარტნიორებს (აშშ, თურქეთი, რუსეთი, ევროკავშირის ქვეყნები) და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადააჭრევიოს, თან ისე, რომ თვითონ არანაირი ინიციატივით არ გამოვიდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთადერთი დოკუმენტი, სადაც ლაპარაკია აფხაზეთის საკითხის მოგვარების რაღაც ნაბიჯებზე, არის ე. წ. „ბოდენის დოკუმენტი“, მომზადებული გაეროს წარმომადგენლის მიერ. თვით საქართველოს ხელისუფლება კი ამ თემაზე ყოველთვის ზოგადი ხასიათის განცხადებებით გამოდის და არსად და არასდროს წარმოუდგენია არანაირი კონკრეტული პროექტი.

ამგვარი პოლიტიკა აბსოლუტურად გაუმართლებელია და ვერასდროს ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საერთოდ დამახასიათებელია ნიველირებული და სქემატური მიდგომები, რაც, საქართველოს შემთხვევაში, კონფლიქტური ზონების არაერთგვაროვნების გამო მხოლოდ საზიანოა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კავკასიის რეგიონი დღეს არ არის მსოფლიო თანამეგობრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით საქართველოს ხელისუფლების ლობისტურ აქტივობებს. სანამ ასეთი აქტივობები

არ ტარდება და სანამ არ არსებობს ქართული სახელმწიფოს გააზრებული და მიზანმიმართული პოლიტიკა ამ სფეროში, საზღვარგარეთის ქვეყნების თუ საერთაშორისო სტრუქტურების კრიტიკას და მათ შეცდომებზე მითითებას (მით უმეტეს, თუ ეს კრიტიკა მხოლოდ პრივატულ დონეზე ხდება და არ სცილდება იმაზე ჩივილს, რომ „უცხოელებს ჩვენი პრობლემები არ ესმით!“) აზრი არა აქვს. სხვას რომ რამე მოსთხოვო, ჯერ ის უნდა იცოდეს, შენ რა ვინდა.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას, მე ამ დოკუმენტს არ ვიცნობ და ამიტომ აზრის გამოთქმა გამიჭირდება, თუმცა, ერთი რამ ცხადია: თუ აღნიშნული დოკუმენტის დებულებები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავეყრდნოთ მას ინტეგრირების პოლიტიკის გატარებისას, აუცილებლად უნდა შევუერთდეთ კონვენციას, ხოლო თუ ამ დოკუმენტის მიხედვით, ვთქვათ ჯავახელ სომხებს მიენიჭებათ ავტონომიის მოთხოვნის ლეგიტიმური უფლება, მაშინ თავი უნდა შევიკავოთ.

აღქმის ნაღბანდოვი

1. როგორც საქართველოში ახლახან ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები გვიჩვენებს, ამჟამად ქვეყანაში ცხოვრობს დაახლოებით 4,4 მილიონი ადამიანი. წინა აღწერის მაჩვენებლებთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 16%-ით – დაახლოებით 1 მილიონი ადამიანით. როგორც მიგრაციის საკითხებში სოციოლოგიური კვლევების შედეგები გვიჩვენებს, საქართველოდან მოსახლეობის გადინების უმთავრესი მიზეზი იყო და რჩება მიმდევრობითი ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრების დაბალი დონე, ოჯახის გამოკვებისა და სამსახურის შოვნის შეუძლებლობა და ა.შ., მაგრამ არავითარ შემთხვევაში – დისკრიმინაცია (უმცირესობებთან მიმართებაში). მიუხედავად ამისა, ემიგრანტების დიდ ნაწილს მაინც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები შეადგენენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით ქართველთა რაოდენობა ქვეყანაში თუმცა 3,3%-ით შემცირდა, მაგრამ მათი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში გაიზარდა 13,7 პროცენტული პუნქტით – 70,1–დან 83,8 პროცენტამდე. შესაბამისად, იმავე პერიოდისათვის ეროვნული უმცირესობების წილი შემცირდა 29,9–დან 16,2 პროცენტამდე.

სერიოზულ პრობლემად ეროვნული უმცირესობებისათვის იყო და რჩება ენობრივი ბარიერი. ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს იმისა, რომ უმცირესობები არასაკმარისად არიან ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს ქართული ენის არცოდნა ან სუსტად ფლობა, რომელიც ჩვენ „მეკვიდრობით“ გვერგო საბჭოთა დროიდან. თუ მოზარდი თაობისათვის ქართული ენის შესწავლის პრობლემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონეზე ასე თუ ისე გვარდება, უფროსების შემთხვევაში ამკარაა, რომ აქტიურად უნდა განვითარდეს ქვეყნის ოფიციალური ენის შესწავლის სისტემა, განსაკუთრებით – უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ამის მწვავე აუცილებლობა ამკარაა, ვინაიდან ენის არცოდნა ართულებს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობას, ამცირებს შესაძლებლობებს შრომის ბაზარზე, და ბოლოს, არ იძლევა პიროვნების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. ამასთან, როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები გვიჩვენებს, არაქართველები მზად არიან შეისწავლონ ქართული ენა შესაბამისი პირობების – მასწავლებლების, სახელმძღვანელოების ან თვითმასწავლებლების და ა.შ. არსებობის შემთხვევაში.

საკმაოდ საკამათოს წარმოადგენს თქმისი იმის შესახებ, რომ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ადგილი აქვს ეკონომიკურ და სოციალურ არასტაბილურობას ეთნიკურ ნიადაგზე. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჯერ კიდევ შორსაა პო-

ლიტიკური დარეგულირებისაგან. დღესდღეობით ეს არის საქართველოსათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა, კერძოდ, გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკითხები, მათი უსაფრთხო და სათანადო რეპატრაციის პერსპექტივები. რაც შეეხება მდგომარეობას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, აქ არსებული პრობლემები დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ცენტრისაგან რეგიონის ინფორმაციულ და კომუნიკაციურ მოწყვეტასთან, ხოლო მეორე მხრივ – რეგიონის მაცხოვრებლების ეკონომიკური პრობლემების დარეგულირების მწვავე აუცილებლობასთან, თუ იქიდან რუსული სამხედრო ბაზები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა იქნება გაყვანილი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საკვებით აცნობიერებს ამ პრობლემის აქტუალობას და მათი ეფექტურად გადაჭრის მნიშვნელობას.

რაც შეეხება ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების აქტუალიზაციის შესაძლებლობას, ჩვენი აზრით, იგი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია ამ თემზე ყოველგვარი სპეკულაციის მასშტაბი. მაგალითად, როდესაც სხვა მომენტებს შორის რომელიმე პოლიტიკოსზე მაკომპრომენტირებელ ფაქტორად მოჰყავთ მისი არაქართული წარმომავლობა (ნამდვილი თუ ყალბი, არ აქვს მნიშვნელობა), საზოგადოებამ ეს შეიძლება აღიქვას როგორც ეროვნული უმცირესობებისადმი არასაიმედო და უარყოფითი დამოკიდებულების სიგნალი. ეს მით უფრო უსიამოვნოა, როდესაც საუბარი შეეხება საქართველოს – ქვეყანას, ცნობილს ტოლერანტობის უმდიდრესი ისტორიული ტრადიციებითა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კულტურით.

ხედმატიკა შეხსენება, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური ოპონენტის ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე პოლიტიკური ბრძოლის მეთოდად ინსინუაციის გამოყენება უღირსი და სამარცხვინოა. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამგვარი მეთოდები უმცირესობის ნებისმიერ წარმომადგენელში იწვევს შინაგანი პროტესტის გრძნობას და უნდობლობას. მით უმეტეს, რომ ჩვენთან თითქმის არავინ იღებს ხმას (თუნდაც, არასამთავრობო ორგანიზაციები) ეთნიკური თემებით ამგვარად მუხირების წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს კონფლიქტის პირველი ნიშნები. არ უნდა გამოირიცხოს გარკვეული გარეშე ძალების გავლენაც, რომლებიც თავის ინტერესებში ხელს უწყობენ მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნებას ქართულ საზოგადოებაში.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელთან შეჯახებაც დღეს უხდება საქართველოში მცხოვრებ ყველა უმცირესობას, წარმოადგენს მათი საკვებით არაადეკვატური წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების დონეზე. საუბარია ხელისუფლების ყველა შტოზე – საკანონმდებლო, აღმასრულებელსა და ადგილობრივზე. ამ სფეროში არასახარბიელო მდგომარეობაზე არაერთგზის უთითებდნენ როგორც ადგილობრივი ექსპერტები, ასევე შესა-

ბამისი სტრუქტურები ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა, როგორებიცაა გაერო და ევროპის საბჭო. ასეთ პირობებში რთულია საუბარი საქართველოში მცხოვრები უმცირესობების სრულყოფილ მონაწილეობაზე ახალი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში. გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვეტილია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ერთ-ერთ მიზეზს, რომელიც იწვევს აღნიშნულ მდგომარეობას, წარმოადგენს უმცირესობათა მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა. რა თქმა უნდა, ნათელია, რომ ასეთ სიტუაციასთან შერიგება დაუშვებელია და ეს ეხება როგორც სახელმწიფოს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას.

2. მიემართოთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს კანონს – საქართველოს კონსტიტუციას.

მუხლი 14: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად (...) ეროვნული, ეთნიკური (...) კუთვნილებისა...“

მუხლი 38: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა... მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ... უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.“

მუხლი 34: „სახელწიფო ხელს უწყობს... კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას...“

კონსტიტუციამ შექმნა ის მყარი ფუნდამენტი, რომელსაც ეყრდნობა უმცირესობების, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების, უფლებების დაცვისა და წახალისების სისტემა საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე. მთლიანობაში, სამართალდამცავი ნორმების თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი სანიმუშო კონსტიტუცია, რომელიც იცავს „ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“ (მუხლი 7).

ანტიდისკრიმინაციული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობასა და თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე, ასახუ-

ლია საქართველოში გამოცემულ პრაქტიკულად ყველა ნორმატიულ აქტში. ამგვარად შექმნილია აუცილებელი პირობა უმცირესობათა უფლებების დასაცავად. აუცილებელი კი, მაგრამ არის ის საკმარისი? რა თქმა უნდა, არა.

თვალნათლივ ჩანს, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული. ამ მხრივ, ყველაზე უფრო სერიოზული პრობლემები, ისევე როგორც მათი გადაჭრის გზები, საკმაოდ ადეკვატურად არის ასახული „საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის განმტკიცების მოქმედების გეგმა 2003–2005 წლებში“ დამტკიცებული ქვეყნის პრეზიდენტის 2003 წლის 4 მარტის N68 ბრძანებულებით. ამასთან აშკარაა, რომ კარგი კანონმდებლობა, თავისუფალი დისკრიმინაციისაგან – მხოლოდ პირველი, თუმცა, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადამიანის, მათ შორის, უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და წახალისების სისტემის ფორმირების გზაზე.

რაც შეეხება ფაქტიური (წინასწარგანუზრახველი) დისკრიმინაციის არსებობას – ადეკვატურად არიან კი წარმოდგენილი უმცირესობები ჩვენს პარლამენტში მოსახლეობაში მათი წილის გათვალისწინებით? 1999 წელს არაქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა უმრავლესობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ პარტიული სიებით მოხვდა. არაქართველ მაჟორიტარ დეპუტატთა რაოდენობა შეიძლება ხელის თითებზე ჩამოვთვალოთ, ამასთან ისინი კენჭს იყრიდნენ შესაბამისი უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. გამოიყენება კი ეფექტურად უმცირესობათა პოტენციალი საკანონმდებლო საქმიანობაში? ვფიქრობთ, არა. რამდენადმე უკეთესი სიტუაციაა აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, სადაც უმცირესობათა წარმომადგენლები საკმაოდ ფართოდ არიან დასაქმებულნი, მათ შორის – წამყვან პოსტებზეც, განსაკუთრებით, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. მიუხედავად ამისა, უმცირესობათა პოტენციალი აქაც არასაკმარისად გამოიყენება და ამან არ შეიძლება სინანული არ გამოიწვიოს.

უმცირესობათა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიური მონაწილეობის მთავარ მიზეზზე – სახელმწიფო ენის არასაკმარისად ფლობაზე – უკვე მოგახსენეთ ზემოთ. სხვა ფაქტორებს შორის შეიძლება დასახელდეს უმცირესობის გარკვეული დაურწმუნებლობა იმაში, რომ მათი პოლიტიკური აქტივობა ადეკვატურად იქნება მიღებული და სწორად ინტერპრეტირებული მოსახლეობის უმრავლესობის მიერ.

3. პოლიტიკური ქვეყნისათვის სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა წარმოადგენს იმ მოდელს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მისი სტაბი-

ლური დემოკრატიული განვითარება და აყვავება, ეთნიკური და სამოქალაქო მშვიდობა საზოგადოებაში. მრავალეროვან სახელმწიფოში წარმატებული ინტეგრაციის სტრატეგიის განხორციელება შეუძლებელია გარკვეული დონის დეცენტრალიზაციის გარეშე. სახელმწიფოს მართვის ამგვარი რეფორმა ყველაზე უკეთ უწყობს ხელს კულტურული და რეგიონული თვითმყოფობის განვითარებას. რა თქმა უნდა, დეცენტრალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფუნქციონირებულ დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორცაა კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა, მათ შორის, უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

4. უკვე რამდენიმე წელია, ქვეყანაში განიხილება საკითხი იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს საქართველოს თუ არა კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ. ჩემი აზრით, ასეთი კითხვა საერთოდ არ უნდა არსებობდეს. გახდა რა ევროპის საბჭოს წევრი, საქართველომ სხვა დოკუმენტებს შორის უნდა მოახდინოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება. უკვე შედგა ამ რეგიონალური ხელშეკრულების ხელმოწერა. აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოსათვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის არის ასეთიც: 2 წლის განმავლობაში (ე. ი. 2001 წლის 27 აპრილამდე) მიღებულ იქნას კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ 1993 წლის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრინციპების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, კანონი დღემდე არ არის მიღებული. ამასთან, რატომღაც დაფიქვითი მიუთითებენ უმცირესობათა აზრზე, რომელთაც თითქოს არ სურთ ასეთი კანონი. აქ მოყვანილი მიზეზი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: „კანონით ჩვენ ყველა საქართველოს თანაბარუფლებიანი მოქალაქეები ვართ და არ გვსურს, რომ ჩვენ აღგვიქვან და მოგვექცნენ როგორც უმცირესობებს.“

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

პირველ რიგში, მიაკუთვნებს თუ არა თავის თავს უმცირესობას – ცალკეული ადამიანის პირადი საქმეა. მის მაგივრად ამ საკითხის გადაწყვეტა არავის ძალუძს, ხოლო მის მაგივრად ლაპარაკის უფლება არავის აქვს. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში განცხადება მთლიანად უმცირესობის „სახელით“, მომდინარეობს ის ერთი პიროვნებისგან თუ ჯგუფისგან, მიუღებელია და არ ასახავს რეალურ სიტუაციას.

მეორე რიგში, კანონში განმტკიცებული თანასწორუფლებიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქვეყნის ყველა მოქალაქის ნამდვილ, პრაქტიკულ თანასწორობას, მიუხედავად მათი წარმომავლობისა. ამიტომ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონის მიზნად უნდა იქცეს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა ქართველთა და არაქართველთა რეალური თანასწორობის მიღწევის მიზნით.

სწორედ ამ კონტექსტში ხშირად ჩნდება კითხვა – შედეგად ხომ არ აღმოჩნდება დისკრიმინირებულნი თვითონ დომინირებული ერის წარმომადგენლები? პასუხი ასეთია – არა, ვინაიდან ზომები, მიმართული ჭეშმარიტი თანასწორობის მისაღწევად მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ასეთი თანასწორობისათვის. ამის შემდეგ მათი საჭიროება აღარ იარსებებს. კანონი დოგმა არაა – თუ იგი აღარ არის საჭირო, მას ცვლიან ან აუქმებენ.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ კანონში ასახვა უნდა პოვოს როგორც ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის ძირითადმა დებულებებმა, ასევე ჭეშმარიტი თანასწორობების მიხედვით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებებმა. საუბარი, ძირითადად, ეხება დროებით სპეციალურ ნორმებს, მიმართულს უმცირესობათა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებისაკენ, პრაქტიკაში მათი ქვეყნის სრულყოფილებიან მოქალაქეებად გადაქცევისაკენ.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უკვე მოამზადა დოკუმენტის პროექტი „საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის კონცეფციის“ სახელწოდებით. თვითონ ასეთი დოკუმენტის შემუშავების ფაქტს შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, თუმცა, საეჭვოა, რომ მან სრულყოფილად შეცვალოს საკანონმდებლო აქტი (აქტები), რაც ეხება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მთლიან სპექტრს. ვფიქრობ, ამ „კონცეფციის“ მხარდაჭერის პირობებშიც კი ამგვარი ნორმატიული აქტის მიღება აუცილებლობად რჩება.

რა თქმა უნდა, თვითონ სამოქალაქო ინტეგრაციის ცნება მოიცავს არა მარტო უმცირესობათა უფლებების განხორციელებას, არამედ მოსახლეობის უმრავლესობის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების სრულფასოვან რეალიზაციას. ამიტომ, როცა ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ფორმებისა და საზოგადოების შიგნით წარმომდგარი ურთიერთობების მრავალფეროვნება (უმცირესობასა და დომინირებულ ერს შორის, უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფს შორის და ა.შ.). ნებისმიერ შემთხვევაში ინტეგრაციის პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ჯგუფებს შორის პრაქტიკული თანასწორობისა და თანასწორობების მიღწევა, საბოლოო ჯამში, საუკეთესო საშუალებაა ჭეშმარიტი დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად, რომელიც დამყარებული იქნება კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემაზე.

5. რაც შეეხება უმცირესობათა პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების საკითხს, იქნებ ღირდეს დაფიქრება საბჭოთა დროის რამდენადმე დისკრედიტებული ისეთი ზომის დროებით შემოღებაზე, როგორცაა კვოტები. მაგალითად, გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ცვლილებები (ან როგორც მათ ადამიანის უფლებათა საეთაშორისო სამართალში უწოდებენ „დროებითი სპეციალური ნორმები, მიმართული ჰუმანიტარი თანასწორუფლებიანობის მისაღწევად“) საარჩევნო კანონმდებლობაში, ან მოფიქრებულ იქნას სხვა ფორმები. მზარეცეკატები აქ არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ახლანდელი სიტუაცია ცერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

6. ვფიქრობ, რომ მოცემულ ეტაპზე აუცილებელია განხორციელდეს (ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სავალდებულო და აქტიური მონაწილეობით) პოლიტიკური და სხვაგვარი ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული:

ა) მოქალაქეობის ინსტიტუტის ყოველმხრივი განმტკიცებისაკენ,

ბ) მოსახლეობის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ჰუმანიტარი თანასწორობის მიღწევისაკენ არა მარტო თანაბარი საწყისი პირობების შექმნით, არამედ სათანადო საბოლოო შედეგის მიღწევის გზით,

გ) ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების პრიორიტეტული განვითარებისაკენ უმცირესობის ეროვნული, კულტურული, ენობრივი და ა. შ. თავისებურებების სრული შენარჩუნებით.

ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ზემოთ ნახსენებ „საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის განმტკიცების მოქმედების გეგმას.“ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენის სწორედ ამ მიმართულებით განვითარება, ჩვენი აზრით, ნაკარნახევეა თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებული ტენდენციებით და უკეთ შეუწყობს ხელს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას.

7. ბოლოდროინდელი არჩევნების შედეგებმა – ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საპარლამენტომ და საპრეზიდენტომ – გვიჩვენა, რომ აქტივობა იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს, უფრო მაღალია, ვიდრე ქართველი მოსახლეობისა. უმცირესობა, როგორც წესი, ხმას აძლევს არსებულ ხელისუფლებას. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, რამდენიმეა:

პირველი – პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, რომელიც ბევრ ჩვენგანს საშუალებას არ აძლევს გააცნობიეროს გაკეთებული არჩევანის მნიშვნელობა. სწორედ რომ, რიგითი ამომრჩეველი განსაზღვრავს ხელისუფლების

ბელს. არჩევნების პერიოდში ეს ხელისუფლება ამომრჩევლის ხელშია. სხვა დროს ყველაფერი პირიქითაა: ამომრჩეველი არის ხელისუფლების ხელში. არ უნდა უგულებელვყოთ ინდეფერენტობისა და ნიჰილიზმის განსაზღვრული ელემენტი, რწმენის არქონა, რომ შენს ხმას შეუძლია რამის გადაწყვეტა.

მეორე – უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში არც თუ მცირე როლს თამაშობს ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია, ვისი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს იგი. ამ სიტუაციაში ნაკლებ ბოროტებად ითვლება აქტიური საარჩევნო უფლების ფორმალური რეალიზაცია – ადგილობრივი ხელისუფლების კარნახით.

და ბოლოს, მესამე მიზეზი – ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხრიდან ეროვნულ უმცირესობათა პრობლემისადმი პრაქტიკულად სრული უყურადღებობა. თითქოს ეს უმცირესობები საერთოდ არ არსებობენ ან მათი აზრი და მოთხოვნები არაფერს ნიშნავს. მოვა ასეთი ძალა ხელისუფლებაში – ვინ იცის, რას უნდა ელოდნენ უმცირესობები?

აღსანიშნავია, რომ კანონი კრძალავს ეთნიკური ნიშნით პოლიტიკური პარტიის შექმნას. ამიტომ ასეთი პარტიებისათვის ხმის მიცემის საკითხის ამ კუთხით დაყენება არაკორექტულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ეროვნული უმცირესობები მხარს დაუჭერენ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც, მათი აზრით, ყველაზე ეფექტურად შეუძლიათ დაიცვან მათი კანონიერი უფლებები, უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება, რეალური თანასწორობა და თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კონსტიტუციისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. თავის მხრივ, სწორედ ასეთ პოლიტიკურ ძალას შეუძლია სრულიად საფუძვლიანად საქართველოს იმ მოქალაქეთა აბსოლუტური ლოიალობის და კანონმორჩილების იმედი ჰქონდეს, რომელნიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს.

8. ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე საქართველომ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, 1993–1994 წლებში შეუერთდა რა გაეროს ადამიანის უფლებათა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს: სამოქალაქო და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტებს, კონვენციებს გენოციდის დანაშაულის აღკვეთის და დასჯის შესახებ და ბავშვთა უფლებების შესახებ. 1999 წელს საქართველო გახდა მონაწილე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციისა. ყველა ეს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება არის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტი. საქართველო არის მონაწილე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენ-

ციისა, რომელიც ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას ნებისმიერ საფუძველზე (კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 ოქმი).

გაერო-სა და ევროპის საბჭოს უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან მიერთებით საქართველომ თავის თავზე აიღო გარკვეული საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებები თავის მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა წინაშე.

ვფიქრობ, რომ ყველა ეს დოკუმენტი ქმნის მკვეთრ სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლებშიც უნდა მოხდეს უმცირესობათა უფლებების რეალიზება და მათი არსებობა უნდა განვიხილოთ, როგორც პოზიტიური ფაქტორი, რომელიც ქმნის ამ მხრივ არსებული პრობლემების დარეგულირების ფუნდამენტს.

ევროპის საბჭოს წევრად განდომის შემდეგ საქართველომ თანხმობა განაცხადა სხვა დოკუმენტებს შორის მოხდინა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება. ამ რეგიონალური ხელშეკრულების ხელმოწერა უკვე დიდი ხანია შედგა, რაც ნათლად მეტყველებს შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობაზე. ვფიქრობ, რომ კონვენციის რატიფიცირება უნდა მოხდეს უმოკლეს ვადებში.

როგორც სპეციალისტს ადამიანის უფლებათა დარგში, მესმის, მაგრამ არ ვიზიარებ ხშირად გამოთქმულ შემფოთებას ჩარჩო-კონვენციის ცალკეული დებულებებისა და მათი რეალიზაციის შედეგების შესახებ. როგორც საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, მოცემული კონვენცია ძლიერ „მოქნილი“ პროგრამული ხასიათის დოკუმენტია, რომელიც გვიტოვებს მრავალ შესაძლებლობას როგორც მისი ინტერპრეტაციისათვის, ისე ეროვნულ დონეზე მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად კონვენციაში ერთმნიშვნელოვნადაა საუბარი მონაწილე სახელმწიფოს სუვერენული უფლებების გარანტიებზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე და რეგიონის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე (მუხლი 21).

9. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი „ეროვნული უმცირესობა“. ვფიქრობ, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ ამ ტერმინს, რომელიც აღნიშნავს „არა-გაბატონებულ პირთა ჯგუფს, რომელთათვისაც დამახასიათებელია გარკვეული ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი თავისებურებანი, რაც განასხვავებს მათ მოსახლეობის უმრავლესობისაგან“ (ერთ-ერთი დეფინიცია, რომელიც გამოყენებულია გაერო-ს ჩარჩოებში).

1. პრობლემები, უდავოდ, არის. კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობები ყოველთვის ატარებენ დესტაბილიზაციის პოტენციალს. საქართველოს შემთხვევაში ანგარიშგასაწვევი ჯგუფებია აზერბაიჯანელები და სომხები, თუმცა, მათი კონფლიქტური პოტენციალი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. აზერბაიჯანელებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია ლოიალობა და უკონფლიქტო თანაარსებობა ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან. ამას ემატება სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც, სავარაუდოა, მომავალშიც იარსებებს. გარდა ამისა, ჩემი დაკვირვებით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების (რომელთა უდიდეს ნაწილს გლეხობა შეადგენს) მიღწევის მოტივაცია, ანუ, არცთუ ზუსტად რომ გამოვიყენოთ მარქსისტული ტერმინი, „კლასობრივი თვითშეგნება“ არაა მაღალი. ყოველივეს გათვალისწინებით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისაგან ნაკლებადაა მოსალოდნელი რაიმე ექსცესები. თუმცა, გარკვეული რისკ-ფაქტორები არსებობს: ესაა აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონების ძალზე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ამ რეგიონების პრობლემების პრაქტიკულად სრული იგნორირება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ძნელია შეფასდეს კონფლიქტურ პოტენციალთან მიმართებაში, მაგრამ გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსათვის. სახელდობრ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ტრადიციულად (სომხებისაგან განსხვავებით), ძნელად ინტეგრირდებიან საქართველოს სოციალურ ქსოვილში; საქართველოს მოქალაქეებად ისინი თავს არ განიცდიან და, ჩემი აზრით, ეს ასე კიდევ დიდხანს დარჩება ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შემთხვევაშიც.

სხვა სიტუაციაა საქართველოში მცხოვრები სომხების შემთხვევაში. პირველ რიგში, იმის გამო, რომ სომხეთის წამყვანი პოლიტიკური ძალების იდეოლოგიას შეადგენს საზღვრების გადასინჯვა და „დიდი სომხეთის“ შექმნა თუ აღდგენა. ამ მიმართულებით, როგორც კარგადაა ცნობილი, სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯია გადადგმული (ყარაბალი, აზერბაიჯანის სხვა რეგიონების ანექსია). მართალია, სომხეთს ტერიტორიული პრეტენზიები, ძირითადად, თურქეთის მიმართ აქვს, მაგრამ ინტერესები ჯავახეთზეც ვრცელდება. ამის ერთ-ერთი ნიშანია თუნდაც სომეხი ავტორების რუსულ და ინგლისურ ტექსტებში ჯავახეთის სშირი მოხსენიება როგორც „ჯავახინი“. ჯავახეთი გაცილებით უფროა ინტეგრირებული სომხეთის ეკონომიკაში, ვიდრე საქართველოსაში. სომხეთი სერიოზულ ინვესტიციებს აყ-

თებს ამ რეგიონში (გზები და სხვ.), მიმოქცევაშია სომხური ვალუტა და ა. შ. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აბსოლუტურად პასიურად ეკიდება მიმდინარე პროცესებს. ტაქტიკური თვალსაზრისით, ასეთი პოლიტიკა შეიძლება გამართლებულიც იყოს, რადგან დღეს არც სომხეთს და არც საქართველოს სიტუაციის გამწვავების ძალა არ შესწევთ, მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სომხეთი რეგიონში მიზანმიმართულ პროგრამას ახორციელებს, საქართველოში კი ამ საკითხზე, პრაქტიკულად, არავინ ფიქრობს.

ზემოთქმული ეხებოდა სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის საფრთხეს. მაგრამ არსებობს კიდევ შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე საფრთხე. როგორც ცნობილია, საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ე. წ. თურქი მესხების რეპატრიაციის ვალდებულება; ეს პროექტი უკიდურეს ნეგატიურ რეაქციას იწვევს ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ისევ სირაქლემის ჩვეულ ტაქტიკას მიმართავს იმ იმედით, რომ პრობლემა რაღაცნაირად თავისით მოგვარდება, რაც ძალიან საეჭვოა. ასეა თუ ისე, ერთი მხრივ ევროსტრუქტურების მოთხოვნა, მეორე მხრივ კი სომეხი მოსახლეობის პოზიცია სერიოზული კრიზისის საფრთხეს შეიცავს.

ბოლოს კიდევ ერთი, ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ფაქტორი. მხედველობაში მაქვს ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ადგილობრივი სომხების როლის ძლიერ ნეგატიური შეფასება აფხაზეთის კონფლიქტის მსვლელობისას (ბაგრაშიანის სახ. ბატალიონი და სხვ.). თქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სომხების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კონფლიქტური პოტენციალი საკმარისად მაღალია, განსაკუთრებით – გრძელვადიან პერსპექტივაში.

2. ისტორიულად, როგორც ეტყობა, საქართველოში ქსენოფობია მართლაც არ ყოფილა. მაგრამ ქსენოფობიის არარსებობა, როგორც ირკვევა, არ ნიშნავს „ქსენოფილიას“ და ტოლერანტობას. როდესაც ქართველებმა თავი სატიტულო ერად იგრძნეს (ეს კი ძირითადად საბჭოთა პერიოდში მოხდა, თუმცა პროცესი XIX საუკუნეში დაიწყო), ეროვნული უმცირესობების მიმართ თავი იჩინა დომინანტურმა დამოკიდებულებამ. ჩემი აზრით, ეს დაკავშირებული უნდა იყოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ დაცვით მექანიზმთან, რომლის ფუნქცია იყო ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება ძლიერი და აგრესიული ძალების გარემოცვის პირობებში. მხედველობაში მაქვს ქართული ეთნოცენტრიზმი (თავისთავად საინტერესოა და სპეციალური კვლევის ღირსია ეთნოცენტრიზმის გამოვლინებები სხვადას-

ხვა კულტურაში), რომელიც შემდეგნაირად შეიძლება შეიძლება დახასიათდეს: „საშუალო“ ქართველი შეიძლება დათანხმდეს, რომ სხვა ერის წარმომადგენლები ქართველებზე ძლიერები, შრომისმოყვარეები, ჭკვიანებიც კი არიან, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათ აკლიათ რაღაცა მთავარი, „ცხოვრების გაგება“, რაც იმთავითვე მათ უფრო დაბალ საფეხურზე აყენებს და მათ მიმართ ირონიანარეკ ქედმაღლურ (ამასთან არააგრესიულ) დამოკიდებულებას განსახვრავს. ასეთი პოზიცია მეტ-ნაკლებად გამოიხატება ნებისმიერი არაქართველის მიმართ, მაგრამ სხვადასხვანაირ საპასუხო რეაქციას იწვევს. თუ დიდი ერის წარმომადგენელთათვის აღწერილი დამოკიდებულება არ უქმნის საფრთხეს მათ იდენტობას, ქართველთა „ტოლდიდი“ და მცირე ერების წარმომადგენელთათვის საქმე სხვაგვარადაა – მათ ეთნიკურ იდენტობას საფრთხე ექმნება, რაც გაღიზიანებას იწვევს (ჩემი აზრით, ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო ანტიქართულ განწყობას ოსებსა და განსაკუთრებით აფხაზებში).

აღწერილმა დაცვითმა ეთნოცენტრისტულმა სტერეოტიპმა შემდგომი განვითარება განიცადა და თვით ქართული წარმოშობის ფაქტი გადაიქცა ფსიქოლოგიურ დასაყრდენად, ხოლო არაქართველის ყოლა ნათესაობაში – „კომპრომატად“ როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე საჯარო არენაზე (საინტერესოა, რომ ეს არ ვრცელდება აფხაზებზე). ფართოდ დაინერგა და აღმატებითი მნიშვნელობა მიიღო უაზრო ტერმინმა „ქართული გენი“ (ვერ ვიკავებ თავს, რომ ერთი პარალელი არ გავავლო. აღდგომის კუნძულზე არსებობს პრივილეგირებული კლანი, ე. წ. „გრძელყურიანები“; მათ ბაცი კანი აქვთ და, სავარაუდოდ, ევროპეიდების შთამომავლები არიან, რითაც ძალიან ამაყობენ. კუნძულზე ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის დროს ადგილობრივ მცხოვრებლებს აუღეს სისხლის ნიმუშები; „გრძელყურიანები“ აბსოლუტურად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი სისხლი დაიჭავენებოდა მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში, სადაც ყველაზე ძვირფასი ექსპონატი განდებოდა).

აღწერილი ვითარების გამო დღევანდელი სიტუაცია შემდეგია. ეროვნებათაშორისი ურთიერთობები გამწვავებული არაა; მოქმედებს პრინციპი: „თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის“. მაგრამ საკმარისია, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი კონკურენციულ ურთიერთობაში შევიდეს სატიტულო ერის წამომადგენელთან, თავს იჩენს დისკრიმინაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრში, ისე სახელმწიფო ორგანოების, მაგალითად, სასამართლოს მხრიდანაც (თბილისში ოსური თემის ლიდერის ცნობით, 2003 წელს მოხდა პირველი შემთხვევა, როცა სასამართლომ საკითხი ოსი მოსარჩლის სასარგებლოდ გადაწყვიტა; საქმე ეხებოდა კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნებას; ამგვარი სარჩლები კი ათეულობითაა შეტანილი).

იგივე სიტუაციაა შერეული ქორწინების „საფრთხის“ შემთხვევაშიც. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ერები რეალურად თანასწორნი არ არიან – ეროვნული უმცირესობები გარკვეულ დისკრიმინაციას განიცდიან; მაგრამ ეს დისკრიმინაცია და, შესაბამისად, უკმაყოფილება, ფართო მასშტაბებს არ აღწევს, ხსენებული პრინციპი „თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის“ გარკვეულად არეგულირებს სიტუაციას. კომპაქტურად დასახლებული აზერბაიჯანელები და სომხები არანაირად განიცდიან თავს საქართველოს მოქალაქეებად და კმაყოფილებიან იმით, რომ ქართული ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება, პრაქტიკულად, არ ერევა მათ საქმეებში გარკვეული „ბეგარის“ საფასურად. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ეროვნული უმცირესობების პასიურობა და მათ მიერ არჩევნებში ხელისუფლების მხარდაჭერა – რეჟიმის შეცვლა არსებულ და დამაკმაყოფილებელ სტატუს-კვოს ემუქრება.

3. ასიმილაცია არარეალურად მესახება, რადგან ეთნიკური მიკუთვნებულობა, ერთი მხრივ, პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ხოლო მეორე მხრივ კავკასიაში, უმთავრეს მარკერს წარმოადგენს, ხშირად რელიგიაზე ძლიერს. ნაციის ცნებისაგან ძალიან შორს ვართ. ეთნიკური ფედერალიზმი ნამდვილად განაპირობებს შემდგომ დესტაბილიზაციას და ქვეყნის დანაწევრებას. კონკრეტული რეკომენდაციების გამოთქმა მიჭირს; შემოვიფარგლები ზოგადი და ამავე დროს ბანალური მოსაზრებებით – ეკონომიკური წინსვლა, სახელმწიფოს გაძლიერება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. და ერთი აუცილებელი რამ – სახელმწიფო პოლიტიკის ქმედითი კონფეცია სამხრეთ საქართველოში.

4. დღეს ვერ ვხედავ ამგვარი დოკუმენტის აუცილებლობას, ძირითადად, კითხვაში მოყვანილი მიზეზების გამო. მეტიც, ამ საკითხის პედალირება შეიძლება სასიფათოც კი იყოს; სავესებით რეალურად მიმაჩნია, რომ ხსენებული დოკუმენტის გარშემო დისკუსია და კამპანია ხელისუფლებამ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა, ტაქტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს, სახელდობრ, უფრო მწვავე პრობლემების მიჩქმალვისა და საკუთარი უნიათობის დასაფარავად. შედეგად კი, შესაძლოა, ეროვნებათაშორისი სიტუაცია მართლაც კრიზისული გახდეს.

5. პრინციპული ცვლილებები ქართულმა სახელმწიფომ შიდა პოლიტიკის ყველა სფეროში უნდა განახორციელოს, რომ ქვეყანას მომავლის პერსპექტივა დაესახოს. საუბედუროდ, სიტუაციის შეცვლის უნარს დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, როგორც სახელისუფლებოში,

ისე თაობიციურში, მე ვერ ვხედავ. რაც შეეხება კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებს, ისინი დაახლოებით იმავე მდგომარეობაში არიან, რაც ქართველებით დასახლებულ რეგიონთა უმრავლესობა, შესაბამისად, კურსიც იგივე უნდა გატარდეს, შესაძლოა, ოდნავ მეტი სიფრთხილით. სახელდობრ, მარტივად რომ ვთქვათ, სოფლის მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ ცხოვრობს სახელმწიფოში, რომელმაც იცის მათი პრობლემები და ზრუნავს მათ გადასაწყვეტად. არაქართულენოვანი სკოლების პროგრამებს არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შესაძლებელია. მიმაჩნია, რომ ასეთ სკოლებში უნდა გაძლიერდეს ქართულის სწავლება. არ ვიტყვი იმავეს საქართველოს ისტორიის შესახებ, რადგან ეჭვი მეპარება, რომ დღეს შეიძლება შეიქმნას კვალიფიციური და პოლიტიკურად კორექტული სახელმძღვანელო. რაც შეეხება კვოტებს, პირადად მე ყოველგვარ კვოტებს, გნებავთ, ეროვნულს, გნებავთ, გენდერულს, ეჭვით ვუყურებ. სახელმწიფომ მხოლოდ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების თანაბარი უფლებები, მათ შორის, სახელისუფლებო სტრუქტურებში მონაწილეობს ასპექტში.

6. მიჭირს თქმა, თუ როგორი უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა სტრატეგია. ჯერ ერთი, ამგვარი სტრატეგია დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებებზე. მეორეც, ინიციატივა ამ მხრივ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ეკუთვნის, სტრატეგიის არჩევა სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი განწყობის საპასუხოდ ხდება. რა თქმა უნდა, სასურველია ინტეგრაციული სტრატეგია, მაგრამ ამისათვის ქართული სახელმწიფო მიმზიდველი უნდა გახდეს (როგორც აფხაზეთთან მიმართებაში). ეს ჯერ-ჯერობით არ ხდება, მეტიც, საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგება ეროვნულ უმცირესობათა „გაქართველებას“ (იხ. პასუხი 2-ე შეკითხვაზე). ყველას ახსოვს: გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მცხოვრები სომხები ლამის მასიურად იცვლიდნენ გვარებს ან ქართულებზე, ან ქართული ფერადობის მქონეზე. ქართულ საზოგადოებაში ეს მხოლოდ ნეგატიურ რეაქციას იწვევდა და პროცესიც შეწყდა. ქართული ენის ხმარების დაკანონება კი, ჩემი აზრით, უნდა ნელ-ნელა გატარდეს.

7. ის, რომ ეროვნული უმცირესობები სერიოზულ „ადმინისტრაციულ რესურსს“ წარმოადგენენ, ფაქტია. ამის მიზეზზე უკვე ვილაპარაკე (იხ. პასუხი მე-2 შეკითხვაზე). რამდენად სწორია ეს სტრატეგია, არ ვიცი; სიტყვა „სწორი“ აქ მთლად კორექტული არ უნდა იყოს. სწორი სტრატეგია ისაა, რომელიც მომავალში სასურველ შედეგს გამოიღებს. მაგრამ რა არის ეთნიკური უმცირესობებისათვის „სასურველი შედეგი“?

ამის დასადგენად სპეციალური გამოკვლევაა საჭირო. ეჭვი მაქვს, რომ „სასურველი შედეგი“ სხვადასხვაა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისათვის. შეიცვლება თუ არა მდგომარეობა? ალბათ. და ამის ნიშნები უკვე არის. ვთქვათ, სამცხე-ჯავახეთში შეიმჩნევა ეთნიკურ ნიშანზე დამყარებული პოლიტიკური ჯგუფების შექმნის ტენდენცია, რაც მე, პირადად, ჩვენს პირობებში, არასასურველად მიმაჩნია. აზერბაიჯანელებში, თუ არ ვცდები, საქმე პირიქითაა, აქ იზრდება ზოგადეროვნული ოპოზიციური პარტიების გავლენა.

8. საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობას სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რაც ვიცი, პროტესტს არ იწვევს, პირიქით. ხორციელდება საგანმანათლებლო, ეკონომიკური, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე ორიენტირებული პროექტები. გარკვეულ ტენდენციურობას ვამჩნევ ზოგიერთ ორგანიზაციას, რომლებიც ქართულ-აფხაზური პრობლემებითაა დაკავებული, თუმცა, ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად ისაა, რომ აფხაზი სეპარატისტები ქართულ მხარეზე გაცილებით უკეთ უზრუნველყოფენ საკუთარი პოზიციის „PR“-ს. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას არ ვიცნობ, მაგრამ მხარს ვუჭერ (გახსოვთ? – Сахарова не читал, но осуждаю...), თუმცა არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს სახელმწიფოს შესწევს უნარი ამ დოკუმენტის მოთხოვნების შესრულებისა.

9. ყველა ტერმინი პირადად ჩემთვის მისაღებია; ოდნავ ეჭვს იწვევს „არაქართული მოსახლეობა“, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ელფერი თუ კონოტაცია შეიძინოს. ისე კი, საუკეთესო გამოსავალი და კარგი დიპლომატიური ნაბიჯი იქნებოდა, თუ თვით „არაქართულ მოსახლეობას“ მივანდობთ ოფიციალური ტერმინის არჩევის უფლებას.

1. საბჭოთა პერიოდში საქართველოში მცხოვრები ეთნოსების განვითარება ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე არ იყო ორიენტირებული. ჩვენს ქვეყანას შეუძლია იამაყოს უმცირესობათა მიერ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლებათა მაღალი დონით. თუმცა, მეორე მხრივ, შექმნილი არ იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სრულყოფილად შესწავლის პირობები ყველა ეთნოსისთვის. რუსული ენა, რომელიც თავის დროზე საერთაშორისო ურთიერთობების ენას წარმოადგენდა, სინადვილეში, ცვლიდა ქართულ ენას. მოგვიანებით, მომხდარი ცვლილებების შემდეგ, ასეთ ვითარებას არ შეიძლება მძიმე შედეგები არ გამოედლო. ამჟამად ჩვენ გვაქვს უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც საერთოდ არ არიან ინტეგრირებულნი ან, თუ არიან, ძალიან სუსტად. შედეგად გამოიკვეთა ქართული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული სფეროებისგან გაუცხოების ნიშნები. ისინი უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილნი ხელისუფლების ორგანოებში, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონალურ დონეზე, საშუალო და მსხვილ ბიზნესში და სხვა. ჩამოუყალიბებელი რჩება მათი სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ცნობილია შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტის არჩევნების დროს ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფელში ზოგიერთი აზერბაიჯანელი ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენებში აზერბაიჯანის პრეზიდენტის გვარს ეძებდა და სხვა.

საქმის ამგვარ ვითარებას შესაძლოა გართულებები მოჰყვეს. დაგროვილი დაძაბულობა მეტწილად უმცირესობათა წარმომადგენლების მასიური ემიგრაციის ხარჯზე იხსნებოდა. ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყნის დატოვების მიზეზს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები წარმოადგენს და არა დისკრიმინაცია. მოცემული გარემოება პრობლემისადმი დამოკიდებულებას ცვლის, თუმცა არ ხსნის მის სიმწვავეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკონომიკურად უკეთ განვითარებული ისტორიული სამშობლოს არსებობა უმცირესობათა ზოგიერთ წარმომადგენელს რეპატრიაციისაკენ უბიძგებს.

ახალ პირობებში უკეთ დაცულნი აღმოჩნდნენ ის უმცირესობები, რომლებიც ცხოვრობენ კომპაქტურად, განსხვავებით იმათგან, რომლებიც გაფანტულად არიან დასახლებულნი (მაგალითად, უზრუნველყოფილი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში). როგორც ადრე, ამჟამადაც მთლიანად უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში მეტწილად ხორციელდება ინკორპორირება მუშობელი ქვეყნების ლინგვისტურ და კულტურულ სივრცეში. არაფერს ვამბობთ, მოცემული გარემოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებზე.

საქმის ამგვარი ვითარება ობიექტურად სტიმულს აძლევს ირედენტოზმს ამ რეგიონებში. იქმნება ნაყოფიერი ნიადაგი სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მოქმედებისათვის. ამჟამად ცენტრალურ ხელისუფლებას ჯერ კიდევ შეუძლია რეგიონების მოსახლეობის ტრადიციული კანონმორჩილებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისადმი პატივისცემის იმედი ჰქონდეს.

2. უამრავი ობიექტური გარემოება არსებობს იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა განიცდიდეს უკმაყოფილებას თავისი მდგომარეობით. მიზეზი საერთოა – გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც სახელმწიფო აღმოჩნდა. მაგრამ ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში ეს უკმაყოფილება სპეციფიკურ ელფერს იძენს. არსაკმარისი ინტეგრირება განგამის გამძაფრებულ გრძნობას იწვევს ეროვნულ უმცირესობებში. ეს კიდევ უფრო აბრკოლებს მათ აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოში არც არსებობს და არც არსებობდა ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ დისკრიმინაციის მიზანმიმართული პოლიტიკა. პირიქით, ჩვენს ქვეყანას, ამ მხრივ, დადებითი ისტორიული გამოცდილება გააჩნია. უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ მათ მიმართ ყოველგვარი პოლიტიკის უქონლობა. მიზეზი საკითხის კონცეფტუალური გაუაზრებლობაა.

როგორც ისტორია მოწმობს, გარდამავალ პერიოდში უმცირესობათა მიმართ მტრული დამოკიდებულება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ეს ჯგუფები ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო მეტად განვითარებულნი აღმოჩნდებიან, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობა. ამჟამად საქართველოში ასეთ ფაქტს ვერ ვხვდებით.

თუმცა, შეუფასებელი არ უნდა დარჩეს ურთიერთუნდობლობის ელემენტებიც. მაგალითად, მკვიდრი მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი საკვებით არ არის დარწმუნებული რეგიონებში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური ან ნახევრადპოლიტიკური ორგანიზაციების ლოიალობაში. მეორე მხრივ, ორგანიზაციის წარმომადგენლები აპელირებენ ცენტრის რეგიონისადმი არასაკმარისი ყურადღების გამო.

3. ასიმილაციაზე (თვით მის მისაღებ ვარიანტზე – ნებაყოფლობით ასიმილაციაზე) სახელმწიფოს არ ეყოფა არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური რესურსები. არ არსებობს კულტუროლოგიური წინაპირობებიც. საუკუნეობით გამოზრდილი ეთნიკური სიამაყე არ არის ის ფონი, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოში უმცირესობების ასიმილაციას. უფრო მეტიც, მას არც მკვიდრი მოსახლეობა მიიღებს. ამჟამინდელი

წინასაარჩევნო კამპანია იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული პოლიტიკოსის არაქართული „ეთნიკური წარსული“ მის წინააღმდეგ და არცთუ წარუმატებლად.

ჩვენი აზრით, თუ ქვეყანა ეთნოფედერალიზმის გზით წავა, ეს მხოლოდ გააღრმავებს საზოგადოების სეგმენტაციას. ეს საშიშროება მით უფრო რეალურია, რაც უფრო ზუსტად ემთხვევა ფედერაციის სუბიექტის საზღვრები უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებს და ემიგრება ისტორიული საშობლოს საზღვრებს. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილები უნდა იყოს უფრო დიდი ტერიტორიული ერთეულების შემადგენელი ნაწილები (სუბრეგიონები რეგიონებში). მაგალითად, ჯავახეთი უნდა იყოს სამცხე-ჯავახეთის შემადგენლობაში, „ახერბაიჯანული“ რაიონები – შიდა ქართლის რეგიონის შემადგენლობაში და სხვა. რეგიონულმა სტრუქტურებმა ბუფერის როლი უნდა ითამაშოს სუბრეგიონსა და ცენტრს შორის, რამაც ამ უკანასკნელთა ინტეგრაციის პროცესი (კერძოდ, საერთო ლინგვისტური არე) უფრო უნდა შეარბილოს. ამავე დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ სამართლებრივი ბაზის შექმნას სუბრეგიონებში თვითმმართველობის სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების მიზნით.

4. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების თანახმად, საქართველოს უნდა მიეღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ. დღემდე რეკომენდაცია არ შესრულებულა. დღემდე არ არის რატიფიცირებული ევროპული ჩარჩო-კონვენცია. გაურკვეველი ვადით გადაიდო სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღება.

ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ კანონი „ნაადრევი“ (თუმცა, არ მიუთითებენ, როდის იქნება ის დროული). ამ შემთხვევაში გამოჭვივის სიფრთხილე, რომელიც ადვილად შეიძლება გაუბედავობაში აგვერიოს.

მსგავსი კოლიზიები წარმოიშვება მაშინ, როდესაც მოვლენა არ არის ახსნილი, არ არსებობს მოქმედების გეგმა, არ არის გამოკვეთილი პრიორიტეტები. სწორედ ამაში მდგომარეობს სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის ამოცანა. ადრე რომ ყოფილიყო იგი წარმოდგენილი, მაშინ ალბათ არ მოუწევდათ „გაწითლება“ შეუსრულებელ ვალდებულებათა გამო და არ ექნებოდა ადგილი პარლამენტში შეხლა-შემოხლას. მაგრამ ეს ლოგიკა დღესაც არ მუშაობს, როცა საქმე ეხება კონცეფციის აუცილებლობას.

5. საჭიროა კითხვები უფრო თამამად დაისვას. დიახ, პრობლემები ნამდვილად ძალიან დელიკატურია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათზე

უნდა გავჩუმდეთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი თავისით გადაწყდება. უნდა მოვერიდოთ აჟიტირებას, ისტერიას მათი განხილვის დროს.

რაც შეეხება კონკრეტულ ზომებს, მართებულია მოვიყვანოთ ბალტიის-პირეთის მაგალითი, რომელთაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება დააგროვეს. ისინი სიამოვნებით აფინანსებენ სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამებს არა მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ მოსახლეობის ყველა კატეგორიის წარმომადგენლებისათვის. საქართველოში ამ რეზერვზე არც კი დაფიქრებულან, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობათათვის სახელმწიფო ენის შესწავლის საკუთარი პროგრამები გამუდმებით კრახს განიცდიდა. გრანტებს დახარბებული ჩვენი ისტებლიშმენტი რატომდაც ვერ ხედავს აუცილებლობას გრანტები ქართული ენის საჭიროებათა გამო მოიპოვონ.

გვარწმუნებენ, რომ დღეს საქართველოს ობიექტურად არ შეუძლია დაასაქმოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მმართველობის რეგიონალური და ცენტრალური დონის ორგანოებში. ასე ვთქვათ, „სანთლით საძებნელია“ მათ რიგებში ადამიანები, რომლებიც ნორმალურად ფლობენ სახელმწიფო ენას. შიდა ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების მაგალითი არ ამტკიცებს ამ თეზისს. ამ რეგიონში კადრების დიდი პოტენციალი გამოუყენებელი აღმოჩნდა. ადგილობრივი აზერბაიჯანელები საშუალო განათლებას ქართულ ენაზე იღებენ, ბევრი მათგანი ამთავრებს ქართულ უმაღლეს სასწავლებელს და არის კვალიფიციური სპეციალისტი. აუცილებელია გააქტიურდეს უმცირესობათა კადრების მოძებნა და მათი გამოყენება. კვოტები მისაღებია იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის არ არიან კადრები, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას.

კონკრეტული ზომები უნდა განვიხილოთ კომპლექსში, ერთიანი კონცეფციის პრიზმაში – ისე, როგორც ეს კეთდება ლატვიასა და ესტონეთში, რომელთაც, დიდი ხანია, გააჩნიათ სამოქალაქო ინტეგრაციის საკუთარი კონცეფციები და იყენებენ მათ სახელმძღვანელოდ.

6. არაინტეგრირებულობის სურვილი შეიძლება განვიხილოთ როგორც გაუგებარი, თუ ის იზოლაციური მოსაზრებებით არ არის გამოწვეული. ყველა შემთხვევაში ინტეგრაცია – ეს არის ურთიერთიმართულებით მოძრაობა, ურთიერთინტეგრაცია, რაც გულისხმობს მიდგომის მოქნილობას, რაციონალური კომპრომისის შესაძლებლობას.

7. ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა მეტი ინტერესით ადევნებდა თვალყურს არჩევნებს აზერბაი-

ჯანში, ვიდრე წინასაარჩევნო კამპანიას მათსავე რეგიონში. ეს კამპანია ნომ მიმდინარეობს უმრავლესობისთვის გაუგებარ სახელმწიფო ენაზე. უმეტეს შემთხვევაში უმცირესობათა წარმომადგენლები გამოდიან სტატისტიკადა. ასეთი სიტუაცია კარნახობს მათ უპირატესობა მინიჭონ „დღევანდელ კვერცხს“, რომელიც მათ ამჟამინდელი ხელისუფლებისგან აქვთ. იგივე მოხდება შემდეგ არჩევნებზეც, თუ ხელისუფლებაში მოვა ოპოზიცია.

როგორც ცნობილია, საქართველოში არ არსებობს ეთნიკურ პრინციპზე შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები. მათი დაარსება შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ ისინი დაეხმარებიან მოსახლეობას სრულფასოვანი არჩევანის ჩატარებაში და არა მცირედით დაკმაყოფილებაში. ამასთან, ისინი უნდა ამოდიოდნენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და იცავდნენ უმცირესობათა ინტერესებს, რათა თავიდან აიცილონ იზოლაციონიზმი, ირედენტინიზმი და სხვ. უმცირესობათა წარმატებული ინტეგრაციის შემთხვევაში ამგვარი პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობის საჭიროება ქრება და აქცენტი კეთდება მოქალაქეთა ენობრივ, ეროვნულ კუთვნილებიდან მომდინარე ინფორმაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

8. თუ საუბარია ევროპის ჩარჩო-კონვენციაზე, მას საქართველო უკვე შეუერთდა. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ჩვენი ქვეყანა ვერ ახერხებს მის რატიფიცირებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცედურისათვის განკუთვნილი ყველა ვადა ამოიწურა. მართებულია საკითხის ასე დაყენება: რატიფიცირება ან კონვენციიდან გამოსვლა. უკანასკნელი ძნელი წარმოსადგენია, თუ გავითვალისწინებთ როგორი დარტყმის მიყენება შეუძლია ამგვარ დემარშს ქვეყნის პრესტიჟისათვის. რჩება რატიფიცირება ან დოკუმენტის რატიფიცირების გაჭიანურება. „ღვინო გახსნილია, უნდა დაილიოს“, ამბობენ ფრანგები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაჭიანურება არ არის საჭირო, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებას შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ საქართველოს არ ძალუძს უმცირესობათა უფლებების იმ ზომით უზრუნველყოფა, რაც კონვენციითაა გათვალისწინებული. კონვენციაში არის დებულებები, რომელთაც შეუძლიათ იმპულსი მისცენ ჩვენი კანონმდებლობის განვითარებას, განსაკუთრებით თვითმმართველობის ორგანოებში უმცირესობათა ენების (დაბალ საფეხურზე, როგორც მინიმუმ) გამოყენების თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ, ეს იმპულსი გარედან მოდის. ჩვენს პოლიტიკოსებს ამ საკითხში თავიანთი პოლიტიკური ნების გამოვლენა არ შეუძლიათ.

საერთაშორისო ორგანიზაციები ავლენენ დელიკატურობას და არ გვაძალუბენ თავიანთ რეცეპტებს, ვინაიდან სავსებით ნათელია, რომ ყოველ

ქვეყანაში უმცირესობათა მდგომარეობა უნიკალურია. ჩვენ გვაქვს გამოცდილება ზოგიერთ ორგანიზაციასთან ეროვნულ უმცირესობათა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტებზე თანამშრომლობისა. თანამშრომლობა, როგორც წესი, ატარებდა გამოცდილების გაცვლის ხასიათს და არ ითვალისწინებდა ზეწოლას.

9. საბჭოთა კავშირში ამ ტერმინებს საკმაოდ მარტივად უდგებოდნენ. საერთაშორისო სამართალში, ჩვეულებრივ, იყენებდნენ ტერმინს „ეთნიკური უმცირესობები“, რაც პირველ რიგში გულისხმობს კულტურულ ერთობას და სწრაფვას შეინარჩუნონ და განავითარონ თავისი კულტურა, თვითმყოფობა. ცნებას „ეროვნული უმცირესობები“ უცხოელი ექსპერტები გარკვეული უნდობლობით ეპყრობოდნენ.

ცნობილი ნორვეგიელი სპეციალისტის, ა. ეიდეს აზრით, ამ ცნების წარმომავლობა ეთნო-ეროვნულ აზროვნებაში ჩანს. უმცირესობა განიხილება როგორც ეთნო-ერის ნაწილი, რომელსაც გააჩნია თავისი სახელმწიფოებრიობა, ან როგორც ეთნო-ერი, რომელიც ცხოვრობს მოცემულ სახელმწიფოში, რიცხვობრივი შეფარდებით წარმოადგენს მცირე ჯგუფს და არ გააჩნია სახელმწიფოებრიობის საკუთარი ფორმები. იდეოლოგიის მთავარი დოგმა, რომელიც შეესაბამება ამგვარ გაგებას – სახელმწიფოებრიობა და ეთნო-ეროვნული ერთობა ურთიერთგანსაზღვრავენ ერთმანეთს. თავის უკიდურეს გამოვლინებაში იგი მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს უბიძგებს ტერიტორიის დაყოფისაკენ, ჯგუფების ეგოისტური ინტერესების სასარგებლოდ უარყოფს ზოგად საზოგადოებრივ პრინციპებს, ასუსტებს საცხოვრებელი ქვეყნის მიმართ ლოიალობას იმ ქვეყნის სასარგებლოდ, რომელიც ეთნო-ერის ისტორიულ სამშობლოს წარმოადგენს.

მსგავს ლოგიკას აბსურდულამდე დაყავს თქვისი ერების თვითგამორკვევის შესახებ. ყველას კარგად მოეხსენება არც თუ უცნობი ე. ბონერისა და გ. სტაროვიტოვას მცდელობები ამ მიმართულებით, რომლებმაც აღნიშნული თქვისი ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიების დაყოფის სასარგებლოდ გამოიყენეს.

ჩვენი საზოგადოება დიდხანს იმყოფებოდა ამგვარი აზროვნების გავლენის ქვეშ და ჯერ არც ისე მალე მოხდება ზოგად საზოგადოებრივ პრინციპებზე ორიენტირება. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე თუ ეთნო-ეროვნული აზროვნების ინერციით ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ უმცირესობას (ე.წ. ავტოქტონურ უმცირესობას) შეუძლია პრეტენზია განაცხადოს სახელმწიფოებრიობის ამა თუ იმ ფორმაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ისტორიული სამშობლო არ გააჩნიათ.

მაგრამ მსგავსი უფლება ვერ ექნება იმ უმცირესობებს, რომელთაც სახელმწიფოებრიობის რაღაც ფორმები გააჩნიათ საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ.

ამასთან, სახელმწიფოებრიობა ყოველთვის არ არის განვითარებისა და ამა თუ იმ ეთნოსის შენარჩუნების გარანტი, უფრო მეტიც: მას შეუძლია იქონიოს უკუეფექტიც. ეს არის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ეთნოსის დემოგრაფიული, კულტურულ-ლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური რესურსებიდან, მისი ისტორიული გამოცდილებიდან. მათი არასაკმარისობის შემთხვევაში ხდება რეჟიმების ეთნოგრატიზაცია, ადგილი აქვს სხვა ეროვნული ჯგუფების უფლებების დარღვევას.

მსგავსი ნიშნები აღენიშნებოდა აფხაზურ ეთნოსს.. პარტიკულარისტული ცხოვრების სტილიდან სახელმწიფოებრიობის ფორმებზე ფორსირებულმა გადასვლამ, რომელიც ხელოვნურად იყო შეტანილი, მიიყვანა ასიმილაციამდე (ამასთან რუსეთის იმპერიის ისტებლიშმენტის სასარგებლოდ), მისი იდენტურობის კრიზისამდე. ისტორიულ სსოვნას, რომელიც გადმოცემებსა და მითებს ემყარებოდა, წერილობითი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში არ შეეძლო წინ აღდგომოდა აფხაზეთის ცნობიერებაში გამონაკლისობის კომპლექსის ფორმირებას.

უნებლიედ ჩნდება აზრი ჩვენს სამართლებრივ ცნობიერებაში შემოვიღოთ ცნება „ეთნიკური უმცირესობა“ ტრადიციული, მაგრამ „მოუხერხებელი“ „ეროვნული უმცირესობის“ ნაცვლად. მაგრამ არსი, რა თქმა უნდა, სიტყვათმეწყობაში არ არის. მთავარია, რა აზრი იდება მათში: არის სურვილი არ დაუკავშიროთ თავი ეთნო-ეროვნულ აზროვნებას თუ არა. სხვათა შორის, იმ პირთა უფლებების დეკლარაციის სახელწოდებაში, რომლებიც ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს განეკუთვნებიან, ეს ტერმინი ფიგურირებს. აღსანიშნავია, რომ ა. ეიდეს აზრით, ამ დეკლარაციაში სწორედ ევროპული სახელმწიფოები უწყობდნენ ხელს ცნების – „ეროვნული უმცირესობების“ – ჩართვას. მასშივე, სხვა კონტექსტში ისინი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა პატივი უნდა სცენ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ტერმინის ძირითადი დატვირთვაა დააფიქსიროს ჯგუფები „nationals“ ე.ი. სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლებზეც ვრცელდება დეკლარაციით აღიარებული უფლებები. როგორც ცნობილია, მოქალაქეობის არმქონე პირთა, მომუშავე მიგრანტების და ა.შ. უფლებები და მოვალეობები სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება.

ის, რომ ტერმინი „ეროვნული უმცირესობები“ დასავლეთ ევროპის სამართლებრივ ცნობიერებაში დაინერგა, უცხოელ სპეციალისტებთან კონ-

ტაქტიკებიც ადასტურებს, მაგრამ ისინი ამას ჩვენს საპატივსაცემოდ არ აკეთებენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ფუძემდებლურ საერთაშორისო დოკუმენტებში არ არის მოცემული ეროვნულ უმცირესობათა განსაზღვრება. მიზეზი საერთო აზრის უქონლობაა. მოცემული პრობლემა საერთოა მთელი საერთაშორისო სამართლისათვის. ამის მაგალითია ერთ-ერთი უკანასკნელი კონვენცია – ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია მიღებული ევროსაბჭოს მიერ 1995 წელს. თუმცა, თითოეული ამგვარი დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებს ხანგრძლივი დებატები ძირითადი ცნებების ფორმულირების თაობაზე.

რაც შეეხება ტერმინს „დიასპორა“, მას არავითარი პოლიტიკური კონოტაცია არ გააჩნია, მაგრამ არც თუ სავსებით სწორად გამოიყენება. სომხები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, წარმოადგენენ დიასპორას თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან მიმართებაში, მაგრამ არა მათი საცხოვრებელი, მოქალაქეობის ქვეყანასთან მიმართებაში.

ივლიანე ხაინდრავა

1. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ფართო და მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი: 1. ისტორიული სამშობლო-სახელმწიფო უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს (აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები); 2. ისტორიული სამშობლო-სახელმწიფო უშუალოდ არ ესაზღვრება საქართველოს (ბერძნები, ებრაელები, პოლონელები და სხვ.); 3. ისტორიული სამშობლო არ წარმოადგენს დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს (ჩრდილო კავკასიელები, ქურთები და სხვ.); 4. ისტორიული სამშობლო დღეს საერთოდ არ ამოიკითხება მსოფლიო რუკაზე (ასირიელები). ამას გარდა, ზოგი უმცირესობა კომპაქტურად სახლობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (აზერბაიჯანელები, სომხები), სხვები კი განთესილები არიან ქვეყნის ტერიტორიაზე. სხვადასხვაა უმცირესობათა რიცხვობრიობა, კონფესიური კუთვნილება, ძირითადი სალაპარაკო ენა და სახელმწიფო ენის ფლობისა და გამოყენების დონე და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები. ეს ყოველივე საკმაოდ რთულ სურათს ქმნის ქვეყნის მასშტაბით და გარკვეულ თავისებურებებსა და პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელთა შორის გამოვყოფ კომპაქტურად მოსახლე უმცირესობებში ქართული ენის მასობრივ არცოდნას, უაღრესად მწირ ინფორმირებულობას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პროცესების შესახებ და, შესაბამისად, გაუცხოების მაღალ ხარისხს.

ამ პრობლემებს მე დღესდღეობით არ მივიჩნევ პირდაპირ და უშუალო საფრთხედ საქართველოსათვის (მისი არსებობისათვის), თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მათდამი სათანადო ყურადღების მიქცევის, ეტაპობრივი და თანამიმდევრული გადაწყვეტის გარეშე პოლიტიკური ვითარების ცვლილების შემთხვევაში ზოგი პრობლემა სრულიად რეალურ საფრთხედ შეიძლება გადაიქცეს. პირველ ყოვლისა, ეს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს შეეხება, რადგანაც საერთო-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათი მოსახლეობის ინტეგრირების ხარისხი უკიდურესად დაბალია. აქედან გამომდინარე, რეალური გავლენა ამ რეგიონებზე საზღვარგარეთიდან (უშუალოდ მეზობელი ქვეყნებიდან, ზოგ შემთხვევაში, შორეული საზღვარგარეთიდანაც კი) აჭარბებს გავლენას თბილისიდან, რაც ნორმალურ ვითარებად ვერ მიიჩნევა.

შიდასახელმწიფოებრივი ეთნიკური კონფლიქტები საქართველოში, რაც კი შეიძლება მომხდარიყო, უკვე მოხდა. სხვა, თეორიულად შესაძლებელი ეთნიკური კონფლიქტი (კომპაქტურად მოსახლე უმცირესობების მონაწილეობით) აუცილებლად სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის განზომილებას შეიძენს (ყარაბაღის გარშემო წარმოქმნილი კონფლიქტის მსგავსად).

კონფლიქტის საბაზად როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური (მათ შორის – საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული) მოტივები შეიძლება მოგვევლინოს. სუსტი, ლეგიტიმაციის დაბალი ხარისხის მქონე, ძირფესვიანად კორუმპირებული, თავისი არსით ანტიდემოკრატიული რეჟიმების არსებობა სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში (გარკვეული ვარიაციებით) სერიოზული კონფლიქტოგენური ფაქტორია რეგიონში (ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი კრიზისიდან ყურადღების საზღვრებს გარეთ გადატანის მცდელობა – „ფოლკლენდების“ სინდრომი).

2. ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებები გამსახურდას მმართველობის ხანმოკლე პერიოდში ნამდვილად იყო (პოსტ-საბჭოთა სივრცეზე საქართველო, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენდა). დღეს კი თქმა იმისა, თითქოს ეთნიკური უმცირესობები მიზანმიმართულ დისკრიმინაციას განიცდიან ქართული სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მხრიდან გადაჭარბებული მგონია; ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეგნებული დისკრიმინაციული პოლიტიკა არ არის ამჟამინდელ ხელისუფალთა სამოქმედო პროგრამის კომპონენტი. თუმცა, ერთი მხრივ – სახელმწიფო დონეზე დემოკრატიის სუსტი ინსტიტუციონალიზაციისა, ხოლო მეორე მხრივ – აზროვნების წესის (მასების მენტალიტეტის) ინერციულობის გამო გამსახურდასდროინდელი ექსცესების რეციდივის ხელალებით გამორიცხვა ალბათ არ შეიძლება: შეგნებული პოლიტიკური ავანტურისტები ან შეუვნებელი ვაიპატრიოტები ყოველთვის გამოხტებიან კრიზისულ ვითარებებში. არსებული არაჯანსაღი მდგომარეობა რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით მიგვანიშნებს საფრთხის არსებობაზე.

დღესდღეობით ეთნიკური უმცირესობების მიმართ არაკეთილმოსურნეობის დემონსტრირება უფრო სტიქიურ, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს რამდენადმე ორგანიზებულ მასობრივ მოვლენას საქართველოში. უბრალოდ, რადგანაც ქსენოფობია არც ქართველებისთვისაა უცხო და სახელმწიფო სტრუქტურებში ქსენოფობიით დასნეულებულ მონელესთან იძულებითი შეხვედრა, თუ ქსენოფობიით შეპყრობილ მეზობელთან უნებლიე კონტაქტი არ გამოირიცხება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომფორტულად თავს ვერ იგრძნობენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები (ნებისმიერი უმცირესობის მსგავსად), საზოგადოდ, ძალიან მგრძნობიარენი არიან მათ მიმართ არაკეთილმოსურნეობის (პირდაპირ დისკრიმინაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ნებისმიერი (თუნდაც, არასაკმარისად შენიღბული პირადული განცდის) გამოხატულების მიმართ. ამიტომ, მატერიალურ სიღუბ-

ჭირეს, უფულებობა-დაუცველობას, ბიუროკრატთა მხრიდან გამომძალველობას და საქართველოს დღევანდელი ყოფის თანმხლებ სხვა პრობლემებსაც ისინი, გარკვეულწილად, ეთნიკური პრიზმით აღიქვამენ. ამგვარ ვითარებაში მათ თავადაც მიუძღვით ბრალი თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოში საქმე ცუდად არის, ამის უპირველესი მიზეზი თვით მოსახლეობის ქმედებები თუ უმოქმედობაა. ეთნიკური უმცირესობები ხშირად კიდევ უფრო პასიურები და გაუბედავები არიან, ვიდრე საკუთრივ ქართველები, თუმცა ამაში მათი ბუნებრივი სიფრთხილე ვლინდება (ისინი ხომ მუდმივ უმცირესობაში არიან!).

3. ასიმილაციური პოლიტიკა ისტორიულად არ ყოფილა დამახასიათებელი ქართველებისათვის; პირიქით – რაიმე განმასხვავებელი ნიშნის გაჩენის შემთხვევაში ისინი ეთნიკურ ქართველებსაც კი გამოჯენისკენ უბიძგებდნენ (მაგ. კათოლიკე ქართველებს „ფრანგებად“ რაცხდნენ). ჩვენს რეალობებში და ჩვენს ეპოქაში, როცა კულტურული მრავალფეროვნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობად არის აღიარებული, ასიმილაციური პოლიტიკა, სხვა თუ არაფერი, განწირულია. ეთნიკური უმცირესობების განცალკევებული არსებობა (რეზერვაცია ამა თუ იმ ფორმით) ოდენ არსებული არაჯანსაღი (და პოტენციურად ფეთქებადსაშიში) მდგომარეობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. მამასადამე, ქართული სახელმწიფო და საზოგადოება უნდა ესწრაფოდეს ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრირებას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში, სამოქალაქო ცნობიერების განვითარება-დამკვიდრებას სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებში.

ზახვასმით აღვნიშნავ: ქვეყანაში არსებობს ისეთი პოტენციურად მძლავრი და ჯერ კიდევ არსებითად აუმოქმედებელი რეზერვი, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობა. სწორედ, რეალური თვითმმართველობის დონეზე შესაძლებელი მრავალი პრობლემის გადაწყვეტა ან შერბილება (განსაკუთრებით – ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თემებში), ადგილობრივი, შემდგომ კი საერთოსახელმწიფოებრივი მასშტაბის პოლიტიკური და სამოქალაქო ლიდერების წარმოჩენა და სხვ.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ზემოთ ნახსენები მრავალფეროვნების გამო ერთიანი და უნივერსალური მიდგომა თითოეულისა და ყველას მიმართ ვერ იარსებებს. შედარებით მცირერიცხოვანმა და განთესილმა სათვისტომოებმა თავად უნდა გამონახონ თვითორგანიზების ფორმები ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, დაამყარონ კონტაქტები სხვა სათვისტომოებთან, მოახდინონ საკუთარი პრობლემების იდენტიფიცირება პრიორიტეტების მიხედ-

ვით, ხმა მიაწვდინონ სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებს და ა. შ.

კომპაქტურად მოსახლე ეთნიკური უმცირესობების შესაძლებლობები იმთავითვე უფრო მაღალია, მაგრამ მიმართული უნდა იყოს არა განცალკევებისა და ამ განცალკევების გაფორმების მცდელობისაკენ (ანუ -სახელმწიფოს შიგნით „სპეციფიკურ მოქალაქეთა“ ერთგვარი კასტის შექმნისაკენ), არამედ სრულფასოვანი ინტეგრაციისაკენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

4. სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია (უმჯობესია, მას პროგრამის სახე მიეცეს), სამწუხაროდ, სასურველია ჩვენს პირობებში, რადგანაც ვერავის ვერაფერს მოსთხოვ, თუკი გასაკეთებელი საქმე ქალაქში არ დაფიქსირდა (ამ შემთხვევაშიც კი შედეგი ხშირად ნულს უტოლდება; მაგ. – ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა). გარდა ამისა, პროგრამამ უნდა აუწყოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც თავს არ იწუხებს მსგავს საკითხებზე ფიქრით, რომ პრობლემები არსებობს, მათი დროული გადაწყვეტა პრიორიტეტული მნიშვნელობისაა და მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების საზრუნავს როდი წარმოადგენს. ეს უნდა იყოს კონკრეტული ალსავე დოკუმენტი, პასუხისმგებელი უწყებებისა და პირების, ეტაპების, დაფინანსების წყაროების მითითებით. ცხადია, ის არ უნდა იყოს დოგმატური ხასიათისა და ცალკეული ქვეპროგრამებისა თუ ეტაპების შესრულების შეფასებისას შეიძლება აუცილებელი გახდეს კორექტივების შეტანაც (ერთგვარი update). პროგრამის შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, სასურველია უცხოელი ექსპერტების კონსულტაციებიც.

5. ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეიგნოს, რომ ეთნიკური უმცირესობები თავის ტკივილის მუდმივი მიზეზი კი არა, არამედ მნიშვნელოვანი და სრულიად არასაკმარისად ამოქმედებული ადამიანური (შრომითი, ინტელექტუალური, თავადაცვითი და ა. შ.) რესურსია. მაგრამ ეს რესურსი მართლაც თავის ტკივილის მიზეზად შეიძლება იქცეს, თუკი არ გატარდება შესაბამისი პოლიტიკა, მიმართული ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრირებაზე. ამგვარი პოლიტიკის ნიშანწყალიც კი არ არსებობს დღესდღეობით. როცა მავანნი სახელმწიფო ენის უზალო ფლობას მოითხოვენ, არსებითად, ჩაკეტილ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისაგან, რატომ იმას არ მოითხოვენ, რომ ჯერ შეიქმნას შესაბამისი პირობები და შესაძლებლობები? ვითარება ყველგან როდია ერთ-

ნაირი, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ბევრს უნდა სახელმწიფო ენის შესწავლა, მაგრამ ადგილებზე ამის არავითარი პირობები არ არის შექმნილი. თუ სახელმწიფო მოსწავლეთა შესაბამის კატეგორიებს სახელმძღვანელოებით (და პედაგოგებით!) არ უზრუნველყოფს, ამას სხვები გააკეთებენ და მერე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მშობლიურ ენაზე განათლებამიღებულმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ისე არ იციან საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და ქართული ლიტერატურა, როგორც ეს სასურველია. სკოლის სახელმძღვანელო, საიდანაც ეთნიკური უმცირესობის წილიდან გამოსული ბავშვი მიიღებს ობიექტურ ინფორმაციას როგორც თავისი ისტორიული, ისე ფაქტობრივი სამშობლოს შესახებ, მისი ჯანსაღი სამოქალაქო პოზიციის საწინდარია. ახალქალაქელმა თუ მარნეულელმა მოზარდმა სკოლაში სწავლის პერიოდში უნდა ნახოს მცხეთაც, ვარძიაც, გელათიც და თელავიც და სახელმწიფომ (სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებამ) ამისთვის სახსრები უნდა გამონახოს. დაუშვებელია, რომ მსხვილ ცენტრებს მოშორებულ რაიონებში მოსახლე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის საქართველო ასოცირებული იყოს მხოლოდ ფულის გამომძალველ ავტონისპექტორთან, უმუქობასა და უმუშევრობასთან...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაკი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაინც იხარჯება სახსრები ზოგი გაზეთისა და ტელე და რადიოარხის შესანახად, საინფორმაციო ვაკუუმში მთელი რეგიონების ყოლა ვერაფერი პოლიტიკაა. თუმცა, ცხადია, არც სახელმწიფოს ანაბარა ივარგებს ამ პრობლემის მიტოვება.

გონივრული მგონია, აგრეთვე, თუკი ზოგ ქართულენოვან სახელმწიფო სკოლაში შემოდებული იქნება (შესაძლოა – ფაკულტატურად) საქართველოში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (აზერბაიჯანული, სომხური) შესწავლა, მით უფრო, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ჩვენი უშუალო მეზობლები არიან.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის კვლავის დაწესებას სახელისუფლო ინსტანციებში, ეს პრაქტიკა, ფაქტობრივად, დღესაც არსებობს. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ხელისუფლებაში აუცილებლად მოიპოვება „ძირითადი“ ეროვნული უმცირესობების თითო-ორი წარმომადგენელი, რომელიც, როგორც წესი, არც არავის არ წარმოადგენს, რადგანაც მოწყვეტილია საკუთარი თემის ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ ამგვარ მანკიერ პრაქტიკას უნდა მოეღოს ბოლო, მისი ადგილი კი ჯანსაღმა კონკურენციამ უნდა დაიკავოს. ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებისას განმსაზღვრელი უნდა იყოს პროფესიონალიზმი და კომპეტენცია და არა ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა.

სხვაა წარმომადგენლობითი ორგანოები. საარჩევნო სისტემა ქვეყანაში უნდა იყოს მოქნილი და მაქსიმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფისაქენ მიმართული, რაც შედის როგორც ეთნიკური ჯგუფების, ისე სახელმწიფოს ინტერესებში. მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მათი სატკივარის გახმოვანება ხდება ხელისუფლების მთელ ვერტიკალზე და, რეალურად არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, პრობლემების მოგვარება უწყვეტად ხორციელდება.

6. გასათვალისწინებელია ის ფუძემდებლური პრინციპი, რომლის თანახმადაც პირს შეუძლია მიაკუთვნოს ან არ მიაკუთვნოს თავი რომელიმე უმცირესობას (მათ შორის – ეთნიკურს); უმცირესობისადმი კუთვნილება ხომ სულაც არ ნიშნავს რაიმე პრივილეგიებით სარგებლობას. უმცირესობებზე ზრუნვის არსი ნებისმიერი ფორმით ან რომელიმე სფეროში მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მათთვის სხვა მოქალაქეებთან გათანაბრებული უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას გულისხმობს. ამგვარი მიდგომის მიზანი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ჰარმონიული, განსხვავებულის მიმართ პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობებისა და ყოველი კონკრეტული ადამიანისათვის თვითრეალიზაციის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბებაა.

ამდენად, თითოეული საკუთარ არჩევანს აკეთებს იმის მიხედვით, თუ როგორ გეგმავს თავის და თავისი შვილების ცხოვრებას. თუკი ადამიანი (ადამიანთა ჯგუფი) თავის მომავალს სტრატეგიულად რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას უკავშირებს, ლოგიკურია, რომ მან აქცენტი ამ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრირებაზე გააკეთოს. ამ შემთხვევაში საჭიროა სახელმწიფო ენის სწავლაც, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ცოდნაც, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში გარკვევაც და ა. შ. ყოველივე ამის ფარგლებსა და ზომებს თითოეული განისაზღვრავს ცხოვრებისეული და კარიერული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

არსებითად, იგივეა სტრატეგია ჯგუფურ დონეზეც. უბრალოდ, ჯგუფებს უკეთ ძალუძთ საკუთარი (თავისი წევრების) ინტერესების დაცვა, ვიდრე ცალკეულ ინდივიდებს. უმცირესობათა ჯგუფების სოლიდარული თანამშრომლობა საერთო პრობლემების მოგვარების მიმართულებით კიდევ უფრო პერსპექტიულია. მარტივად რომ ითქვას, თუკი ერთი კაცის ხმა შეიძლება ვერ გაიგონონ, ათასი კაცის ხმას შეიძლება წაუყრუნონ, ასი ათასი ადამიანის ერთობლივი მოთხოვნის ხელალებით უგულვებელყოფა შეუძლებელია.

7. ეთნიკური უმცირესობების მიერ არჩევნებში ხმის მიცემის დამკვიდრებული პრაქტიკა (სამთავრობო ძალების სასარგებლოდ) დამყარებულია, უპირატესად, ელემენტარულ შიშზე: ვაი თუ, არჩევნებში „ურჩობის“ გამოვლენამ ხელისუფლების მხრიდან „დამსჯელი“ ღონისძიებები გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო გააუარესებს უმცირესობათა მდგომარეობას. ამგვარი ვითარების შენარჩუნებას ყოველმხრივ უწყობს ხელს თავად ხელისუფლებაც, რომელიც ზოგ რაიონს დიდ საარჩევნო ყუთად – ძალაუფლების შენარჩუნების ერთგვარ გარანტიად განიხილავს. პოლიტიკური ოპოზიცია, არსებითად, მოკლებულია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში სისტემატური საქმიანობის შესაძლებლობას, რადგანაც ამ ადგილებში შეღწევის ღამის ყოველი მცდელობა „დესტაბილიზაციისა“ თუ „პროვოკაციის“ მოწყობის მცდელობად ფასდება ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ. პროვოკაციებისა და დესტაბილიზაციის ინსცენირებებს კი თავად ადგილობრივი ხელისუფალნი (უპირველეს ყოვლისა – პრეზიდენტის რწმუნებულები შესაბამის რეგიონებში) აწყობენ ხოლმე, რათა „წესრიგის აღდგენით“ მოახდინონ საკუთარი „ავტორიტეტულობისა“ და „შეუცვლელი“ დემონსტრირება ხელისუფლებაში პოზიციების განმტკიცების მიზნით. ამგვარი ტაქტიკის „ვირტუოზად“ მოგვევლინა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ლევან მამალაძე. შემთხვევითი როდია, რომ მისი დაახლოებული პირი (რომელმაც, საფიქრალია, წარმატებით აითვისა მამალაძის ტექნოლოგია) სწორედ 2003 წ. საპარლამენტო არჩევნების წინ სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა.

იმავედროულად, ოპოზიციაც ამ რეგიონებს მხოლოდ არჩევნების მოახლოებისას გაიხსენებს ხოლმე, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში მისდამი ნდობის ჩამოყალიბებასა და ამაღლებას როდი უწყობს ხელს. ამგვარ პირობებში ეთნიკური უმცირესობების საერთოსახელმწიფოებრივ პოლიტიკურ (მათ შორის – საარჩევნო) პროცესებში სრულყოფილ ჩართვაზე საუბარიც ზედმეტია. აქედან კი პირდაპირი გზაა უმცირესობათა (რეგიონული) პარტიების ჩამოყალიბებისაკენ, რაც ნაკლებად სასურველი, მაგრამ, ეტყობა, ჩვენს რეალობებში გარდაუვალი პროცესია. არსებითად, დღის წესრიგში უკვე დგას შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის (პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კანონის მე-6 მუხლი, რომელიც კრძალავს რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით პარტიების შექმნას) რევიზიის საკითხი. ხოლო თუ ნორმა არ შეიცვლება, მისი გვერდის ავლის გზებიც ადვილად მოიძებნება.

მიუხედავად ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ზოგადეროვნულ პარტიებში ინკორპორირებისა და შესაბამისი პოტენციალის ამოქმედების რესურსი ჯერ კიდევ არსებობს.

8. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა, ცხადია, მიმართულია საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემების შერბილებისა და გადაწყვეტისაკენ, პოტენციური კონფლიქტების პრევენციისაკენ. მართალია, ამ დანხარების მარგი ქმედების კოეფიციენტი ყოველთვის როდია სასურველ დონეზე, მაგრამ სხვას იმაზე მეტი არ უნდა მოვთხოვოთ, ვიდრე თვითონ ვაკეთებთ ჩვენზე პრობლემების მოსაგვარებლად. ნაკლოვანებები საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში განსაკუთრებით მკაფიოდ მაშინ ვლინდება ხოლმე, როცა ხდება სხვა პირობებში აპრობირებული (თუნდაც, წარმატებით) მეთოდოლოგიის დანერგვა კავკასიურ (კერძოდ, საქართველოს) რეალიებში, სადაც, ბუნებრივია, არსებობს განუმეორებელი სპეციფიკა. სტანდარტული თუ უნივერსალური ხერხებისაკენ სწრაფვა ზოგადად არის დამახასიათებელი დასავლური (უპირველეს ყოვლისა, ამერიკული) ინსტიტუტებისათვის, რაც ყველგან და ყოველთვის ერთნაირი წარმატების საწინდარი როდია. სემინარებისა და ტრენინგების სერიები, სადაც საუბარია მაღალ მატერიებზე (საერთაშორისო დოკუმენტები, ნორმები, მექანიზმები) და მსმენელთა პრაქტიკულად ერთი და იგივე შემადგენლობა იყრის თავს, ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ერთი, თუნდაც არა ყოვლისმომცველი, პრობლემის გადაჭრა ადგილზე. ანუ, ყოველ დონისძიებას თავისი დაგეგმილი და მიღწევადი შედეგი უნდა ჰქონდეს; უნდა გაჩნდეს და გამოჩნდეს დინამიკა და ეს დინამიკა პოზიტიური უნდა იყოს.

ამასთან, სულაც არ უარვყოფ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების აუცილებლობას, მათ შორის – საერთაშორისო კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის გაცნობის მხრივ (როგორც რიგითი მოქალაქეებისა, ისე ადმინისტრაციული მუშაკებისათვის). ოღონდაც ამ პროგრამებმა მონაწილეთა უფრო ფართო სპექტრი უნდა მოიცვან, ხოლო აუდიტორიასთან ურთიერთობის ინსტრუმენტარი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტორიის თავისებურებებს უნდა პასუხობდეს.

ვფიქრობ, რომ სათანადო მომზადების შემდეგ (ეს მზადება დროში უსასრულოდ არ უნდა გაიწელოს), საქართველომ უნდა მოახდინოს ჩარჩოკონვენციის რატიფიცირებაც. მომზადება კი იმიტომაცა საჭირო, რომ შეიქმნას პირობები კონვენციით გათვალისწინებული ნორმების ასამოქმედებლად და არ მივიდოთ ვითარება (როგორც ეს არაერთხელ მომხდარა), როცა დეკლარაციასა და პრაქტიკას შორის ღრმა უფსკრულია.

9. მიუღებელი მგონია ტერმინი „არაქართული მოსახლეობა“, რომელიც ნეგაციაზეა აწყობილი და იმთავითვე უარყოფით ასოციაციებსა და განცდებს აღძრავს (მიმართულია გამიჯვნისაკენ და არა ინტეგრირებისა-

კენ). „დიასპორა“ უბრალოდ არ შეესაბამება იმ შინაარსს, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ცნების აღმწერი ტერმინი: სომხეთისათვის საქართველოში მცხოვრები სომხობა წარმოადგენს სომხური დიასპორის ნაწილს, მაგრამ საკუთრივ საქართველოსათვის კი – არა. ტერმინი „ეროვნული უმცირესობა“ კი ერთგვარ არქაიზმად აღიქმება იმ ვითარებაში, როცა ამოცანას წარმოადგენს საერთოეროვნული, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა. ამდენად, საფიქრალია, რომ თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა უნდა დაენერგოს და ვისარგებლოთ ტერმინით „ეთნიკური უმცირესობა“, თუმცა, პირადად, მე ეს ტერმინიც უხერხულად მეჩვენება. ასეა თუ ისე, ის ფაქტის კონსტატაციას ახდენს და სხვებთან შედარებით ნაკლებად მტკივნეულად და გამომწვევად ჟღერს.

გიორგი ხუციშვილი

1. პრობლემებს, რა თქმა უნდა, ვხედავ. უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი, რომ საქართველოს კულტურულ-ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი „მულტიკულტურალიზმი“ ჩვენი უდიდესი განძია; ქვეყანაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის არსებობა მას თავისთავად არავითარ საფრთხეს არ უქმნის. რაც შეეხება კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს, მაგ. სომხებს ჯავახეთში და სხვ., ესეც თავისთავად საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ წარმოადგენს ე. წ. რისკის ფაქტორს. საფრთხეს ქმნის გაუმართავი და არასწორი ეროვნული პოლიტიკა ეროვნული თუ სხვა ჯგუფებისა და რეგიონების მიმართ.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში მიმდინარეობს და ღრმავდება ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება და მარგინალიზაცია, არსებობს ფარული დისკრიმინაციის მრავალი ფაქტი, სატიტულო ეთნიკურ ჯგუფში ფართოდაა გავრცელებული ეთნონაციონალიზმი. ამის გამო ძნელად მოსალოდნელია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები სახელმწიფოს ინტეგრალურ ნაწილად აღიქვამენ თავს და გაითავისებენ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ან ქვეყნის დაცვის ამოცანას.

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ მასმედია არ უთმობს ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას იმ მოჩვენებითი მიზეზის გამო, რომ მოსახლეობას ეს საკითხები ნაკლებად აინტერესებს (მიიჩნევა, რომ მოსახლეობას უფრო ის აინტერესებს, თუ ვინ ვის რამდენ წიხლს ურტყამს პარლამენტში). მიუხედავად ამისა, ეთნიკურ ნიადაგზე ახალი კონფლიქტების აღმოცენების საფრთხეს ნაკლებად ვხედავ.

2. საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა გამორიცხავს ეთნიკური უმცირესობების ყოველგვარ დისკრიმინაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ ეთნიკური ქართველების მხრიდან ტრადიციულად კორექტული დამოკიდებულებაა. ამავე დროს, ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულია ეთნიკური ნიშნით ადამიანების დაყოფა და შეფასება, სხვადასხვა ცრურწმენა, ზოგიერთი მეზობელი ეროვნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, თითქმის ზიზღის გამოხატვა არა მხოლოდ ყოფით დონეზე და კერძო საუბრებში, არამედ პრესის ფურცლებზეც. ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ვერბალური დისკრიმინაცია სერიოზულ პრობლემად ჩაითვალოს. როდესაც ტელეეკრანზე მიდის სერიოზული მსჯელობა იმის თაობაზე, დასამკვირვებია თუ არა, რომ სომხური ელემენტის შემცველი სისხლის მქონე პოლიტიკოსებმა მართონ ქვეყანა, იმ ქვეყანაში უკვე სერიოზული პრობლე-

მა. აქედან გამომდინარე, არაქართველები საქართველოში თავს ძალიან ხშირად დაუცველად და არასრულფასოვნად აფასებენ. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიღუფიერი და სოციალური პრობლემები ობიექტურად უარყოფით გავლენას ახდენს მდგომარეობაზე და კიდევ უფრო ამუქებს ამ სურათს. 2003 წლის 4 მარტის საქართველოს პრეზიდენტის N68 განკარგულება სწორედ პრობლემის სიმწვავეთა გამოწვეული, და მასში ჩამოთვლილია ის ძირითადი პარამეტრები, რომლითაც მდგომარეობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

3. ყველაზე უკეთეს და ჩვენი პირობებისთვის შესაფერის ვარიანტად მიმაჩნია ეროვნული ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში, სადაც 'ქართულობა' უკვე არა გენეტიკურ-ეთნიკურ, არამედ მოქალაქეობრივ საფუძველზე განისაზღვრება. ახალი ავტონომიების შექმნა ამ ისტორიულ ეტაპზე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია.

4. სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციამ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს როგორც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა ნორმატიული დარეგულირების თვალსაზრისით, ასევე ზოგიერთი სამართლებრივი დავის გადაწყვეტისას. სამიშრობა იმაშია, რომ ამას თუ არ მოჰყვა საზოგადოებაში რეალური ძვრები – მოსახლეობამ არ მიიღო სამოქალაქო განათლება – ეს კონცეფცია ფარატინა ქალაქად დარჩება და ქვეყანაში არსებულ რეალობას მოსწყდება.

5. გასატარებელია სერიოზული ღონისძიებანი, რათა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირება მომავალ (ცივილურად განსაზღვრულ) ქართულ საზოგადოებაში უკეთესად წავიდეს, რაც ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამების გარეშე ვერ განხორციელდება. ვინაიდან მენტალიტეტის შეცვლა ასე სწრაფად და ადვილად არ ხდება, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება დემოკრატიული ღირებულებების და სამოქალაქო ინსტიტუტების შენება, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში. პასპორტში ან პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტში ეროვნების გრაფის შემოღება დაუშვებლად მიმაჩნია მრავალი მიზეზის გამო; ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეს გააღვივებს უკვე არსებულ გაუცხოებას. რაიმე კვოტების შემოღება ასევე არ მიმაჩნია დასაშვებად: ეს იქნებოდა ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაციის მაჩვენებელი და ეწინააღმდეგება სამოქალაქო ინტეგრაციის პრინციპებს.

6. ჩემთვის მისაღები პასუხი უკვე გაცემულია პირველ ვარიანტში: „მათი პრიორიტეტი: ზრუნვა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე (ქართული ენის სწავლა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცნობრებაში უფრო აქტიური მონაწილეობა)“, და ნაწილობრივ, მეორეში: „ბრძოლა უმცირესობების დაცვის სახელმწიფო გარანტიების მოსაპოვებლად“, ოღონდ, თუ ამაში არ იგულისხმება კვოტების მოპოვება.

7. ხელისუფლების უპირობო მხარდაჭერა არჩევნების დროს წარმოადგენს უმცირესობის ჯგუფის ძირითად მოსახლეობაში არაინტეგრირებულობის და გაუცხოების (თუ არა მარგინალურობის) ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორს. ესაა თავისთავის მეორეხარისხოვანად, უუფლებოდ და არასრულფასოვნად თვითაქმის შედეგი. ამის ალტერნატივა თუ განხორციელდა და ეთნიკური ჯგუფები უფრო აქტიური და ორგანიზებული გახდნენ, არსებულ პირობებში „მათი ხმები ზოგადდროულ პარტიებს შორის გადანაწილება“. ლოკალურ ბაზაზე აღმოცენებული „ეთნიკურ ბაზაზე დამყარებული პარტიები“, მაგ. ჯავახეთში ან მარნეულში, ზოგადპოლიტიკურ სპექტრში მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებენ. თუმცა, სეპარატიზმის გაღვივების შემთხვევაში, მათი როლი გაიზრდება.

8. საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობას საქართველოს ეთნიკური უმცირესობის პრობლემების გადაჭრაში მე დადებითად ვაფასებ: ისინი, ცალსახად, უფრო ეხმარებიან საქართველოს პრობლემების გადაჭრაში, ვიდრე ართულებენ მის პრობლემებს. ამავე დროს, ეს დახმარება ხშირად ფორმალური და ზედაპირულია. ეთნიკური უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხში საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია არაა მცდარი ან ტენდენციური. მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველო შეუერთდეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას.

9. კითხვარის ავტორებს უკვე აქვთ შერჩეული ტერმინი 'უმცირესობა'. მე არ მომწონს ტერმინი „უმცირესობა“ (დისკრიმინაციული ელფერი აქვს), მიჩვენია „ჯგუფი“ ან „დიასპორა“. ტერმინები „არაქართული მოსახლეობა“, „ეროვნული უმცირესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „დიასპორა“ – ყველა მისაღებია გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევებში. ასევე, 'ეთნიკური ჯგუფის' მაგივრად ზოგიერთ კონტექსტში აჯობებს 'ეროვნული ჯგუფის' ხმარება. მიუხედავად ამისა, „უმცირესობის“ ხმარება შესაძლებლად მიმაჩნია, თუ ყურადღებას მივაქცევთ კონტექსტს.

2. სიტუაციის ანალიზი და რეკომენდაციები

საქართველოს პოლიეთნიკურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის

გია ნოღია

საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი მოსახლეობის იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც „ეთნიკურ უმცირესობებად“, „დიასპორებად“ ან „არა-ქართველ მოსახლეობად“ იწოდება; სხვა სიტყვებით, საქართველო მრავალეროვნული, ანდა, როგორც ამას სულ უფრო ხშირად ვამბობთ ხოლმე – მრავალეთნოსური ქვეყანაა. ეს გახლავთ რეალობა, რომელსაც შეიძლება სხვადასხვაგვარად მივუდგეთ: ის შეიძლება აღეწეროს როგორც ფაქტი; შესაძლოა მისდამი შემფასებლური დამოკიდებულება, ანუ სუბიექტური პოზიცია ვიქონიოთ; ანდა შეიძლება იმაზეც ვიფიქროთ, როგორ მოვეპყროთ მას, ე.ი., როგორია – და როგორი უნდა იყოს – ეთნოსებთან ურთიერთობის პოლიტიკა.

წინამდებარე ნარკვევში მოკლედ შევხები ამ საგნის სამივე ასპექტს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც პოლიტიკური ასპექტი მიმაჩნია: კერძოდ, ის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოს ყველა მოქალაქის ინტეგრაციის ხარისხის ასამაღლებლად, ე.ი. საიმისოდ, რომ – მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა – შესაძლებელი და რეალური გახდეს მათი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამასთან, თავისთავად ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა „გაყინული“ კონფლიქტების პრობლემა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მაინცადამაინც არ შევხები. ამ კონფლიქტების შედეგად ორი თვითადიარებული სახელმწიფო არსებობს, რომლებიც თავს საქართველოსაგან დამოუკიდებლად მიიჩნევენ, რეალურად, აკონტროლებენ სათანადო ტერიტორიებს (საქართველოს მთელი მიწა-წყლის 15%-ს) და საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე, ფაქტიურად, არ ვრცელდება. ამ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემებიც „ეთნიკური უმცირესობების“ პრობლემებია: საერთაშორისო სამართლის და ოფიციალური ქართული თვალსაზრისით, აფხაზები და ოსები საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობებია და კონფლიქტები ამ უმცირესობების სტატუსს შეეხება. მაგრამ რაკი ამ მხარეების მოსახლეობა არ მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და არც მონაწილეობის რაიმე სურვილს ამჟღავნებს (ქართველ მაცხოვრებლებს თუ არ ჩავთვლით), ასეთი მონაწილეობის კონკრეტული პირობების განხილვას დღეს წმინდაწყლის გონებაჭვრეტითი ხასიათი ექნებოდა.

ეთნოდემოგრაფიული სურათი

2002 წლის ბოლო აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოს მოსახლეობის 83,7%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. შესაბამისად, 16,3% ეთნიკური უმცირესობებია. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 1989 წელს ჩატარებულ აღწერასთან შედარებით, როცა უმცირესობების წილი 29,9% იყო, მკვეთრად შემცირებულია. ამ ცვლილებებს შემდეგი ცხრილი წარმოაჩენს:

ეროვნება	რაოდენობა (ათასი კაცი) 1989წ	რაოდენობა (ათასი კაცი) 2002წ	წილი მთელ მოსახლეობაში - 1989წ.	წილი მთელ მოსახლეობაში - 2002წ.
ყველა	5400,8	4371,5	100	100
ქართველები	3787,4	3661,1	70,1	83,7
სომხები	437,2	248,9	8,1	5,7
რუსები	341,2	32,6	6,3	0,75
აზერბაიჯანელები	307,6	284,8	5,7	6,5
ოსები	164,1	38,0	3,0	0,87
ბერძნები	100,3	15,1	1,9	0,35
აფხაზები	95,9	3,5	1,8	0,0008
უკრაინელები	52,4	7,0	1,0	0,0016

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამავე პერიოდში მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობაც მკვეთრად შემცირებულია. შესაბამისად, კლება აბსოლუტურ ციფრებში უფრო თვალსაჩინოა: 1 613 ათასი კაციდან 703 ათას კაცამდე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ექსპერტი ეჭვის თვალით უყურებს მოსახლეობის ორივე აღწერის ხარისხს და გვირჩევს, რაც შეიძლება ფრთხილად მოვეპყროთ მათ შედეგებს. კერძოდ, მოსახლეობის ეთნოსური უმცირესობების რაოდენობას და წილს შესაძლოა ორივე აღწერის მონაცემები რეალურზე ნაკლებს აჩვენებდეს. არადა, ინფორმაციის უფრო სანდო წყაროები ჩვენ არ გავაჩნია, თანაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი სურათი გვაინტერესებს, რომლის შესაფასებლად წარმოდგენილი მონაცემებიც იყარება.

ეთნოსური უმცირესობების წილის ასეთი მკვეთრი შემცირება მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში, ძირითადად, ორი ფაქტორის ხარჯზე მოხდა: ჯერ ერთი, აღწერაში არ შევიდა ორი ჩამოჭრილი ტერიტორიის, აფხაზეთის და ოსეთის, მოსახლეობა, სადაც 1989 წლის აღწერის დროისათვის მთელი მოსახლეობის 13-14%-მდე ცხოვრობდა, თანაც ამ ხალხის დიდ ნაწილს არაქართველები შეადგენდნენ (ამ ტერიტორიების ეთნოსურად ქართველი მოსახლეობის უმეტესობა აღწერის მონაცემებში იძულებით ადგილნაცვალა პირის ნიშნით მოხვდა). მეორეც, მოსახლეობის შემცირება მასობრივმა ემიგრაციამაც გამოიწვია. საქართველოდან ემიგრ-

რაციაში ყველა ეროვნების ხალხი წავიდა, მათ შორის ძალიან ბევრი ქართველიც, მაგრამ საფიქრალია, რომ უმცირესობების წარმომადგენლები ქართველებზე მეტნი გავიდნენ.

ეროვნული მოძრაობის და გამსახურდიას ხელისუფლების დროს ძალადობრივი ზეწოლის – ან როგორც ამბობენ, „ეთნიკური წმენდების“ (სხვათა შორის, შედარებით რბილი ფორმით გატარებულის) შედეგად – ბევრი ადამიანი იძულებული გახდა ქვეყნა მიეტოვებინა: ეს ეხება აზერბაიჯანელებს, რომლებიც ბოლნისიდან წავიდნენ, ოსებს, რომლებიც მოგვიანებით საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან გააძევეს, ლეკურ სოფლებს კახეთში. შევარდნაძის მმართველობის ხანაში მსგავსი ზეწოლა არ მომხდარა და ადამიანთა უმეტესობისთვის ემიგრაციის ძირითადი მოტივაცია ეკონომიკა გახდა. მაგრამ საფიქრალია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თავიანთი პროფესიული და ეკონომიკური ზრდის ნაკლებ პერსპექტივას ხედავენ ქართველებთან შედარებით და ამიტომ უფრო მეტად მიუწყევდათ და მიუწყვეთ გული ემიგრაციისაკენ. იმ ქვეყნებთან კულტურულმა სიანხლოვემ, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობაც მკვეთრად უკეთესია, ვიდრე საქართველოსი, ასევე შეუწყო ხელი ემიგრაციის უფრო მაღალ მაჩვენებელს სათანადო უმცირესობებს (მაგალითად, რუსებს, ბერძნებს, ებრაელებს) შორის.

რაკი შობადობის მაჩვენებელი უმცირესობათა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებში – როგორებიც არიან აზერბაიჯანელები და სომხები – საქართველოში ტრადიციულად უფრო მაღალია, ვიდრე ქართველებში, ეს ფაქტორი, ბუნებრივია, არ განაპირობებს უმცირესობების წილის შემცირებას საქართველოს მოსახლეობაში. პირიქით, სხვა ფაქტორებმა უნდა გააბათილონ შობადობის დონეებს შორის არსებული ეს სხვაობა, რომელსაც, თავისთავად, საპირისპირო შედეგამდე, ანუ უმცირესობების წილის ამაღლებამდე უნდა მივყვანეთ.

ძირეულადაა შეცვლილი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობრივი თანაფარდობაც. პირველი ფაქტორი (ჩამოჭრილი ტერიტორიები) გასაგებს ხდის იმ ეთნიკური ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებას, რომლებიც უფრო ჭარბად იყვნენ წარმოდგენილები ამ ტერიტორიებზე: აფხაზების, ოსების, რუსების, სომხების. რაც შეეხება საკუთრივ ემიგრაციის ტენდენციებს, სავარაუდოა, რომ უფრო იმ ჯგუფების წარმომადგენლები წავიდნენ ემიგრაციაში, რომელთა „ეთნიკურ სამშობლოს“ შექმლო მათთვის ცხოვრების მკვეთრად უკეთესი ეკონომიკური პირობები შეეთავაზებინა (რუსები, ბერძნები, უკრაინელები). ამ ლოგიკის თანახმად (ორივე ფაქტორის ერთობლივობით), ბუნებრივია, მსხვილ ეთნიკურ ჯგუფებს შორის საქართველოში ყველაზე ნაკლებად აზერბაიჯანე-

ლების რაოდენობა შემცირდა: 1989 წელთან შედარებით აზერბაიჯანელების რაოდენობა დაახლოებით იმდენჯერვე შემცირდა, რამდენჯერაც ქართველების რაოდენობა, მაშინ როცა მათი წილი მთლიან მოსახლეობაში გაიზარდა და აზერბაიჯანელები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური გახდა ქართველების მერე.

განსახლების ტიპები და ინტეგრირებულობის ხარისხი

რაოდენობრივი მაჩვენებლის გარდა, ეთნიკური ჯგუფების კლასიფიკაცია კულტურულ-ისტორიული პრინციპით და ამ ჯგუფების განსახლების თავისებურებების გათვალისწინებითაც შეიძლება, რაც თავის მხრივ ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ხარისხთან და სახესთან, ანუ მათი ინტეგრაციის დონესთან და ტიპთანაა კორელაციაში. პირველ ყოვლისა, ის ჯგუფები უნდა გამოვყოთ, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ გარკვეულ ტერიტორიებზე, ამასთან, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მეზობელ სახელმწიფოებში მოსახლე მათი ეთნიკურად მონათესავე ხალხების მომიჯნავეა. საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განსახლების ხუთი ასეთი ზონაა: ორი ჩამოჭრილი ტერიტორიის გარდა, ეს არის სამცხე-ჯავახეთი (სომხური მოსახლეობით) და ქვემო ქართლი (აზერბაიჯანული მოსახლეობით), აგრეთვე ვაინახების – ჩეჩნების და ინგუშების – მონათესავე მცირერიცხოვანი ქისტი მოსახლეობა, რომელიც პანკისის ხეობაშია თავმოყრილი.

მხარე/რაიონი	სულ	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	ქისტი
ქვემო ქართლი	497,5	222,5	224,6	31,8	0,2
<i>ქ. რუსთავი</i>	116,4	102,1	5,0		
<i>ბოლნისის რ-ი</i>	74,3	19,9	49,0		
<i>გარდაბნის რ-ი</i>	114,3	60,8	50,0		
<i>დმანისის რ-ი</i>	28,0	8,6	18,7		
<i>მარნეულის რ-ი</i>	118,2	9,5	98,2		
<i>თეთრი წყაროს რ-ი</i>	25,4	18,8	1,6		
<i>წალკის რ-ი</i>	20,9	2,5	2,0		
სამცხე-ჯავახეთი	207,6	90,0	0,06	113,3	
<i>ადიგენის რ-ი</i>	20,7	19,8		0,7	
<i>ასპინძის რ-ი</i>	13,1	10,7		2,3	
<i>ახალქალაქის რ-ი</i>	61,0	3,2		57,5	
<i>ახალციხის რ-ი</i>	46,1	28,5		16,9	
	32,4	27,3		3,1	
	34,3	0,5		32,9	
<i>ახმეტის რ-ი</i>	41,6	31,2	0,15	0,1	6,9

ასეთი ზონები, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ყურადღებას მოითხოვს და ხშირ შემთხვევაში პოტენციური კონფლიქტების კერებადაც განიხილება, რადგან მათი თვით არსებობაც კი სეპარატისტული და ირედენტული პოლიტიკური პროგრამების შექმნის, ანუ „ეროვნული თვითგანსაზღვრების“ (როგორც წესი, გამოყოფის თუ სეცესიის) და „ისტორიულ სამშობლოსთან“ შეერთების და შესაბამისი პოლიტიკური მოძრაობების აღმოცენების საწინდარია. ჩვეულებრივ, ეს პროგრამები ეროვნული ისტორიის ვერსიებით არის შემავრებული, რომლის თანახმადაც მოცემული ტერიტორია სწორედ ამა და ამ (და არამც და არამც მეზობელი) ეთნოსური ჯგუფის „ძირძველი“ საცხოვრისია, რის გამოც პოლიტიკურ კონფლიქტებს წინ აკადემიურ (ანდა არც ძალიან აკადემიურ) ისტორიკოსებს შორის ბატალიები უსწრებს ხოლმე.

აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ ლაპარაკია მხოლოდ კონფლიქტების პრინციპულ შესაძლებლობებზე და არა იმაზე, რომ ასეთი კონფლიქტები ნამდვილად მოსალოდნელი, ან მით უმეტეს, გარდაუვალია. ასეთი რეგიონის მკვიდრები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმით, რომ ინტერესს მათდამი მაინცდამაინც კონფლიქტების თვალსაზრისით იჩენენ ხოლმე; თვით სიტყვა „კონფლიქტის“ ხშირი წარმოთქმაც კი იქ, სადაც, კაცმა რომ თქვას, ეთნოსურ ნიადაგზე არც არავითარი კონფლიქტი არ ხდება, მათი აზრით, ხელოვნურად იწვევს დაძაბულობას საზოგადოებაში. თუმცა, ისიც გასაგებია, რატომ იჩენენ მოჭარბებულ ინტერესს მაინცდამაინც ასეთი რეგიონების მიმართ.

სსრ კავშირის დაშლის დროს, ორ შემთხვევაში – აფხაზეთში და ოსეთში – მართლაც დაარსდა ასეთი მასობრივი პოლიტიკური მოძრაობები ნაციონალისტური პროგრამების საფუძველზე, რამაც ეთნო-პოლიტიკურ ომებად და ტერიტორიების საქართველოდან ფაქტიურ ჩამოჭრამდე მიგვიყვანა. დანარჩენ რეგიონებში ასეთი კონფლიქტები არ ყოფილა, მეტიც, არ წარმოქმნილა არანაირი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ღიად წამოაყენებდნენ სეპარატულ და ირედენტულ მოთხოვნებს. და მაინც, ქართულ საზოგადოებაში ხანდახან გამოითქმის გარკვეული წუხილი და ეჭვი, რომ მსგავსი მოძრაობების წარმოქმნის პოტენციული შესაძლებლობა არსებობს და რომელიდაც ფარული ძალა ხელსაყრელ დროს ელოდება შესაფერისი მოთხოვნების წამოაყენებლად. ამ ფონზე ზოგი ჯავახელი საზოგადო მოღვაწის გამონათქვამი ამ რეგიონის ავტონომიის შესახებ ქართულ საზოგადოებაში უაღრესად მწვავე რეაქციას იწვევს, რადგან ეს, ჩვეულებრივ, სეპარატისტული პროგრამების ფორმულირების პირველ ნაბიჯად აღიქმება. ასეთი წუხილი გასაგებია, განსაკუთრებით, ახლახან შეძენილი გამოცდილების ფონზე: სსრ კავშირის ადმინისტრაციული მოწყობის თანახმად, სა-

ქართველოში სამი ავტონომიური წარმონაქმნი შედიოდა: აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და აჭარის. პირველ ორ მათგანში სისხლიანი კონფლიქტები მოხდა, ხოლო აჭარას, თუმცა არასოდეს სეპარატისტული პროგრამა არ წამოუყენებია, – მისი ცენტრთან ურთიერთობა ყოველთვის პრობლემატური იყო. აქედან ლოგიკური ჩანს იმის ვარაუდი, რომ ტერიტორიულ-ავტონომიური ერთეულების – განსაკუთრებით ეთნო-ეროვნულ საფუძველზე წარმოქმნილი ერთეულების – თვით არსებობაც კი თავისთავად უქმნის საფრთხეს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

როგორც წესი, მსგავსი რეგიონების არაქართველი მოსახლეობის უმეტესობა ქართულ ენას ვერ ფლობს და კულტურული თვალსაზრისით მცი-რედინტეგრირებულია უძრავლეს მოსახლეობასთან. ეს პრობლემების ორ წყებას ქმნის. ერთი მხრივ, ასეთი ინტეგრირების არარსებობა ობიექტურად ელობება პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში უმცირესობების რეალურ მონაწილეობას და ამცირებს ეკონომიური და კარიერული წარმატების მათ შანსებს. უმცირესობის წარმომადგენლები მსგავს რეგიონებში ნეგლებინფორმირებულები არიან პოლიტიკური ცხოვრების თაობაზე, დამატებით სიძნელეებს აწყდებიან სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში და თავს უძრავლესობისაგან გაუცხოვებულებად გრძნობენ. მეორე მხრივ, თვითონ ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდი ჯგუფები ქართულ ენას ვერ ფლობენ, ქართული მოსახლეობის გადაჭარბებულ უნდობლობას იწვევს: მათ უღრმავდებათ ეჭვი, რომ უმცირესობების წარმომადგენლები არასაკმარისად ლოიალურები არიან ქართული სახელმწიფოს მიმართ.

უმცირესობის მოსახლეობის მეორე ნაწილი დისპერსიულად, ანუ ქართულ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობს – მეტწილად ქალაქებში. შუალედურ ვარიანტად შეიძლება მიგვეჩნია ეთნოსური უმცირესობების სოფლების არსებობა, ოღონდ, უპირატესად ქართულ რეგიონებში. აქ ქართული ენის ცოდნის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე უმცირესობების კომპაქტურად განსახლების რეგიონებში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დისპერსიულად მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლები, როგორც წესი, თავისუფლად ლაპარაკობენ ქართულად. ჩვეულებრივ, რუსული და/ან მშობლიური ენა მათთვის განათლების და ურთიერთობის უპირატეს ენად გვევლინება, ქართულს ისინი უფრო საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ იმ დონეზე ფლობენ, რომელიც ურთიერთობისათვისა აუცილებელი და ენის ფლობის ხარისხიც ერთი ინდივიდის შემთხვევაში მეორისაგან განსხვავებულია. ენის უკეთ ცოდნის და პოლიტიკურ პროცესებში ინფორმირებულობის უფრო მაღალი დონის მიუხედავად, დისპერსიულად დასახლებულ რეგიონთა უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური მო-

ნაწილების დონე სულაც არ არის უფრო მაღალი და ზოგჯერ უფრო დაბალიც კია, ვიდრე კომპაქტურად დასახლებული რეგიონების.

რას ვიყენებთ ინდიკატორად, როდესაც საზოგადოების ცხოვრებაში უმცირესობების პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობის დონეზე ვლაპარაკობთ? გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საქართველოს შემთხვევაში ასეთ ინდიკატორად საეჭვოა არჩევნებში მონაწილეობის ხარისხი გამოდგეს: ჯერ ერთი, არჩევნების ფალსიფიკაციის დონე – მათ შორის მონაწილეთა რაოდენობის ხელოვნური გაზრდის გზით – უმცირესობების კომპაქტურად განსახლების რეგიონებში, როგორც წესი, უფრო მაღალია; მეორეც, უმცირესობების წარმომადგენლები არჩევნებში მონაწილეობას ხშირად უფრო სახელმწიფოსადმი ლოიალობის რიტუალურ გამოხატულებად განიხილავენ, ვიდრე იმის გარკვევად, თუ რომელი პოლიტიკური ძალა უნდა იყოს ხელისუფლებაში. არჩევნებისადმი სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გამოხატავდა შემთხვევები, როცა უმცირესობების წარმომადგენლები ხელაღებით აძლევენ ხმას სახელისუფლო პარტიას და მზად იყვნენ მაშინვე გადაბარებულიყვნენ ახალი ხელისუფლების მხარეს, როგორც კი ის ძველს შეცვლიდა.

უფრო საიმედო ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებში და აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებში (ისეთებში, როგორებიცაა პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.) უმცირესობების წარმომადგენელობის მონაწილეობის დონე. ყველა ამ ინდიკატორის მიხედვით უმცირესობების მონაწილეობის მაჩვენებელი უაღრესად დაბალია. 1999 წლის მოწვევის პარლამენტში უმცირესობის რიგებიდან 14 დეპუტატი გავიდა, თანაც ყველა მმართველი პარტიიდან – საქართველოს მოქალაქეთა კავშირიდან – იყვნენ და პარლამენტის ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ხარისხიც მინიმალური გახლდათ (მათი უმრავლესობა არასოდეს გამოსულა პარლამენტის სესიებზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული ენა – ერთად – ერთი ენა, რომელზეც საქართველოს პარლამენტი მუშაობს – არ იცოდნენ). მათი დასწრება მოწოდებული იყო ფორმალურად წარმოეჩინა პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ფაქტი, მაგრამ საეჭვოა, რომ მათი იქ ყოფნა ამდაგვარი მონაწილეობის რეალურ ფორმას წარმოადგენდა. 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა, ეთნიკური უმცირესობების დეპუტატთა რაოდენობა ორჯერ უნდა შემცირებულიყო, თუმცა ისინი უკვე აღარ წარმოადგენდნენ მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას. ამის მიზეზი პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება გახდა, რის შედეგადაც ძირითადი პოლიტიკური აქტორები უკვე ვეღარ

ბედავდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების თავიანთ სივრცეში წმინდა სიმბოლური დანიშნულებით ჩართვას. კიდევ უფრო მცირეა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცენტრალურ დონეზე – ალბათ იმიტომ, რომ ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მაღალი თანამდებობების წმინდა რიტუალურ თანამდებობებად შერაცხვა უფრო ძნელია. აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ დონეზე ვითარება უსათუოდ უკეთესი როდია: თუ ჯავახეთის ორ, ეთნოსურად ერთგვაროვან რაიონში (ახალქალაქსა და ნინოწმინდაში) ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ძირითადად ეთნიკური სომხებით არის დაკომპლექტებული, შერეული მოსახლეობის რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უმცირესობების წარმომადგენლობა დაბალია.

უმცირესობათა წარმომადგენლობის არასაკმაო დონე პირდაპირ კორელაციაშია სამოქალაქო ცხოვრებაში მათი მონაწილეობის დაბალ დონესთან. ბოლო დროს უფრო მეტ აქტივობას ავლენენ უმცირესობათა სათემო ორგანიზაციები – რაც მისასაღმებელია. მაგრამ ეს ორგანიზაციები მაინც რამდენადმე განცალკევებით დგანან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემაში. სამოქალაქო საზოგადოების იმ ინიციატივებში, რომლებიც საკუთრივ ეთნოსურ პრობლემებზე არ არის ფოკუსირებული, ეთნოსური უმცირესობების წარმომადგენლები ნაკლებად მონაწილეობენ. უმცირესობათა კომპაქტურად განსახლების რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უკანასკნელ წლებში სულ უფრო თვალსაჩინონი ხდებიან, რაც თავისთავად ძალიან დადებითი ტენდენციაა.

ჩვენ არ გავვაჩნია ეკონომიკურ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობის შედარებითი მონაცემები. მსხვილი ბიზნესის ყველაზე წარმატებულ ადამიანებს შორის უმცირესობების წარმომადგენლები ცოტანი არიან – რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის მოკრძალებული დონის ფუნქციად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ნეოპატრიმონიალური ურთიერთობის პირობებში, ბიზნეს-ელიტის უმაღლეს ფენებში შედევვა, შესაბამისი პოლიტიკური კავშირების გარეშე ძალიან ძნელია.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ეკონომიკური თვალსაზრისით უარესად ცხოვრობენ, ვიდრე ქართველები. მაგალითად, ჩვენმა კვლევებმა გარდაბნის და მარნეულის რაიონებში გვიჩვენა, რომ აზერბაიჯანელების ცხოვრების ეკონომიკური დონე რამდენადმე მაღალიც კია, ვიდრე ქართველების (რაც, მოცემულ შემთხვევაში, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ რაიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელები უფრო წარმატებით იყენებენ აზერბაიჯანთან კონტაქტის შესაძ-

ლებლობებს, ვიდრე ქართველები). სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევა გვაჩვენებს, რომ საქართველოს მთელ მოსახლეობას, ეროვნულობისაგან დამოუკიდებლად, პირველ რიგში ისეთი პრობლემები აწუხებს, როგორებიცაა: უმუშევრობა, შემოსავლების დაბალი დონე, სოციალური ინფრასტრუქტურის დაცემა და ა.შ. ამ მხრივ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებითი განსხვავება ძნელად შეინიშნება. ეს, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისათვის სპეციფიკური ეკონომიკური პრობლემების არსებობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. (მაგალითად არსებობს მიწის მფლობელობის პრობლემა აზერბაიჯანული რეგიონის მცხოვრებლებისათვის; რუსი მოსახლეობა, რომლის მომეტებული ნაწილი საპენსიო ასაკისაა, უფრო მეტადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან დახმარებაზე და შესაბამისად უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება და ა.შ.) მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოდ, ეთნიკური უმცირესობების პრობლემების სიმძიმის ცენტრი ეკონომიკის სიბრტყეში არ დევს: პრობლემის ბირთვი სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემა, ანუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაა.

ამრიგად, ვფიქრობ, საქმე გვაქვს საზოგადოების სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებისაგან ეთნიკური უმცირესობების საერთო გაუცხოების გამოკვეთილ ტენდენციასთან. ამ მდგომარეობას ეთნიკური უმცირესობების გეტოიზაციას დავარქმევდი. ენის არცოდნა ასეთი გაუცხოების მიზეზიც არის და იმავდროული შედეგიც: უმცირესობათა ბევრ წარმომადგენელს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, ქართული ენის შესასწავლად საკმარისი მოტივაცია არ გააჩნია, რადგან მიაჩნიათ, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ენის ცოდნის შემთხვევაშიც კი ვერ გახდებიან. ანალოგიურად პოლიტიკურ დონეზე წარმომადგენლობის არქონა კორელაციაშია უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სუსტ მონაწილეობასთან: საიდან გაჩნდებიან სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი ანდა ნებისმიერი სხვა წარმომადგენლობის პოლიტიკური ლიდერები, თუ ისინი წინასწარ არ გამოიჩინენ აქტივობას – ამა თუ იმ ფორმით – ქართული საზოგადოების ცხოვრებაში? მაგრამ ისინი ვერ გამოავლენენ ასეთ აქტივობას, თუ თავს ამ საზოგადოების ბუნებრივ და განუყრელ ნაწილად არ ჩათვლიან.

ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება საზოგადოების პოლიეთნიკურობისადმი

სამოქალაქო ინტეგრაცია, ანუ ღია საჯარო სივრცის არსებობა, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფები და ინდივიდები ურთიერთქმედებენ, კონკურირებენ და თანამშრომლობენ, შეიძლება მხოლოდ გარკვეულ პირობებში

განხორციელდეს. ეს პირობები ორმხრივ ან მრავალმხრივ განისაზღვრება და – რაკი ჩვენ აქ სხვადასხვა ეთნოსური წარმომავლობის ადამიანთა ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ – ეს სივრცე შეიძლება სხვადასხვა ეთნოსური ჯგუფის – როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის – პოზიციების და გონებადმართულობის საფუძველზე წარმოიქმნას. უმრავლესობას, სწორედ იმიტომ, რომ ის უმრავლესობაა და ფორმალური და არაფორმალური ძალაუფლების ძირითად ბერკეტებს ფლობს (უკიდურეს შემთხვევაში, დემოკრატიის პირობებში), ამ პირობების განსაზღვრისას გაცილებით მეტი წონა აქვს, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია პირობების ცალმხრივად განსაზღვრა: უმცირესობების სტრატეგიაც ასევე ძალიან მნიშვნელობანია.

სამწუხაროდ, საჯარო დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეთნოსური უმცირესობების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა პირობებში უნდა იარსებონ სამოქალაქო სივრცეში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებმა, ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ წარმოებს. ამიტომ მასალა იმის განსაზღვრად, თუ როგორი ევოლუცია განიცადა საზოგადოებრივმა წარმოდგენებმა ამ საკითხში, არასაკმარისია. მაგრამ მე რამდენიმე ზოგად მოსაზრებას მაინც გამოვთქვამ.

საბჭოთა პერიოდს პირფერული ინტერნაციონალიზმის ხანა შეიძლება ეწოდოს. საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის და „საღმრთა შორის ძმობის“ მეხოტბეობა ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილი იყო – მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია ოფიციალური იყო, ასეთი ლოზუნგები ირიბად ხელს უწყობდა ნაციონალიზმის, როგორც კომუნისტური სისტემისადმი ოპოზიციური, ალტერნატიული იდეოლოგიის, ლეგიტიმაციას. მასვე უწყობდა ხელს საბჭოთა სისტემის გარკვეული ინსტიტუციონალური თავისებურებები: ნაციონალური რესპუბლიკების და მათ შიგნით ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა და, შესაბამისად, ნაციონალური პარტნომენკლატურის და ნაციონალური ნომენკლატურული ინტელიგენციის სისტემის ფუნქციონირება; მეორეს მხრივ, ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, სინამდვილეში, აძლიერებდა ეთნოსური წარმომავლობის პრიორიტეტს მოქალაქეობის მიმართ.

ყოველივე ამის შედეგად კომუნისტური სისტემის რღვევის პერიოდში ეთნიკური ნაციონალიზმი გაბატონდა. ამ ნაციონალიზმში უეჭველად ერია დემოკრატიული ელემენტი: ამ პერიოდის ეროვნული ლიდერები, საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც, ნაციონალურ საძირკველზე დაშენებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებისთვის იბრძოდნენ. მაგრამ ეს დემოკრატია – ძალიან ნედლი, დაუხვეწავი, არადიფერენცირებული – სინამდვილეში, ეთნოსურად ექსკლუზიური გამოდგა. მაშინდელი ნაციონალიზმი ეთნოსური სიწმინდის ნაციონალიზმი იყო და საქართველოში ასეთი

ნაციონალიზმის წარმომადგენლად ზვიად გამსახურდია მოგვევლინა. ჩაატარებდა თუ არა ესა თუ ის რეჟიმი ეთნოსურ წმენდებს, მოცემული მომენტის პოლიტიკურ კონიუნქტურაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ იდეოლოგიურად სწორედ ეთნოსური სიწმინდე – ანუ მოსახლეობის ეთნოსური ერთგვაროვნება – წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეალს (თუნდაც რეალურად მიუღწევად). ასეთი სიწმინდის ოფიციალური პოლიტიკის მიზნად ქცევა რომ არ შეიძლებოდა, ყველას ესმოდა; ამიტომ ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება მათთვის იმ არასასურველ ტვირთს წარმოადგენდა, რომელიც საქართველომ ისტორიულ წარსულში აიკიდა. ჯობდა, ამ უმცირესობებს საერთოდ არ ეარსებათ, მაგრამ რაკი არსებობდნენ, კიდევ უნდა მოეთმინათ, თუმცა ხელსაყრელ შემთხვევაში ურიგო არ იქნებოდა მათი „ისტორიულ სამშობლოებში“ მცირე ჯგუფებად გაძევება (როგორც ამას უკეთებდნენ კიდევ აზერბაიჯანელებს ბოლნისში, ან ოსებს). მსგავსი დამოკიდებულების მშვენიერი გამოხატულება იყო „სტუმრის“ არაფორმალური სტატუსი: ერთი მხრივ, სტუმრების სიუხვე მასპინძლების ტოლერანტულობას და დემოკრატიულობას მოწმობდა; მეორე მხრივ, სტუმარს ყოველთვის უნდა ხსომებოდა, რომ ის სწორედ სტუმარია და შესაბამისადაც მოქცეულიყო, თორემ შესაძლოა კიდევ გაეპანლურებინათ.

გამსახურდიას წინააღმდეგ მომხდარი რევოლუციის/გადატრიალების მერე, გამარჯვებულმა მხარემ ეთნიკური უმცირესობებისადმი ეს დამოკიდებულება „პროვინციულ ფაშიზმად“ მონათლა და საზეიმოდ მოუხსნა უმცირესობებს „სტუმრის“ სტატუსი. მათ უკვე აღარ აყვედრიდნენ ბინადრობის უფლებას და აღარ მიანიშნებდნენ (ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც), კარგი იქნება, თუ გუდა ნაბადს აიკრავთო. საქართველო თითქოს აგრესიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ აიცრა.

ეთნიკური უმცირესობებისადმი სუბიექტურ მოპყრობასა და პოლიტიკოსთა რიტორიკაში მომხდარი ეს ცვლილებები უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამაც თავისი როლი ითამაშა უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში ვითარების სტაბილიზაციაში. მაგრამ ამან უმცირესობებისადმი მეტად ან ნაკლებად გამოკვეთილი პოლიტიკის ფორმულირებამდე მაინც ვერ მიგვიყვანა. ჩვენში უფრო ამ პრობლემისადმი თავის არიდების მორცხვი პოლიტიკა დამკვიდრდა. 1999 წელს პარლამენტში შექმნილი სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ გელა კვარაცხელია დაინიშნა (მოგვიანებით კომიტეტს სათავეში ბესარიონ ლავკილავა ჩაუდგა) სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის ინიციატივით კი გამოვიდა, მაგრამ ამ ინიციატივამ კომიტეტის ფარგლებს გარეთ ნაკლები ინტერესი აღძრა. შეიძლება ითქვას რომ საქართველომ შევარდნა-

დის პერიოდში – ქვეყნის პოლიტიკური ელიტის დონეზე – მრავალეთნოსურობა ცხოვრების ნორმალურ ფაქტად მიიღო, მაგრამ ის კი ვეღარ განსაზღვრა, როგორ მოპყრობოდა მას.

შეგარდნადისდროინდელი ეთნოსური პოლიტიკა

საჯაროდ ფორმულირებული პოლიტიკის არარსებობა, შეგარდნადის მმართველობის დამახასიათებელი სტილი იყო არა მარტო ეთნოსური ურთიერთობების, არამედ ბევრ სხვა სფეროშიც. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეალურად არავითარი პოლიტიკა არ ტარდებოდა. არსებობდა პოლიტიკური პრაქტიკის ერთობლივობა, საიდანაც ქცევის გარკვეული ლოგიკის post factum რეკონსტრუირება შეიძლება. შეგარდნადის პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, ფორმირების საწყის ეტაპზე ბევრი აქტივისტი სწორედ ეთნიკური უმცირესობებისადმი ახალი საქართველოს გახსნილობას უსვამდა ხაზს; პარტიის თვით სახელწოდებაც შეგნებულად იქნა შერჩეული ისე, რომ ხაზი სწორედ ქართული საზოგადოების სამოქალაქო, გამაერთიანებელ შემადგენელს გასმოდა და არა ეთნიკურს, რომელსაც დაქუცმაცებულობისაგან მივეყვართ. მართალია ეს განცხადებები, ჩემი აზრით, მათი ავტორების და შესაბამისი პარტიული დოკუმენტების შემქმნელების სახეობით გულწრფელ მისწრაფებებს გამოხატავდა, მაგრამ დეკლარაციის დონეზე დარჩა და მათი ოპერაციონიზაცია, ანუ პრაქტიკული პოლიტიკური ნაბიჯების სიბრტყეზე გადატანა არ მომხდარა. რეალური პოლიტიკა კი სპონტანურად ყალიბდებოდა.

ამ პოლიტიკის პირველი მცნება შეიძლება ინგლისური გამოთქმის *let sleeping dogs lie*, – ძილს ნუ გაუფრთხობთ მთვლემარე ნაგაზებს, – მოშველიებით ჩამოყალიბდეს. განსაზღვრების თანახმად, ეთნოსური საკითხი ფეთქებადსამიშია და მაშასადამე, საჯარო პოლიტიკის სფეროსაგან მისი მაქსიმალური იზოლირებაა საჭირო, ხოლო უმცირესობების კომპაქტური დასახლების რეგიონები პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზედმეტი აქტიურობისაგან უნდა დავიცვათ. თუ სხვა სფეროებში (ეკონომიკის, კორუფციის და ა.შ.) პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უკიდურეს შემთხვევაში, ძირეული პრობლემების არსებობას, მათი განხილვის და გადაჭრის გზების ძიების აუცილებლობას მაინც აღიარებდა – ეთნოსური ურთიერთობების სფერო ძალზე „მტკივნეულად“ ითვლებოდა და მისი საჯარო განხილვა არასოდეს წახალისებულა. ერთი მხრივ, ასეთი დამოკიდებულება რეალურად არსებული იმ სინდრომის შედეგი იყო, რომელიც ეროვნული მოძრაობის და გამსახურდიას მმართველობის დროიდან შემორჩა; ამ პერიოდის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეთნოსური პრობ-

ლემების ნებისმიერი საჯარო განხილვას ნაციონალისტური ვნებების გაღვივებასთან და შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციასთან მივყავდით; მეორე მხრივ, ეთნოსური თემის „დახურვა“ პირდაპირ პოლიტიკურ ინტერეს უკავშირდებოდა: ეთნოსური უმცირესობების პოლიტიკური ნაკრძალის შენარჩუნება ხელისუფლებისთვის მომგებიანი გამოდგა. ამ ნაკრძალში შესვლა მხოლოდ საგანგებო საშვით იყო ნებადართული, რაც ხელისუფლებას არჩევნებზე უმცირესობების მხრიდან მხარდაჭერის გარანტიის გარდა ეთნიკური მშვიდობის შემნარჩუნებელი ერთადერთი პოლიტიკური ძალის იმიჯსაც უნარჩუნებდა.

სინამდვილეში, ასეთი ნაკრძალის მთლად ხელუხლებლად შენარჩუნება ვერ მოხერხდა. ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები დროდადრო ამჟღავნებდნენ თავიანთ დანტერესებას; მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლიდა. ამ სამიოდე წლის წინ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესის ზრდამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონისადმი – რაც, თავის მხრივ, ძირითადად, მუსლიმანი მესხების დაბრუნების და იქედან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის თემებთანაა დაკავშირებული – ხელი შეუწყო ამ რეგიონში სამოქალაქო აქტივობის უფრო არსებით ზრდას. მაგრამ მე, როგორც ამ „ტალღის“ მონაწილე ადამიანი, შემიძლია პირადად დავადასტურო, რა ფეხათრევით თანხმდებოდა საქართველოს მთავრობა ამ „ნაკრძალში“ საერთაშორისო ორგანიზაციების შეშვებას. მთავარი არგუმენტი იყო „ემანდ არაფერი მოხდეს“. შემთხვევითი როდია, სელისუფლების განსაკუთრებით მწვავე რეაქცია სწორედ ნაკრძალის აზერბაიჯანულ ნაწილში ნაციონალური მოძრაობის მხრიდან აქტივობის გამოვლენის ცდამ რომ გამოიწვია.

უმცირესობების მიმართ გატარებული შევარდნადის პოლიტიკური პროგრამის პოზიტიური ნაწილი ეთნოსური ელიტების უხმაურო კოოპტაციაში მდგომარეობდა. ასეთი პოლიტიკის უშუალო არქიტექტორები საქართველოს იმ ოლქების ახალგაზრდა, ენერგიული და უფლებამოსილი „გუბერნატორები“ გახდნენ, სადაც უმცირესობების მაღალი პროცენტია, – სამცხე ჯავახეთის და ქვემო ქართლის; შესაბამისად – გიგლა ბარამიძე და ლევან მამალაძე. მათ თბილისიდან მხარს მარტო შევარდნაძე როდი უჭერდა, არამედ თავიდან – „ახალგაზრდა რეფორმატორებიც“ ზურაბ ჟვანიას მეთაურობით (ყოფილი „მწვანე“ მამალაძე გუბერნატორის პოსტზე მისი უახლოესი გარემოცვიდან მოხვდა). ისინი თავისუფლები იყვნენ „ზვიადისტური“ ყაიდის აგრესიული ეთნონაციონალიზმის იდეოლოგიისაგან, მაგრამ თავს არც პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის მასობრივი მონაწილეობის გზით დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობის ილუზიით იმძიმებდნენ – ყოველ შემთხვევაში, უმცირესობების განსახლების ადგი-

ლებში ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, სახიფათო უტოპიად ითვლებოდა. ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ უპირატესად აგრარული და საეკონომიკური პატრიარქალური აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის რეგიონებში სამოქალაქო ღირებულებებზე ლაპარაკი არააქტუალური იყო. სამაგიეროდ, ამ მოსახლეობის ნაციონალისტური მოძრაობების გარშემო მობილიზების საფრთხე მათ შეუძინეველი არ ღარჩენიათ. 90-იანი წლების დასაწყისში ჯავახეთში საზოგადოება „ჯავახკის“ გარშემო მსგავსი მობილიზება უკვე მომხდარი ფაქტი იყო და ეს უაღრესად ართულებდა პოლიტიკურ კონტროლს ქართული სახელმწიფოს მხრიდან. ქვემო ქართლში ვითარება არ გახლდათ ასე რთული.

მაგრამ მეთოდები ორივე შემთხვევაში მსგავსი იყო: ყველაზე გავლენიან ადგილობრივ მოქმედ პირებზე, ანდა, როგორც ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე, წამყვან „კლანებზე“ გასვლა და მათი ეკონომიკური დაინტერესება, ანუ სახელმწიფოს პატრიმონიალურ-ოლიგარქიულ საერთო სისტემაში მათი კოოპტირება. მსგავსი კოოპტაციის წყალობით ადგილობრივი ელიტების წევრებს ხელი ყველა იმ სიკეთეზე მიუწვდათ, რასაც ხელისუფლებასთან დაახლოება იძლეოდა: შემოსავლიანი თანამდებობების დაკავება, რაც კორუფციული შემოსავლების მიღების ანდა ამ შემოსავლების „თავისი ხალხისთვის“ განაწილების საშუალებას იძლეოდა; ბიზნესის ყველაზე სარფიანი დარგების კონტროლი; მიწის ნაკვეთების განაწილებაზე ზეგავლენა და ა.შ. სანაცვლოდ ადგილობრივი ლიდერები უზრუნველყოფდნენ სტაბილურობას და ხმებს არჩევნებში. ამასთან პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სხვადასხვა ადგილობრივ მოთამაშეებს ან კლანებს შორის წონასწორობის დიდი წარმატებით დაცვა ისწავლა: ამის კლასიკური მაგალითი ახალქალაქში რაისიანების, მქოიანების და ამბარცუმიანების კლანებს შორის ბალანსის დამყარებაა. თუმცა, შევარდნადის მმართველობის უკანასკნელ წლებში, ცენტრში პოლიტიკური ბრძოლის ინტენსიფიკაციის ფონზე, ამ ბალანსმა რყევა იწყო – რაისიანები გიგლა ბარამიძეს შემოსწორნენ და მხარდაჭერის ძებნა ზურაბ ჟვანიას დაჯგუფებაში დაიწყეს, რომელმაც საამდროოდ ოპოზიციაში გადასვლა მოასწრო.

რაც შეეხება ოფიციალური პოლიტიკის სიბრტყეს, აქ საერთო ფონი მინიმალისტური და ინერციული იყო: კონსტიტუცია და კანონები ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციის არ არსებობას იუწყებოდნენ, ხოლო მოქალაქეობის საკითხში ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს იქნა მიღებული ნულოვანი ვარიანტი – ანუ საქართველოს ყველა მცხოვრები დამოუკიდებლობის მიღების მომენტში ავტომატურად ხდებოდა ქვეყნის მოქალაქე. თითქოსდა მეტი რაღა უნდა გაეკეთე-

ბინათ? შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ბევრ წილად ისეთივე დარჩა, როგორც საბჭოთა დროიდან მოყოლებული ინერციით შემორჩა და მათი შეცვლა არც არავის უცდია. თუ ცვლილებები მაინც ხდებოდა, ეს უფრო ობიექტური პირობების შეცვლის ნაყოფი იყო, ვიდრე შეგნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების.

ყველაზე ნათელი მაგალითია – ისეთი ეთნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვნები მიმართულება, როგორცაა განათლება. როგორც საბჭოთა დროში, ახლაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველაზე მსხვილი ეთნიკური უმცირესობების – კერძოდ, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური უმცირესობების საშუალო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესაძლებლობას, რაც თავისთავად მისასაღებელია, საქართველოში 141 აზერბაიჯანული სკოლაა და 8 დამოუკიდებელი აზერბაიჯანულენოვანი სექტორი სკოლებთან, 133 სომხურენოვანი სკოლა და – 20 სექტორი, 87 რუსულენოვანი სკოლა და – 152 სექტორი, აგრეთვე 10 ოსურენოვანი სექტორი. მაგრამ არაქართულენოვან სკოლებში სწავლების საბჭოთა დროინდელი კონცეფცია პრაქტიკულად არ შეცვლილა. უფრო მეტიც, ხშირად სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა ასეთ სკოლებში მეზობელი სახელმწიფოების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. შედეგად, ამ სკოლებში სწავლა არანაირად არ ამზადებს ახალგაზრდებს საიმისოდ, რომ ისინი საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები გახდნენ – პირიქით, ის უფრო იმ გაუცხოების შენარჩუნებას ანდა გეტოიზაციას უწყობს ხელს – ახლა უკვე ახალ თაობაში – რაც ეთნოსური უმცირესობების ძირითადი პრობლემაა.

სახელმწიფო თეორიულად განაგრძობს კულტურული და საინფორმაციო დაწესებულებების მხარდაჭერის ტრადიციას: თეატრი, მუსიკა, გაზეთები, რადიოპროგრამები და ა.შ. უმცირესობების ენებზე, მაგრამ, რადგან სახელმწიფოს სახსრები არ ჰყოფნის, ეს მხარდაჭერა, სინამდვილეში, ან სრულიად შეწყვეტილია, ანდა სიმბოლური ხასიათის უფროა. სახელმწიფო, როგორც წესი, არ აბრკოლებს ეთნიკურ თემთა კერძო კულტურულ ინიციატივებს. თუმცა, ზოგჯერ პრობლემებიც ჩნდება, მაგალითად, ახალციხის რაიონში რუსულენოვანი და სომხურენოვანი ტელეხედვის საკითხში; მსგავსი პროექტები ადგილობრივ დონეზე დაბრკოლებას აწყდება.

რაც შეეხება ეთნოსურ პოლიტიკაში რაიმე ცვლილებებს საბჭოთა დროინდელ პოლიტიკასთან შედარებით, მათ, როგორც წესი, წინააღმდეგობებთან მივყავართ. ყველაზე მტკივნეულ ცვლილებად ქართული ენის დაკარგვა გამოდგა, როგორც იმ ერთადერთი ოფიციალური ენისა, რომელიც

სახელმწიფო დაწესებულებებში და აგრეთვე იმ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებისას გამოიყენება, რომელიც აუცილებელია საქმიანობის გარკვეულ სფეროებში სამუშაო ადგილების მისაღებად ან შესანარჩუნებლად (სასამართლოში, მედიცინაში და ა.შ.). საბჭოთა დროს ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებში გამოიყენებოდა, მაგრამ იმ რეგიონებში, სადაც უმცირესობების შედარებით მაღალი კონცენტრაციაა (თბილისის ზოგიერთ რაიონშიც კი) საქმის წარმოება რუსულ ენაზე ხდებოდა. ახლა ეს კანონს ეწინააღმდეგება: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის გარდა, ერთადერთ სახელმწიფო ენად ქართული გვეკვლინება; აფხაზეთში ქართულთან ერთად სახელმწიფო სტატუსი აფხაზურ ენასაც აქვს. ხელისუფალთა არაფორმალური თანხმობით, გამონაკლისის სახით, ადგილობრივი საქმეთწარმოება სხვა ენაზეც ნებადართულია ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებში, რადგან იქ თითქმის არ არის ადგილობრივი კადრები, რომლებიც საქმისწარმოებას ქართულ ენაზე მოახერხებდა. თუმცა, ადგილობრივი ჩინოვიყებს თბილისიდან და გუბერნიის ცენტრიდან მიღებული ქაღალდების პრობლემა იქაც უჩნდებათ. სხვა რეგიონებში (კერძოდ, „აზერბაიჯანულში“), რიგით მოქალაქეებს, რომლებმაც ქართული არ იციან, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას პრობლემები ექმნებათ, (თუმცა, ბევრ შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა მთარგმნელების დახმარებას მიმართონ). ასეთი მოქალაქეები, ჩვეულებრივ, ამ ვითარებით უკმაყოფილებას გამოთქვამენ და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ მათ არ უნდა მოსთხოვოს სახელმწიფო ენის ცოდნა. მეორე მხრივ, ზოგი ქართველი პოლიტიკოსი უკმაყოფილოა იმით, რომ საქმეთწარმოება ჯავახეთში კონსტიტუციის დარღვევით ქართულ ენაზე არ ხდება.

ინოვაციები ეთნოსური პოლიტიკის სფეროში, ჩვეულებრივ, ლიბერალულ და ეთნონაციონალისტურ მიმართულებებს შორის შეჯახებებს იწვევს. მაგალითად, პირადობის და დაბადების მოწმობებში „ეროვნულობის“ გრაფის ამოღება ლიბერალური მიმართულების გამარჯვება იყო. ამან ეთნონაციონალისტურად განწყობილი იმ პოლიტიკოსების მწვავე პროტესტი გამოწვია (მათ შორის ყველაზე აქტიური – ქართველი ულტრანაციონალისტების არაფორმალური ლიდერის – გურამ შარაძის), რომლებმაც მსგავსი გრაფის გაუქმება საქართველოს ეროვნული კუთვნილების დამამცირებელ, არაპატრიოტულ ნაბიჯად ჩათვალეს. ამასთან, რაკი საბჭოთა წყობაში გაზრდილი მოქალაქეები მიჩვეულები იყვნენ თავიანთი ეროვნული კუთვნილება სათანადო გრაფასთან დაეკავშირებინათ, საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხში უფრო ეთნონაციონალისტების მხარეს აღმოჩნდა. ესეც არ იყოს, თვითონ პრეზიდენტ შევარდნაძესაც არამ-

ყარი პოზიცია ეჭირა და უფრო სკანდალური გრაფის აღდგენისაკენ იხრებოდა. შევარდნაძის მომხრეთა ლიბერალურად განწყობილმა ნაწილმა მოახერხა დიდი ხნის განმავლობაში გადაედო პარლამენტში საკითხის განხილვა და პარლამენტმა მხოლოდ 2003 წლის ზაფხულში მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მოქალაქეთა ოფიციალურ დოკუმენტებში ჩანაწერი „ეროვნება/მოქალაქეობა – ქართველი“ უნდა გაჩნდეს.

მწვავე პოლემიკა გამოიწვია სახელმწიფო ენის შესახებ კანონმაც, რომელიც სახელმწიფო ენის პალატის ინიციატივით შევიდა პარლამენტში განსახილველად. კანონპროექტის პირველ ვარიანტს მეტისმეტად დრაკონული ხასიათი ჰქონდა, კერძოდ, ის შეიცავდა დებულებას, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს ქართული ენის ცოდნას ავალდებულებდა. ლიბერალური მიმართულების პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი კანონი საერთოდ არ იყო საჭირო, ხოლო თუ ის მაინც მიიღებოდა, აუცილებელი იყო მისი არსებითი გადამუშავება. საქმეში ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების საქმეთა უმაღლესი კომისრის ოფისი ჩაერთო, რომელმაც, კანონპროექტის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კანონპროექტის ავტორებთან და პარლამენტის წევრებთან იმუშავა. ცვლილებების მერე კანონპროექტმა კრიტიკა უკვე ეთნონაციონალისტების მხრიდან გამოიწვია (კერძოდ, ზემოხსენებული ჯურამ შარაძის მხრიდან), რის შედეგადაც თაროზე იქნა შემოდებული.

შედარებით ნაკლები წინააღმდეგობა გამოიწვია ქართული ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამამ. ამ პროგრამის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ენის მასწავლებლებს, რომლებიც იმ რეგიონებში წავლენ, სადაც ქართულის მასწავლებლები არ ჰყოფნიან – ე.ი. პრაქტიკულად ეთნო უმცირესობების განსახლების რეგიონებში – სპეციალური გრანტები მისცემოდათ. ამ პროგრამამ ადგილობრივი სკოლის მასწავლებლებში ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი უკმაყოფილოები იყვნენ, რომ მოსულ მასწავლებლებს გაცილებით მაღალი ხელფასი ენიშნებოდათ, ვიდრე ყველა დანარჩენს. პროგრამამ ზოგ არაქართულ სკოლაში ქართულის სწავლების ხარისხის გარკვეულ გაუმჯობესებას კი შეუწყო ხელი, მაგრამ ვითარების პრინციპულ ცვლილებამდე ვერ მიგვიყვანა.

ყველა ეს ინიციატივა ეთნიკური პოლიტიკის სფეროში მოთამაშე ცალკეული პოლიტიკოსისგან მოდიოდა, რომლებიც სხვადასხვა, ხშირად წინააღმდეგობრივ, პოლიტიკურ პრინციპებს და ინტერესებს ეყრდნობოდნენ. ცხადი პრინციპები და მეტ-ნაკლებად გააზრებული გეგმა ამ ინიციატივებს ზურგს არ უმაგრებდა.

სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითადი პოლიტიკური დილემები ახალ პირობებში

2003 წლის ნოემბრის რეკოლუციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეთნოსური უმცირესობის „გეტოიზაციის“ საშიშროებებს. იმ პირობებში, როცა სახელისუფლებო პარტიამ დაკარგა მოსახლეობის ნდობის კრედიტი, აღმოჩნდა, რომ ხმების ძირითად მასას ის ეთნოსური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებიდან ღებულობდა. ოპოზიციურ მიტინგებზე აღინიშნებოდა, ხელისუფლება სომხების და აზერბაიჯანელების ხმებზე დგასო, რამაც უმცირესობების ზოგი წარმომადგენელი გაანაწყენა, მაგრამ აქ ლაპარაკი იყო არ იმაზე, რომ უმცირესობას ნაკლები უფლება ჰქონდა თავისი პოლიტიკური სიმპათია გამოეკვლინა (მათ შორის, ხელისუფლების სასარგებლოდ), არამედ იმაზე, რომ სწორედ ამ რეგიონებში გააჩნდა ხელისუფლებას უპირატესი შესაძლებლობა, პოლიტიკური პლურალიზმის განვითარება დაებრკოლებინა და დაუსჯელად მოეხდინა ამომრჩეველთა ხმებით მანიპულირება.

შეცვლის თუ არა რეკოლუცია ვითარებას ამ სფეროში? რაიმე შორსმომავალი დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. უკვე შეიმჩნევა იმის ნიშნები, რომ მას მერე, რაც ეთნოსური თემების ფორმალურმა და არაფორმალურმა ლიდერებმა გაიგეს, რომ ხმები სააკაშვილის და ხელისუფლებაში მოსული სხვა ოპოზიციური ლიდერების „ფაშმის“ შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია, მათ გამარჯვებულების ბანაკში გადაბარების მზადყოფნა გამოხატეს. თბილისური არასამთავრობო ორგანიზაციების და აზერბაიჯანული თემის პოლიტიკოსების და წარმომადგენლების მარნეულის შეხვედრაზე, რომელიც შევარდნაძის გადადგომიდან რამდენიმე დღეში ჩატარდა, ცნობილი აზერბაიჯანელი პიროვნებები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მზად არიან, ისევე მისცენ ხმა სააკაშვილს, როგორც ადრე შევარდნაძეს აძლევდნენ, მანამდე კი – გამოსახარდიას. ეს მიუთითებს, რომ არც იმ საფრთხის გამორიცხვა შეიძლება, რომ არაფერი პრინციპში არ შეიცვლება: უმცირესობა შეინარჩუნებს „მყარ“ ორიენტაციას სახელისუფლებო პარტიაზე, ხოლო ეს უკანასკნელი წაახალისებს ასეთ მისწრაფებას, რადგან ეს აშკარად შედის მის ინტერესებში. ახალ ხელისუფლებას სხვა პრიორიტეტები ექნება, და საეჭვოა უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემებზე მოახდინოს ფოკუსირება – თუ, რასაკვირველია, არაფერი ისეთი არ მოხდა, რაც მას აიძულებს მეტი ყურადღება დაუთმოს ამ საკითხებს. ჯერჯერობით, ახალი მმართველობა, საწყის პერიოდში მაინც, სწორედ ამ ვარაუდს ადასტურებს.

მაგრამ უმცირესობებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურების მისწრაფებაც თვალსაჩინო ხდება და რევოლუცია ალბათ დამატებით ბიძგს მისცემს ამ ტენდენციას. ქართული საზოგადოება თანდათან ხვდება, რომ ეთნოსური გეტოს სისტემის არსებობა არა მარტო ეთნიკური თემების პრობლემაა – რადგან კარს უკეტავს ამ თემებს და ამცირებს მათი წარმომადგენლების შანსებს, წარმატებას მიაღწიონ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – არამედ, არსებითი ხასიათის დაბრკოლებად გვევლინება მთელი ქართული საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის. მაგალითად, ძალიან ძნელია საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების იმედი ვიქონიოთ, სანამ მისი ტერიტორიის ნაწილში – ქვემო ქართლში – არჩევნები რიტუულად რჩება და ადგილობრივი მცხოვრებლები სულ უფრო გულგრილი ხდებიან ასეთი არჩევნებისათვის, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მანიპულაციებისათვის არის ღია. მეორე მხრივ, სავარაუდოა, უმცირესობების წარმომადგენლები სულ უფრო ნაკლებად დაკმაყოფილებიან პასიური დანამატის ხვედრით სულ უფრო აქტიური ქართული საზოგადოების წიაღში და დაიწყებენ გზების ძიებას, რათა უფრო მეტად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში. მაგრამ რა ფორმით და რა კონკრეტული პირობებით?

ის, თუ კონკრეტულად როგორ წარიმართება ეს პროცესები, რასაკვირველია, ყველა მხარეზეა დამოკიდებული – პოლიტიკურ ელიტაზე, განსაკუთრებით, ახალ ხელმძღვანელობაზე, ქართულ საზოგადოებაზე, ეთნიკურ თემებზე. ქართულმა საზოგადოებამ, პირველ რიგში, გაცილებით მეტი ღიაობა უნდა გამოავლინოს უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობისადმი. 2003 წლის წინასაარჩევნო კამპანიის ეპიზოდები, როცა მაშინდელმა სახელისუფლებო პარტიამ ოპოზიციის ლიდერთა სომხური წარმომავლობა (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს რეალური თუ გამოგონილი), მათი დისკრედიტაციის ლამის უმთავრეს იარაღად გამოიყენა, უმცირესობების ღია შეურაცხყოფა იყო. ეს პარტია თითქმის ოფიციალურად ამბობდა, რომ, თუ უმცირესობა ვინმე სხვას აძლევს ხმას, სახელისუფლებო პარტიის გარდა, ეს სახელმწიფოსადმი დალალის ტოლფასია, რადგან სწორედ სახელისუფლებო პარტია ასახიერებს სახელმწიფოს. მსგავსი განცხადებები არაორაზროვან „მესიჯს“ უგზავნის „არაქართველ მოსახლეობას“: თქვენი ადგილი იცოდეთ, არ შეეცადოთ რაიმე რეალური როლი ითამაშოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში. თქვენ უფლება გაქვთ მხოლოდ კვერი დაუკრათ უმრავლესობას და ამით დაადასტუროთ თქვენი ლოიალობა, თუ მოინდომებთ რაიმე სხვა მოიმოქმედოთ, ჩვენ ყოველთვის შევახსენებთ საზოგადოებას თქვენს წარმომავლობას.

ახალი ხელისუფლება, ჯერჯერობით ასეთ უხემ მეთოდებს არ იყენებს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის სრულიად „მაღლა“ დგას ასეთ მიდგომებზე. როცა, მაგალითად, ზოგიერთ ულტრანაციონალისტურ წრეებში „სექტანტების“ რბევით სახელგანთქმულ, ცნობილ რელიგიურ ლიდერ ბასილ მკალავიშვილს აპატიმრებდნენ, ხელისუფლება დაიმედებული რომ ამ გზით მკალავიშვილს მოჩვენებით პატრიოტიზმში ამხელდა, ხაზს უსვამდა მის სომხური ჟღერადობის მამის სახელს – „არშაკის ძეს“ (თუმცა, სსრ კავშირის დაშლის მერე მამის სახელები საქართველოში თითქმის არ გამოიყენება), აქაოდა, რომელი ჭეშმარიტი პატრიოტის მამას ერქმევა არშაკიო?

ასეთ პირობებში ძალიან ძნელი წარმოსადგენია, უმცირესობების წარმომადგენლებმა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მათი მონაწილეობის ზრდა მათი ინტერესების დაცვის გონივრულ სტრატეგიად მიიჩნიონ. პირიქით, ზემოთქმულს ისინი, სავსებით ბუნებრივია, განმარტავენ როგორც სიგნალს, რომ უმჯობესია, „არ წაეჩხირონ“.

რას უნდა ვესწრაფოთ?

მაგრამ რაში მდგომარეობს ადამიანების ერთიან საზოგადოებაში თანაარსებობის იდეალი? კონკურენციის და თანამშრომლობის რა პირობები უნდა მივიჩნიოთ საჯარო სივრცეში სასურველად? გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი იდეალი თავისთავად ცხადი და განსაზღვრული რამაა, საჭიროა მხოლოდ ადამიანების გარკვეული მიმართულებით „აღზრდა“, მათთვის „პოლიტიკური კორექტულობის“ წესების შეთვისება. სინამდვილეში, ის, თუ რა უნდა ვუყვით „ნაციონალურ პრობლემას“ ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში, არ არის მხოლოდ პრაქტიკული პრობლემა: ისიც სრულიად ბუნდოვანია, საკუთრივ რას უნდა ვესწრაფოდეთ. ეს საკითხი განვითარებულ დასავლურ საზოგადოებამაც მწვავე კამათს იწვევს.

ზოგადი ორიენტირის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ კარგი ეთნიკური პოლიტიკა ორი მიზნის მიღწევას ესწრაფვის. ერთი მხრივ, ნებისმიერ ადამიანს, მისი ეთნოკულტურული ძირების, რელიგიის და გვარის ჟღერადობისაგან დამოუკიდებლად საჯარო სფეროში მონაწილეობისა და კონკურენციის – სამუშაოს მიღების, პოლიტიკური კარიერის და ა. შ. – სხვებთან თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს: მეორე მხრივ, იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც თავს კულტურულად „სხვად“ გრძნობენ და სხვა ეთნიკურ, ნაციონალურ ჯგუფს აკუთვნებენ, სხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვა რელიგია აქვთ, სხვებად სურთ დარჩნენ და არ გაითქვიფონ უმრავლესო-

ბაში, – უნდა ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა. თითოეული ეს მიზანი საკლებით კანონიერი და გამართლებულია და არც ერთი მათგანის იგნორირება არ შეიძლება. პრობლემა იმაშია, რომ მათი შეთავსება ძალიან ძნელია.

ასეთი შეთავსების ლიბერალურ იდეალად ეთნოსურობის პრივატიზაცია შეიძლებოდა დაგვესახელებინა: კერძო სფეროში ადამიანს არავინ უშლის გამოავლინოს თავი როგორც „სხვამ“, ანუ ილაპარაკოს, ან გამოცეს ჟურნალები, ანდა თეატრალური წარმოდგენები დადგას თავის ენაზე, თავისი ღმერთი ილოცოს, თავისი განსაკუთრებული წინაპრებით იამაყოს და ა.შ. მაგრამ, რაც შეეხება საჯარო სფეროს, აქ ადამიანის ეთნოსური წარმომავლობა არავის ეხება. სახელმწიფო, და საზოგადოება მთლიანობაში, თავისი მოქალაქის ეთნოსური წარმომავლობისადმი ბრმაა: ყველას თანაბარი უფლებები და სასტარტო შესაძლებლობები აქვს, და ცალკეული მოქალაქის განსაკუთრებული წარმომავლობის საჯარო აქცენტირებაც კი (მაგალითად, „კავკასიური ეროვნების“ პირები), უბრალოდ, მიუღებელია. ეს შეიძლება განისაზღვროს ფორმულით – „ეთნოსური იდენტურობის სამოქალაქოთი შეცვლა“. მაგრამ ასეთი იდეალური ლიბერალური სიბრძავის მიღწევა არც ისე იოლია. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის არსად სრული ზომით არ მიუღწევიათ. ადამიანთა უმრავლესობას ძალიან ძნელად გამოსდის იმ გონებამომართულობის გადალახვა, რომ ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ლაპარაკობენ, სხვაგვარად იქცევიან და ზოგჯერ სხვაგვარად გამოიყურებიან – უცხონი არიან და მათ როგორც უცხოებს ისე უნდა მოექცე, ანუ – როგორც არც მთლად თავისიანებს. ეთნოსური წინარე რწმენები ნებისმიერ, თვით ყველაზე დემოკრატიულ საზოგადოებაშიც არსებობს, თუნდაც, უფრო განვითარებულ დასავლეთში ის „პოლიტიკური კორექტულობის“ წესებით კომპენსირდება. შეერთებული შტატები სანიმუშო ქვეყნად ითვლება იმ აზრით, რომ ეროვნული იდენტობა იქ სწორედ სამოქალაქო კუთვნილებას ეფუძნება და არა ეთნოსურს. მაგრამ რასობრივი პრობლემა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება, ხოლო თეთრ ამერიკელებს შოკში აგდებს ის, რომ აშშ-ის და მექსიკის საფეხბურთო გუნდების შეხვედრისას მექსიკური წარმოშობის ამერიკელები ერთსულოვნად გულშემატკივრობენ მექსიკას. პოლიტიკოსი, რომელიც მისი მოწინააღმდეგის ეთნოსურ გვარტომობაში იქექება მათი დისკრედიტაციის მიზნით, ცივილიზებულ ქვეყნებში ოსტრაკიზმს დაექვემდებარება. და მაინც, ჯერჯერობით ძნელი წარმოსადევია, რომ ფრანგებმა პრეზიდენტად ალჟირული წარმომავლობის ადამიანი აირჩიონ, გერმანელებმა – თურქი იმიგრანტის შვილი და ა.შ. ეთნოსურობის პრივატიზაცია და სამოქალაქო იდენტურობის პრიმატი – მარეგულირებელი პრინციპებია, რომლებსაც შეიძლება მხოლოდ მიუახლოვდეთ.

ლიბერალური ეთნოსიბრმავის ყველაზე საიმედო წინაპირობა ასიმილაციაა. ასიმილაცია ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ არის სხვა, ანუ, ის ლაპარაკობს, იქცევა, სულაც გამოიყურება, როგორც „ჩვენიანი“, როგორც უმრავლესობის წარმომადგენელი. ამასთან მან შეიძლება კიდევ დაივიწყოს თავისი უცხო წარმომავლობა, ან თავის ახალ, ძირითად იდენტობასთან შედარებით მეორეხარისხოვნად ჩათვალოს. ფრანგები რაღაც მომენტში ახლოს იყვნენ იმასთან, რომ პრეზიდენტად ელჟარდ ბაიადური აერჩიათ, – სომეხი წარმოშობის ფრანგი (უფრო ზუსტად გარკვეულ დროს ის ყველაზე პოპულარული ფრანგი პოლიტიკოსი გახდა). ეს იმაზე მეტყველებს, რომ საფრანგეთში სამოქალაქო იდენტობა დიდწილად ჯაბნის ეთნოსურ „სისხლ-ხორცს“. მაგრამ ეს იმასაც გულისხმობს, რომ იგივე ბაიადური, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი იყო და ფრანგებს ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ, ხოლო მისი გრძნობები სომხური წარმომავლობის შესახებ – თუკი ასეთები გააჩნდა – მის პირად საქმედ რჩებოდა.

ასიმილაციის პრობლემა მარტო იმაში როდია, რომ უმრავლესობის რიგები ძალიან გახსნილიც არ არის „სხვების“ მისაღებად, მაშინაც კი როცა მათ სურთ გახდნენ „ჩვენები“ (ქართული საზოგადოება სწორედ ასეთი მაგალითია), არამედ იმაშიც, რომ უმცირესობას შეიძლება არც სურდეს ასიმილირება ე.ი. არ სურდეს დაკარგოს თვითმყოფადობა და „უმრავლესობაში“ გაითქვიფოს. იმავე აშშ-ში რასობრივი სიბრმავის ლიბერალურ იდეალს (color blindness), ანუ მოქალაქეთა რასისადმი განურჩევლობას, ზანგების უფლებებისათვის მებრძოლები ხშირად აკრიტიკებენ: ისინი ამ პრინციპში სულაც ფარულ რასიზმს ხედავენ. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში მიაჩნიათ, რომ ასიმილაციის მოთხოვნა – ძალიან დიდი საფასურია თანასწორი უფლებების სანაცვლოდ. შესაბამისად, ბრუნვაში შემოვიდა ინტეგრაციის, როგორც ასიმილაციისაგან რაღაც განსხვავებული, ცნება: ადამიანები უნდა „ინტეგრირდნენ“ საჯარო სივრცეში, ანუ მთელის ნაწილი გახდნენ, ამასთან „სხვებადაც“ დარჩნენ ე.ი. შეინარჩუნონ კულტურული თვითმყოფადობა. აქედან ეროვნული უმცირესობების უფლებებისა, როგორც „კოლექტიური უფლებების“ დისკურსი: ჩვენ, როგორც უმცირესობების წარმომადგენლებს, უნდა გვქონდეს უმრავლესობის წარმომადგენლების თანასწორი უფლებები, მაგრამ ჩვენი განცალკევებული თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლებაც გვრჩება და საგანგებოდ ვზრუნავთ მის შენარჩუნებაზე, ე.ი. უფლება გვაქვს მივმართოთ განსაკუთრებულ ზომებს ასიმილაციის შესაბრუნებლად.

ამრიგად „ინტეგრაციის“ ცნება კომპრომისის ფორმულაა: როგორ შევაჯეროთ ამ განყოფილების დასაწყისში მოხსენიებული ორივე მიზანი: ერთიანობა/თანასწორობა და თვითმყოფადობის უფლება? თანამედროვე სა-

ზოგადობებს პრაქტიკულად არა აქვს სხვა გამოსავალი, თუ არა მათი კომბინირების ცდა; ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს აქვს ამის მისაღწევი ფორმულა. ეთნოსემპორისი ურთიერთობა მეტ-ნაკლებად პრობლემატურია ნებისმიერი მრავალეთნოსური საზოგადოებისთვის, უპირველეს ყოვლისა – დემოკრატიულისთვის. როგორც აშშ-ის, ისე ევროპის მაგალითი გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ეს პრობლემები უფრო მეტად, და არა უფრო ნაკლებ, მწვავე ხდება.

იქ, სადაც კომპრომისის მოძებნა სრულებით არ ხერხდება, სადაც საზოგადოება იმდენად ღრმად არის გაყოფილი ეთნოსური ან რელიგიური პრინციპით, რომ სამოქალაქო ინტეგრაციაზე ლაპარაკი ჭირს, ეგრეთ წოდებულ კონსოციონალიზმის (consociationalism) პრინციპია წამოყენებული. ეს წარმომადგენლობის ისეთი სისტემაა, როცა ადამიანები წარმომადგენლებს ირჩევენ გარკვეული თემებს შიგნით, ხოლო ლიდერები უკვე ერთმანეთში მოილაპარაკებენ და ერთობას ელიტების დონეზე ქმნიან. პრაქტიკაში ეს ეთნოსური ან რელიგიური კვოტების პრინციპია. უმცირესობის ზოგი წარმომადგენელი უკვე ლაპარაკობს ასეთი მიდგომის საქართველოში შემოტანის აუცილებლობაზე. ასეთმა პრინციპმა გაამართლა ჰოლანდიაში, რომელიც თავისი მშვიდობიანი და ცივილიზებული ფასადის მიუხედავად, ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ რელიგიური პრინციპით ღრმად გათიშულ საზოგადოებად ითვლებოდა (ძირითადი ჯგუფები აქ კათოლიკეები და პროტესტანტები არიან). მაგრამ პოზიტიური პრეცედენტები არც ისე ბევრია – განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ეთნოსურობასა და ისეთ საზოგადოებას ეხება, რომელიც დაახლოებით თანაბრად არის გაყოფილი რაიმე პრინციპით და არა უმრავლესობის და უმცირესობის ურთიერთობით. მთავარი პრობლემა იმაშია, რომ მსგავსი მიდგომა ეთნოსური ანდა რასობრივი სხვაობების ინსტიტუციონალიზაციას გულისხმობს და ამით საზოგადოების გათიშულობის გამტკიცებას ან მყარად ფეხმოყიდებას აღნიშნავს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში „აფირმატიული ქმედებების“ პროგრამა, რომელიც შავკანიანი მოსახლეობის სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის მოიგონეს, პირველ ხანებში ნამდვილად უწყობდა ხელს შავკანიანი საშუალო კლასის ფორმირებას, მაგრამ სადღეისოდ მას მწვავედ (და, ჩემი აზრით, მართებულად) აკრიტიკებენ იმისათვის, რომ ამ პროგრამამ თავისი სტრატეგიით ამერიკული საზოგადოების „ბალკანიზაციას“ შეუწყო ხელი, ანუ კიდევ უფრო გაღრმავა ამერიკის საზოგადოების ეთნორასობრივი პრინციპით გათიშულობა. დასწყისში „აფირმატულ ქმედებებს“ ამართლებენ, როგორც დროებითს, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი არ შეიძლება დროებითი იყვნენ, რადგან იმ პრობლემას აღრმავებენ, რომლის გადაჭრისათვისაც არიან მოწოდებული.

დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება ეთნო-ფედერალიზმის პრინციპის შესახებაც, ანუ ეთნოსური პრინციპის მიხედვით მოწყობილი ტერიტორიულ ავტონომიებზე. თუკი კონსოციონალიზმი დისპერსიულად მაცხოვრებელი, გაყოფილი საზოგადოებებისთვის მოიფიქრეს, ეთნოფედერალიზმი იმავე ამოცანას კომპაქტურად მცხოვრებ „უცხოთათვის“ წვევტს. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამით სულაც არაა აუცილებელი პრობლემები გადაწყდეს და ან უმცირესობა რჩება უკმაყოფილო, ან უმრავლესობა, ანდაც, ერთიც და მეორეც. მაგალითები – აფხაზეთი იქნება ეს, კოსოვო, თუ ბასკების ქვეყანა – ძალიან ბევრია.

ორივე ეს გადაწყვეტილება მოწოდებულია ერთიან საზოგადოებაში „სხვებთან“ ერთად ცხოვრების პრობლემები შეამსუბუქოს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი ინსტიტუციონალიზაციას ახდენენ და ამით საზოგადოების გათიშულობას ამკვიდრებენ. ისინი გათიშულობის შეგნებას მასობრივ ცნობიერებაში ამკვიდრებენ და იმავდროულად ინტერესთა გავლენიან ჯგუფებს ქმნიან – რასობრივ ან ეთნოსურ ელიტებს, ანდა „ეთნოსურ ნომენკლატურას“, რომელთა კეთილდღეობა ეთნოსური კვოტების შენარჩუნებაზე ან განსაკუთრებულ რეგიონალურ რეჟიმებზეა დამოკიდებული და რომლებიც, ამიტომ, აქტიურად შეეწინააღმდეგებიან რეალური ინტეგრაციის ნებისმიერ მცდელობას. ამასთან უმცირესობების რიგითი წარმომადგენლები შეიძლება უფრო წაგებულებიც დარჩნენ, რადგან ნაკლები ინტეგრირება პრაქტიკაში პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების, კარიერის გაკეთების და ა.შ. ნაკლებ შანსს ნიშნავს.

როგორც ეთნოფედერალიზმის, ისე „ეთნიკური კვოტების“ მეორე პრობლემა იმაშია, რომ ისინი სტრუქტურულ წინააღმდეგობაში იმყოფებიან დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპთან – თანასწორობის პრინციპთან. ერთიც და მეორეც პრივილეგიების სისტემა – ან რასის/ეთნოსური წარმომავლობის პრინციპით გამორჩეული ხალხის, ან რეგიონების. ვიღაცას ყველა ის უფლება ეკუთვნის, რომელიც ყველას აქვს და რადაც მეტი უფლებაც – ვიდრე სხვებს აქვთ. ჩვეულებრივ, ეს პრივილეგიები საუკეთესო ზრახვების შედეგად ენიჭებათ ხოლმე – იგულისხმება, რომ უმცირესობა, განმარტების თანახმად არახელსაყრელ მდგომარეობაშია, მათ სრულფასოვანი მონაწილეობისა და სოციალური წარმატების ნაკლები შანსი აქვთ, ამიტომ „აფირმატიული ქმედებების“ პრივილეგიები თითქოსდა აკომპენსირებენ უმცირესობების ობიექტურ დისკრიმინირებულობას. ამ არგუმენტის იგნორირება არ შეიძლება, მაგრამ ამის მიუხედავად ე.წ. „უკუ-დისკრიმინაცია“ (ე.ი. უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია) – მაინც უსამართლობაა იმათ მიმართ, ვინც მისი ობიექტი ხდება და დემოკრატიულ და სამართლებრივი საზოგადოებას უჭირს მისი მიღე-

ბა. როცა შავკანიან სტუდენტს უნივერსიტეტში გაცილებით ნაკლები ქულებით ღებულობენ, ვიდრე თეთრს ან აზიელს, ეს ნიშნავს რომ ეს უკანასკნელები თავიანთი კანის ფერის გამო დაზარალდნენ, და ამ ფაქტს ვერსად წაუხვალ.

საბჭოთა „ეროვნული პოლიტიკის“ თავისებურება ისაა, რომ ის ეთნოსურობის ინსტიტუციონალიზაციის ორივე სისტემას იწყნარებდა – როგორც ინდივიდუალური პრინციპით (ეროვნულობის შესახებ გრაფა), ისე ტერიტორიული (ეროვნული რესპუბლიკების და ავტონომიების სისტემა). ზოგი ადამიანი (მათ შორის დასავლეთშიც) მიიჩნევს, რომ „ეროვნული პოლიტიკის“ საბჭოური სისტემა წარმატებული იყო – აკი არც კონფლიქტები ყოფილა და ყველა მეგობრულად ცხოვრობდა. ავიწყდებათ, რომ ეს პოლიტიკა წარმატებული შეიძლება ერთადერთი პირობით ყოფილიყო – ტოტალური სახელმწიფო რეპრესიული აპარატის შენარჩუნების შემთხვევაში. როგორც კი აპარატი შეასუსტეს, მას პირველი ბზარები სწორედ ეროვნული პრინციპით გაუჩნდა – რადგან თვითონ სისტემა ამზადებდა საფუძველს ე.წ. „ეთნოსური კონფლიქტებისათვის“.

ეს არ ნიშნავს, რომ იდეალური „ლიბერალური სიბრმავესაგან“ ეთნოსურობისაკენ ნებისმიერი გადახვევა აპრიორულად უნდა აღიკვეთოს. ერთიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეთნოსურ მრავალსახობასთან დაკავშირებული პრობლემების თავისებურება ისაა, რომ ეს პრობლემები არც შეიძლება და არც უნდა გადაიჭრას – საჭიროა მათთან ცხოვრება ვისწავლოთ. ჰიტლერის შემდეგ ეთნოსური პრობლემების „საბოლოო გადაჭრა“ გენოციდის სინონიმიცაა. მაგრამ ეთნოსურ პრობლემებთან ცხოვრება ისე უნდა, რომ მისგან რაც შეიძლება ნაკლები თავის ტკივილი გექონდეს (მოსახლეობის ყველა ჯგუფს) – მაგრამ ისეთიანად აგრეთვე, რომ „ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებს“ ძალიანაც არ შეევეჩვიოთ და ამ „წამლებმა“ სახელმწიფოს სამართლებრივი და მორალური საძირკველი არ მოარღვიონ.

მე მგონია, ფორმალური ინსტიტუციონალიზაციის მეთოდების გამოყენება სახელმწიფოს შიგნით (ისეთების, როგორებიცაა ეთნიკური კვოტები ან ეთნოფედერალიზმი) მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ სხვა გამოსავალი საერთოდ არ არსებობს და მისი ალტერნატივა ღია კონფლიქტია. მეორე მხრივ, არც ინტეგრაციისადმი შიშის უგულებელყოფა შეიძლება, რომელსაც უმცირესობის ბევრი წარმომადგენელი ასიმილაციასთან აიგივებს. ინტეგრაციული ინტერესების (ურომლისოდაც სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფო ვერ შეიქმნება/იარსებებს) ეთნოსების „თავისებურებების“ და თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესებთან (რომელზეც უმცირესობა ხელს არ აიღებს) შერიგების ალტერნატივა

არ არსებობს, მათი შერიგება კი მხოლოდ კეთილი ნების და საღი აზრის საფუძველზეა შესაძლებელი. ეთნოსურობის ფორმალური ინსტიტუციონალიზაცია სახიფათოა, მაგრამ რეალობის იენორირება – მაგალითად, იმის, რომ არსებობს რეგიონები, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქართულად ვერ ლაპარაკობს და კიდევ დიდხანს ვერ ილაპარაკებს, არანაკლებ სახიფათოა.

იმ კონკრეტული, პრაქტიკულად რეალიზებადი პირობების განსაზღვრა, რომელშიც სამოქალაქო ინტეგრაციაა შესაძლებელი, მრავალმხრივი პროცესია და აქ ყველას პოზიცია მნიშვნელოვანია, – როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის. უმრავლესობამ იმის იმედი არ უნდა იქონიოს, რომ მას შეუძლია, უბრალოდ დაადგინოს წესები, რომელსაც უმცირესობა შეასრულებს. იყო ასეთი უაღრესად გულუბრყვილო სურვილიც, უბრალოდ ჩაეწერათ კანონში, რომ ქართულად ლაპარაკი საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა შეეძლოს. რაკი კანონში ჩაიწერება, კიდევ ისწავლიან. მეორე მხრივ, უმცირესობას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ვიღაც გარეშე კეთილი ბიძა (მაგალითად, ევროპის საბჭო) აიძულებს საქართველოს შემოიღოს რომელიღაც კარგი წესი (მაგალითად, მოახდინოს ეროვნული უმცირესობების კონვენციის რატიფიცირება) და მერე ცხოვრებაში გაატაროს. შეიძლება კონვენციის რატიფიცირებას ოდესმე კიდევ მოახდინონ, მაგრამ ეს იმაზე ბევრად მეტს არას შეცვლის, ვიდრე ბევრი სხვა კონვენციის რატიფიცირებამ შეცვალა.

უწინარეს ყოვლისა, უმრავლესობამ უნდა გაიგოს, რომ უმცირესობების რეალური ინტეგრაცია საქართველოს ცხოვრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ უმრავლესობა იქნა ღია საამისოდ. თუ დღეს უმცირესობის ბევრი წარმომადგენელი ეთნოსურ კვოტებზე ან ავტონომიებზე ლაპარაკობს, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ. თუ ისინი არც ძალიან ესწრაფიან ქართული ენის შესწავლას – ეს იმიტომ, რომ არც თუ უსაფუძვლოდ ჰგონიათ, რომ ეს ძალიანაც არ გაზრდის წარმატების მათ შანსებს, რომ მათ სულ ერთია თავისიანად მაინც არ ჩათვლიან, – ან შეიძლება იმიტომ, რომ თუ ქართულს შეისწავლიან, მათ შესაძლოა ამ ენაზე ბევრი რამ მათთვის არასასიამოვნო გაიგონონ. ამიტომ სანამ ქართველი ოფიციალური პირები სომეხ დიდელას ან სომხურ მამის სახელს – „არშაკის ძეს“ მაკომპრომეტირებელ ფაქტორად მიიჩნევენ, საქართველოში მცხოვრები სომხები (ისევე, როგორც აზერბაიჯანელები, უკრაინელები, გერმანელები, ან ვინც ვნებავთ), რომლებიც ითხოვენ კვოტებს ან ავტონომიებს, ბევრ რამეში მართლები იქნებიან და ძნელია მათ არგუმენტებს წინ აღუდგა.

მეორე მხრივ, უმცირესობების სტრატეგია არანაკლებ მნიშვნელოვანია. შესწენებამ ქართული ენის ცოდნის აუცილებლობის შესახებ, შეიძლება ბევრი გაღიზიანოს და ეს გაღიზიანება ფსიქოლოგიურად გასაგებია, მაგრამ საღი ჯარი გვეკარნახობს, რომ საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, იმ ენის არცოდნა, რომელზეც ფუნქციონირებს მოცემული საზოგადოება, ძირს უთხრის ნებისმიერი ინდივიდის წარმატების შანსს და ამის კომპენსირებას ყველაზე ლიბერალური ეთნიკური პოლიტიკაც ვერ შეძლებს. ამ პრობლემის გადაჭრა თვით ავტონომიასაც არ შეუძლია, რადგან მის საზღვრებს გარეთ გასვლა ხანდახან მაინც მოგიწევს. უმრავლესობის ბევრ ქმედებას შეუძლია სამართლიანი პროტესტი გამოიწვიოს – მაგრამ სტრატეგიულად ნებისმიერი ეთნიკური გეტოს თვითიზოლიაციას შეუძლია მხოლოდ პრობლემის გადაჭრის ილუზია შექმნას. მით უმეტეს, რომ არ შეიძლება იმის იმედად დავრჩეთ, თითქოს ქართული საზოგადოების უმრავლესობა ან საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი ბიძები მხარს დაუჭერენ ასეთი გეტოს იურიდიულ გაფორმებას.

თუ გვინდა პრობლემების გადაჭრა ვისწავლოთ, მათი ალაგმვა უნდა ვისწავლოთ (თანაც ცხვირ-პირის მტკრევის და ისტერიკის გარეშე). სანამ ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში ეთნოსურობის პრობლემებისადმი სირაქლემის მიდგომა განაგრძობს ბატონობას, გვკონია, რომ პრობლემები ობიექტურად არ არსებობს, არსებობენ ცალკეული ცუდი ადამიანები, „ამბიციოზური ინდივიდები“, რომლებსაც (ბოროტგანმზრახველი „მესამე ძალის“ მხარდაჭერით) ამ პრობლემების შექმნა სურთ. მაგრამ ვფიქრობ, წინამდებარე კრებულის მასალა გვიჩვენებს, რომ ჩვენ, ნელ-ნელა და დიდი სიფრთხილით, შევუდექით კვიშაში ჩარგული თავის ამოწევას.

კონკრეტული მაგალითი 1: ეთნოსურ უმცირესობათა პარტიები

ეს სტატია საქართველოს ეთნოსური პოლიტიკის ზოგადი კონცეფციის შექმნას არ გულისხმობს. სტეფანიანის და ხალილოვის წერილები, ისევე როგორც ამავე კრებულში გამოქვეყნებული სტეფანიანის და მიწხოვეის სტატიები უადრესად საინტერესო იდეებს შეიცავენ ამ მიმართულებით. საქართველოს სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის პროექტი მე მეტისმეტად ზოგადი და დეკლარაციული მეჩვენება, მაგრამ ისიც მრავალ ღირებულ იდეას შეიცავს. მაგრამ მეც მხოლოდ ვითარების აღწერის და ზოგადი პრინციპების განხილვის დონეზე რომ არ დავრჩე, ილუსტრაციის სახით მინდა უფრო დაწვრილებით გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ორ

კონკრეტულ და განსაკუთრებით მტკივნეულ პრობლემაზე. ხაზი მინდა გა-
ვუსვა, რომ ამას მხოლოდ მაგალითისთვის ვაკეთებ და სულაც არ მსურს
ეთნოსური პოლიტიკის სხვა ასპექტების მნიშვნელობის დაკნინება.

პირველი პრობლემა ეთნოსური უმცირესობების პარტიების შექმნას
ეხება. ასეთი პარტიების შექმნა საქართველოში წინაარმდებობას აწყდება
(როგორც ეს სტეფანიანის და ხალილოვის ხსენებულ სტატიებშიცაა აღ-
ნიშნული). სამაგალითოდ პარტია „ვირქის“ ისტორიაც გამოდგება. ეს პარ-
ტია შეიქმნა ჯავახეთში, როგორც ქართველი სომხების პარტია. თვითონ
სიტყვა „ვირქი“ ძველსომხურ ენაზე „ჩრდილოეთის ქვეყანას“ – ანუ სა-
ქართველოს აღვიშნავს. როგორც ჯავახელი აქტივისტები ამტკიცებენ, ასე-
თი პარტიის შექმნას პირველი ბიძგი საქართველოს ხელისუფლების წარ-
გზავნილებმა მისცეს, რომლებსაც ეს პარტია პრეზიდენტ შევარდნაძის და
მისი პარტიის – საქართველოს მოქალაქეთა კავშირის – მხარდამჭერად
წარმოედგინათ. ამიტომ თავდაპირველად ვირქში ადგილობრივი პოლიტი-
კურ-ოლიგარქიული ელიტა შევიდა, რომელსაც ამით რეჟიმისადმი თავი-
სი ლოიალობის ჩვენება სურდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს რჩევა ჯეროვ-
ნად შეთანხმებული არ ყოფილა თბილისში: ყოველ შემთხვევაში, ფაქტი
ის არის, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური კავშირების შესახებ ქართული
კანონის თანახმად პარტიის დარეგისტრირების რამდენიმე ცდა იუსტიცი-
ის სამინისტროში, უარით დამთავრდა. ერთ-ერთი მცდელობისას პარტიამ
სახელწოდებაც კი შეიცვალა ქართული სიტყვით „ზარი“, მაგრამ ამან
საქმეს არ უშველა. უარის საბაბად ჩვეულებრივ იმას იყენებენ, რომ კა-
ნონი პოლიტიკური პარტიის რეგიონალური პრინციპით შექმნას კრძალავს.
თუმცა პარტიის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ მათ საქართველოს
მრავალ კუთხეში აქვთ რეგიონალური განყოფილებები, თბილისის ჩათვ-
ლით, და ასეთი რეგიონალური განყოფილებების რაოდენობა მეტია, ვიდ-
რე დარეგისტრირებული პარტიების (რომლებიც საქართველოში ათეულო-
ბითაა) უმეტეს ნაწილში.

თუ მართალია ეს ისტორია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯავა-
ხელებს ჯერ პარტიის შექმნისაკენ უბიძგა, ხოლო მერე თვითონვე თქვა
უარი მის რეგისტრაციაზე (პირადად მე სარწმუნო მგონია), მაშინ ეს კი-
დევე ერთი ილუსტრაციაა იმისა, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას ეთ-
ნოსური პოლიტიკის ზოგადი პრინციპებიც არ გააჩნია (უკიდურეს შემთ-
ხვევაში, შევარდნაძის და მოქალაქეთა კავშირის დროს ის არ ჰქონდათ).
მაგრამ საკითხავი სხვა რამეა: როგორი უნდა იყოს პოლიტიკა ამ კონკრე-
ტულ საქმეში?

ქართული პოლიტიკური ელიტა მკვეთრად უარყოფითად კვიდება ეთნო-
უმცირესობების პოლიტიკური პარტიების იდეას. ასეთი პარტიის შექმნაში

ტერიტორიული, გნებავთ ფსიქოლოგიური სეპარატიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს ხედავენ. როცა ასეთი პარტიის ინიციატივა ჯავახეთისაგან მოდის, ეს ორმაგად შემამოფოთებელია, რადგან თბილისში ამ რეგიონს ბევრი უყურებს, როგორც პოტენციურად სეპარატისტულს. „ვირქის“ საქმიანობა გარკვეული აზრით ადასტურებს ამ შიშს: იგი ჯავახეთის ტერიტორიული ავტონომიის მომხრეა, ხოლო საქართველოში ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ასეთი მოთხოვნა სეპარატიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯია. როცა ლაპარაკია, ჯავახეთში ავტონომიის მოთხოვნები გაისმისო, ამ მტკიცებულებების ძირითადი წყარო, როგორც წესი, არის „ვირქის“ ხელმძღვანელთან – დავით რსტაკიანთან მორიგი ინტერვიუ. ამიტომ ბუნებრივია, ასეთ პარტიას ცდილობენ ნებისმიერი საბაბით უთხრან უარი დარეგისტრირებაზე.

არის კი სასურველი პოლიტიკური პარტიის შექმნა ეთნიკური პრინციპით? თუ საკითხს დემოკრატიის თეორიის დონეზე დავაყენებთ, მაშინ მე ვიტყვოდი – არა. ნორმალურ, ჯანმრთელ დემოკრატიებში პოლიტიკური პარტიები იმ პრინციპით უნდა გაირჩეს, როგორ აპირებენ ისინი იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც სამოქალაქო სივრცეში საზოგადოდ არსებობს. აშშ-ის კონგრესში ადგილებისათვის რესპუბლიკელების და დემოკრატების ნაცვლად ერთმანეთს, სიტყვაზე, თეთრების, ესპანურენოვანების, არაბულენოვანების, ჩინელების და შავკანიანი ამერიკელების პარტიები რომ ეჯიბრებოდნენ, ის სხვა ქვეყანა იქნებოდა და მე პირადად ის გაცილებით ნაკლებად მომეწონებოდა. თვითონ ამერიკელებს ასეთი პერსპექტივის წარმოდგენაც კი გაუჭირდებათ: მათთვის ეს კომმარი იქნებოდა. დღეს რომ საფრანგეთში არაბთა პარტია შეიქმნას, ხოლო გერმანიაში – თურქული, და მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფების უმეტესმა ნაწილმა ხმა მათ მიცეს და არა ძირითად პოლიტიკურ პარტიებს, ეს ამ ქვეყნების დემოკრატიული ინსტიტუტების სერიოზული კრიზისის ნიშანი იქნებოდა.

ამ აზრით, მე მესმის, რატომ არ სურს ქართულ პოლიტიკურ ელიტას (იმ ხალხის ჩათვლით, ვინც გულწრფელად ქომაგობს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და უმცირესობების საერთო სამოქალაქო სივრცეში ინტეგრაციას), რომ საქართველოში ეთნიკური პარტიები არსებობდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სწორია, როცა მათ აღმოცენებას აკრძალვის გზით დავაბრკოლებთ. როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი პარტიების შექმნა იმის ინდიკატორია, რომ საერთო სამოქალაქო სივრცის არსებობა კითხვის ქვეშაა. მაგრამ, საქართველოში რომ საერთო სამოქალაქო სივრცე ჯერ არ არსებობს – ყოველ შემთხვევაში, უმცირესობები მასში ინტეგრირებული არ არიან – ეს პარტია „ვირქის“ ისტორიის გარეშეც ვიცით. ვაბრკოლებთ რა ასეთი პარტიების შექმნას – უფრო ზუსტად რეგისტრაციას, ინდიკატორებთან და არა პრობლემებთან ბრძოლის საბჭოური ჩვე-

ულების ერთგული ვრჩებით, ე.ი. სირაქლემას ქცევას კიდევ ერთხელ ვავლენთ. სირაქლემას მენტალობა უგულებელყოფს იმ აშკარა გარემოებას, რომ, თუ რომელიმე რეგიონში შეიქმნება სერიოზული სეპარატული მოძრაობის პირობები, თბილისის იუსტიციის სამინისტროში რეგისტაციის არარსებობა, მას ვერ შეაჩერებს: ამაში დარწმუნების შესაძლებლობა საქართველოს საკუთარ სავალალო გამოცდილებით ჰქონდა.

თუკი განვითარებულ დემოკრატიებში ეთნოსური და ეთნო-რეგიონალური პარტიები არ არიან, არა იმიტომ, რომ მათ კრძალავენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი არ სჭირდებათ, ან მათი შექმნა უპერსპექტივოა. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ასეთი პარტიები შეიძლება შეიქმნან, მაგრამ ისინი ვერ ითამაშობენ სერიოზულ როლს, რადგან არსებული საერთო სამოქალაქო პარტიები წარმატებით გამოხატავენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს და უმცირესობების წარმომადგენლები ახერხებენ მათ შორის პოვონ „თავისი“ პარტია. ზოგ განვითარებულ ქვეყანაში ეთნოსური და ეთნორეგიონალური პარტიები რაღაც როლს მაინც თამაშობენ: მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, კიდევ უფრო მეტად – ესპანეთში. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს ამ ქვეყნებში ინტეგრაციის პრობლემები აქვთ: მაგრამ ეს პრობლემები არ არის გამოწვეული პარტიების არსებობით, საქმე სწორედ პირიქითაა. პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება (ბულგარეთის, რუმინეთის, ლატვიის და სხვათა) ასევე გვიჩვენებს, რომ ეთნოსური და ეთნორეგიონალური პრინციპით პარტიების შექმნამ სულაც არ მიგვიყვანა არსებული პრობლემების გამწვავებასთან.

ასეთი პარტიები არა მარტო სამოქალაქო ინტეგრაციის ველში არსებული ინდიკატორები არიან; ისინი, სულ მცირე, ამ პრობლემების ცივილუზებულიად განხილვაში გვეხმარებიან, ანდა შეიძლება პრობლემების გადასაწყვეტად რაიმეში წავგადგენენ. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად ლატვიაში, ეთნოსური პარტიების შექმნის ხელმოცარული ცდები აჩვენებს უმცირესობებს, რომ მსგავსი სტრატეგია უპერსპექტივოა და საკუთარი ინტერესები სხვა გზებით უნდა დაიცვან – ე.ი. ზოგადეროვნული პარტიებისადმი აპელაციის მეშვეობით. მაგრამ თუნდაც ეს ასე იყოს, უმცირესობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თვითონ დარწმუნდეს ამაში.

დღევანდელი რეალობა საქართველოში ისეთია, რომ ეთნოსური უმცირესობები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში: მათი წარმომადგენლები თითქმის არ არიან პოლიტიკური პარტიების აქტივისტებს შორის. მოქალაქეთა კავშირი პრობლემის გადაჭრის ილუზიას არჩვენებზე თავის პარტიულ სიებში „ნომენკლატურული ნაცემების“ გარკვეული რაოდენობის ჩართვით ქმნიდა. ეს „ნომენკლატურული ნაცემენ-

ბი“ თავის მხრივ „ყრუმიუნჯი ღებუტატების“ ჯგუფს ქმნიდნენ, რომლებიც პარლამენტის მუშაობაში იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მონაწილეობდნენ, რომ მისი სამუშაო ენა არ ესმოდათ. სამაგიეროდ, ანგარიშებში შეგედლო ჩაგეწერა, რომ ამდენი და ამდენი ღებუტატი გვყავდა უმცირესობიდან. ნაციონალურმა მოძრაობამ, ჩანს, გადაწყვიტა უარი თქვას ამ გზაზე. მაგრამ რა არის ალტერნატივა? დაველოლოთ უმცირესობების ინტეგრირაციას და მათ რიგებში ბუნებრივად გამოჩნდებიან პოლიტიკური აქტივისტები? სხვადასხვა, და მათ შორის ამ ჰუბლეაციაში აღწერილ, მიზეზთა გამო, ეს ძალიან გვიან მოხდება. მანამდე უმცირესობებს მოუწევთ, ფაქტიურად, შეურიგდნენ თავიანთ პოლიტიკურ მარგინალობას. მაგრამ შეეგუებიან კი ისინი? გაგრძელება ამჟამინდელი ვითარება, როცა უმცირესობების უმრავლესობა რეალურად უგულებელყოფს არჩევნებს, რომლებიც მათთვის გაუგებარი და უინტერესოა, ხოლო მათი, ამ უმცირესობების კომპაქტური განსახლების ადგილები „რისკის ზონებად“ დარჩება არჩევნების მასიური გაყალბების აზრით (რატომ უნდა დაიკარგოს ხმები ტყუილად?). პარალელურად „გმოლვიძებული“ უმცირესობები დარეგისტრირებულ ან დაურეგისტრირებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შექმნიან – ალბათ უფრო ნაციონალისტური მიმართულებისას, რადგან შეუძლებელია მათი იზოლირება იმ დემოკრატიული პროცესებისაგან, რომელიც ქვეყანაში ხდება.

ეთნიკური პარტიების შექმნა დღევანდელ ქართულ სინამდვილეში – რა თქმა უნდა, თუ თვითონ უმცირესობა მოინდომებს მის შექმნას – შეიძლება მათი ინტეგრაციის ფაქტორიც კი გახდეს. ასეთი პარტიები ძალიან ძალუ აღმოაჩენენ, რომ ზოგადდროვნულ პარტიებთან კოალიციის გარეშე რაიმე შედეგის მიღწევას ვერ შეძლებენ (ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია ცხრილს შეხედოს ამ სტატიის დასაწყისში). მეორე მხრივ, ზოგადქართული პარტიები გაიგებენ, რომ ეთნოსურ პარტიებთან თანამშრომლობა – ან, სულ ცოტა, იმ პროგრამული მოთხოვნების ინკორპორაცია, რომელსაც ისინი აყენებენ – უმცირესობიდან ამომრჩეველთა ხმების მიზიდვის აუცილებელი წინაპირობაა.

ან ზოგადდროვნული პოლიტიკური პარტიები აქტიურად მუშაობენ უმცირესობების რეალური და არა სიმბოლური წარმომადგენლების მოსაზიდად და ცდილობენ მოსახლეობის ამ ჯგუფების რეალური პრობლემები და მოლოდინები წარმოაჩინონ, ან სახელმწიფო არ ეწინააღმდეგება იმას, რომ უმცირესობებმა ეს „თავისი“ პარტიების მეშვეობით გააკეთონ. არ დაანებო არც ერთი და არც მეორე – ნიშნავს ნიადაგი მოუმზადო სარიონულ კრიზისს.

კონკრეტული მაგალითი 2: „არაქართული სკოლების“ პრობლემა

ყველა ქვეყანაში განათლების სახელმწიფო სისტემა ეთნოსური პოლიტიკის, ანდა ინტეგრაციის პოლიტიკის მნიშვნელოვან, სულაც ძირითად ელემენტად ითვლება. უწინარეს ყოვლისა, სწორედ სკოლებმა უნდა მოუმზადონ სახელმწიფოს მოქალაქეები: ეს ტრუნიზმია. საქართველომ სხვადასხვა ენოვანი სკოლების საბჭოთა სისტემა (ანუ ქართულ შემთხვევაში ქართულენოვანი, – რუსულენოვანი, სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, ოსურენოვანი) მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებით იმეგვიდრა. ეს პრაქტიკაში ნიშნავს, რომ ის იმ საგანმანათლებლო სისტემას ინარჩუნებს, რომელიც საზოგადოების დეზინტეგრაციის იარაღად გვევლინება.

რამდენიმე შეხვედრაზე, რომელიც აქ განხილულ საკითხებს ეძღვნებოდა, ვთქვი, რომ არაქართული სკოლების სისტემა საქართველოში მომავალ ემიგრანტებს ზრდის-მეთქი. შევიტყვე, რომ უმცირესობების ორგანიზაციების ზოგი წარმომადგენელი ამის გამო ჩემზე განაწყენდა, რადგან მიიჩნია, რომ მე ამით უმცირესობების უფლება, მათ ენაზე განათლების მიღებისა, ხელვყავი. მე არ ვბღალავ ამ უფლებას. მაგრამ ვხელმძღვანელობ სადი ახრით და რეალობიდან ამოვიღვარ.

საბჭოთა სკოლა საბჭოთა მოქალაქეებს ზრდიდა, ოღონდ სხვადასხვა ენებზე. რუსული სკოლები ყველასთვის იყო, ხოლო „ეროვნული სკოლები“ – სათანადო ერებისათვის: ქართული – (ეთნოსური) ქართველებისათვის, სომხური – (ეთნოსური) სომხებისათვის, აზერბაიჯანული – (ეთნოსური) აზერბაიჯანელებისათვის და ა.შ. როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, განათლების სისტემაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა, კერძოდ: (1) სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს საბჭოთა იდეოლოგია და შესაბამისი საგნები, როგორც იყო სსრ კავშირის ისტორია; (2) თუ ადრე ზოგი ქართველი მშობელი ბავშვებს რუსულ სკოლაში აბარებდა, რამდენადაც რუსული იყო კარიერის ენა, ახლა ეს იშვიათობად იქცა; ქართული სკოლების სასწავლო პროგრამებში იმასთან დაკავშირებული ზოგი ცვლილება მოხდა, რომ ამ სკოლებმა, ერთი მხრივ, ქართული და, მეორე მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა აღზარდონ. მაგრამ „არაქართულ სკოლებს“ ეს ცვლილებები მინიმალური ზომით შეეხო და რაც არც თუ მცირემნიშვნელოვანია, თითქმის არ შეცვლილა საზოგადოებრივი აღქმის სტერეოტიპი, რომელზეც არის დამოკიდებული, სად მი-აბარებენ მშობლები თავიანთ შვილებს: ქართული სკოლები – ეს (ეთნოსური) ქართველების სკოლებია, სომხური – (ეთნოსური) სომხების, აზერ-

ბაიჯანული – (ეთნოსური) აზერბაიჯანელების, ხოლო რუსული ყველასი (ახალ პირობებში ყველა უმცირესობის). ქართველებს ზრდიან ქართული სკოლები, ხოლო დანარჩენი სკოლები ზრდიან არაქართველებს.

ქართული საზოგადოება და სახელმწიფო ფუნქციონირებს, პრაქტიკულად, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. ე.ი. ქართულია ერთადერთი ენა, რომელიც არის და შეიძლება იყოს საერთო საზოგადოებრივი ინტეგრაციის ენა საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ, როგორც ქართული საზოგადოების განწყობას, ისე ეთნოდემოგრაფიულ სტატისტიკას, ძნელი საფიქრელია, რომ ეს ასე არ იყოს. სხვა ენებს შეიძლება უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში ჰქონდეთ ფუნქცია საჯარო სფეროში, მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში ლოკალურ სპეციფიკად რჩება. არაქართულ სკოლებში ქართული ენა მხოლოდ კვირაში რამდენიმე საათით ისწავლება და ამისთვისაც კი არა ჰყოფნით კვალიფიციური და თუნდაც არაკვალიფიციური მასწავლებლები. ქართულის გამოყენება ასეთ სკოლებში ამით შემოიფარგლება. ყველა სხვა საგანი ისწავლება არაქართულ ენაზე. ეს მხოლოდ ერთ რამეს მოასწავებს – ქართული არაქართულ სკოლებში უცხო ენასავით ისწავლება. როგორც მრავალ ჩვენთაგანს ახსოვს საბჭოთა გამოცდილებიდან, უცხო ენის შესწავლა ჩვეულებრივი სასკოლო პროგრამის საფუძველზე, ისე რომ ის რეალურად გამოგვეყენებინა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო: საამისოდ ენები სპეცსკოლაში, ენების უმაღლეს სასწავლებელში ან კერძო რეპეტიტორთან უნდა გესწავლა.

უფრო მეტიც 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს განათლების სამინისტრომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: რაკი სახელმძღვანელოების დასაბეჭდად სახსრები ქართული სკოლებისათვისაც კი არ ჰყოფნიდათ, იქნებ დროებით, გამონაკლისის წესით, ეს სახელმძღვანელოები უმცირესობების „იტორიულმა სამშობლოებმა“ მოგვავლოდნენ: აზერბაიჯანმა, სომხეთმა, რუსეთმა?! ისტორიული სამშობლოები სიამოვნებით დათანხმდნენ. უმცირესობისადმი დაახლოებით ასეთი მესიჯი გამოვიდა: რაკი თქვენ არაქართველები ხართ, თქვენზე დაე, თქვენმა ისტორიულმა (წაიკითხე) ნამდვილმა სამშობლომ იზრუნოს. თუ მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო ინტეგრაცია ქართული სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, ასეთი გადაწყვეტილება იგივეა, საკუთარ ფეხს ესროლო. შევარდნაძის მთელი მმართველობის განმავლობაში ამ პრაქტიკისათვის არ გადაუხედავთ.

საქართველოს ენობრივი რეალობა ისაა, რომ სახელმწიფო დაწესებულებები ერთადერთ ქართულ ენაზე მუშაობენ (ჯავახეთის ორი რაიონის კანონსაწინააღმდეგო გამონაკლისის გარდა). თითქმის არ დარჩა უმაღლესი განათლების უმცირესობების ენაზე მიღების შესაძლებლობა (თუ ასე-

თად ინგლისურს არ ჩავთვლით, აქ მდგომარეობა უკვე უკეთესია). უკიდურესად ძნელია სამუშაოს პოვნა ქართულის უცოდინრად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის მარტოოდენ ქართულს იყენებენ. ეს ნიშნავს, რომ არაქართული სკოლების სისტემის მეშვეობით სახელმწიფო საკუთარ მომავალ მოქალაქეებს საზოგადოებიდან ერეკება, უარს ეუბნება მას საკუთარ ქვეყანაში წარმატების შანსზე. თუ უფრო რადიკალურ გამოთქმებს გამოვიყენებთ, იმასაც კი ვიტყვით, რომ არაქართული სკოლები მათი ახლანდელი მდგომარეობით – შენელებული ეთნოსური წმენდის იარაღია: უმცირესობას ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, როცა ემიგრაცია მათთვის ყველაზე რაციონალური გასაწვევტილება ხდება. ალტერნატივა – სეპარატიზმი: სივრცის შექმნა, სადაც ქართული საჭირო არ არის.

როცა „გამოძევებაზე“ და „ეთნოსურ წმენდაზე“ ვლაპარაკობ, არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ აღწერილი პრაქტიკა განათლების სისტემაში შეგნებულადაა მიმართული მსგავსი შედეგისაკენ. პირიქით, ქართველი პოლიტიკოსები და სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც სიამაყით მოჰყავთ ხოლმე სხვადასხვა შეხვედრებზე და ფორუმებზე სტატისტიკური მონაცემები უმცირესობების ენებზე სკოლების და დამოუკიდებელი სექტორების რაოდენობის შესახებ, გულწრფელად იყენენ დარწმუნებულები, რომ ამით ისინი ქართული სახელმწიფოს მიერ უმცირესობების კულტურული უფლებების დემონსტირებას ახდენენ. მაგრამ ეს არ ცვლის ამ სკოლების ობიექტურ როლს. ამას გარდა, ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც შეგნებულად იხრება იქითგან, რომ „ეროვნული საკითხის“ ოპტიმალური გადაჭრა ეთნოსური წმენდაა, საეჭვოა არაქართულ სკოლებში განათლების მდგომარეობა ანაღვლებდეს.

როგორ უნდა შევცვალოთ ეს ვითარება? აქ აშკარად ორი გზაა და ორივე უნდა შევაჯეროთ. ერთი მხრივ, სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა დაამსხვრიონ ის სტერეოტიპი, რომ ქართული სკოლები – ეს (ეთნოსური) ქართველების სკოლებია; არა, ქართული სკოლები – ეს არის სკოლები საქართველოს მოქალაქეებისათვის, მათი წარმოშობისაგან დამოუკიდებლად. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ჩასატარებელია სამუშაო სკოლებთან და მათ პედაგოგებთან. შეიძლება შემოგვედავონ, რომ წესით პრობლემა არც ახლავს, რომ ნებისმიერი ეროვნების მშობლებს შეუძლიათ მიაბარონ ბავშვები ქართულ სკოლებში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ქართული სკოლები მეგობრულად, ღიად უნდა იყვნენ განწყობილი უმცირესობების ბავშვებისადმი. ეს მათ სასწავლო პროგრამებსა და სწავლების პრაქტიკაშიც უნდა აისახოს. მაგალითად, როგორც კავკასიური ინსტიტუტის და მისი პარტნიორების კვლევებმა აჩვენა, ქვემო ქართლში ზერბა-იჯანელი მშობლების ნაწილი ისურვებდა ბავშვების ქართულ სკოლაში მი-

ბარებას, მაგრამ მათ აზინებთ, რომ ასეთ სკოლებში მათი ბავშვები შეიძლება მართლმადიდებლური პროზელიტიზმის ობიექტი გახდეს. კონკრეტული დასკვნა, რომელიც აქედან გამომდინარეობს შემდეგა: იმისათვის, რომ ქართული სკოლები სამოქალაქო ინტეგრაციის ინსტრუმენტებად იქცეს, ისინი იმავდროულად მართლმადიდებლების სკოლები არ უნდა იყოს, ისინი რელიგიურად ნეიტრალური უნდა იყოს. ქართულ სკოლებში სწავლების დღევანდელი პრაქტიკა ამ პრინციპს ეწინააღმდეგება.

ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიის სწავლება. ნებისმიერი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემაში ისტორიის სწავლება – სამოქალაქო აღზრდის ქვაკუთხედი. მაგრამ თუ ეს ასეა, სახელმწიფოს ისტორია მარტოოდენ ეთნიკური ისტორია არ უნდა იყოს. ის იმით არ უნდა შემოიფარგლოს, რომ ეთნოსური სიამაყის გრძნობა ჩაგვინერგოს. სწორედ ისტორიის სახელმძღვანელოებმა უნდა შეაჩვიონ მოსწავლეები იმ აზრს, რომ საქართველო – ეს ისტორიულად მრავალეთნოსური ქვეყანაა, რომ სხვანაირი საქართველო არასოდეს ყოფილა და რომ „არაქართული“ ეთნოსური წარმომავლობის ადამიანებს – თავისი უცილობელი ადგილი აქვთ საქართველოს წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი უმცირესობების „ისტორიულ“ თუ „ეთნოსურ“ სამშობლოთა ისტორიის სკოლაში სწავლების საკითხიც, რომელიც სტეფანიანის და მიწხოვეის სტატიებშია წამოჭრილი. ბუნებრივია, სამოქალაქო განათლების საქმისთვის ისტორიის საგნის სწავლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, არც ერთი სახელმწიფო არ მიიღებს ენთუზიზმით „უცხო“ ისტორიის თავის სასკოლო პროგრამაში ჩართვას (თუ, რასაკვირველია, მათ მომავალი ემიგრანტების სკოლად არ განვიხილავთ). მით უმეტეს, რომ ეს ისტორიები, ალბათ ეთნოცენტრისტული პოზიციებიდან არის დაწერილი და მათი ინტერპრეტაციები, რაღაც-რაღაც საკითხებში ეწინააღმდეგები იმას, რასაც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ასწავლიან.

განათლების სისტემის რეფორმის მეორე მიმართულება ე.წ. „არაქართული სკოლების“ ღრმა რეფორმაა. სამართლიანია, რომ სახელმწიფო შედარებით მსხვილი უმცირესობებისათვის საშუალო განათლების მათ მშობლიურ ენაზე მიღების გარანტიას ქმნის – თანაც ამ ენებზე კერძო სკოლების ნებართვის ან ლიცენზირების გზით კი არა (რაც თავის თავად იგულისხმება), არამედ ასეთი სკოლების ფინანსირების აზრით. უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ რეალური შესაძლებლობა განათლების სისტემის მეშვეობით შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობა. ამიტომ არაქართული სკოლების სისტემა პრინციპში უნდა შენარჩუნდეს. მაგრამ თუ ეს სახელმწიფო სკოლებია,

ისინი იმავდროულად მოვალენი არიან საქართველოს მომავალი მოქალაქეები მოამზადონ, რომლებიც შეძლებენ ქართულ უნივერსიტეტებში (ე.ი. ქართულ ენაზე) ისწავლონ, იმუშაონ ქართულ ორგანიზაციებში, იმსახურონ ქართულ ჯარში, ქართულ ტელევიზიას უცქირონ ანუ სრულფასოვნად იფუნქციონირონ და იმეტოქენ ქართულ საზოგადოებაში. ამისათვის კი კურსდამთავრებულებმა, – პრაქტიკულად, მშობლიურის დონეზე უნდა იცოდნენ ქართული ენა. ამ მიზნის მისაღწევად რა კონკრეტული ცვლილებები უნდა იქნას შეტანილი სასწავლო პროგრამებში, ეს ცალკე განხილვის საგანია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები ძირფესვიანი უნდა იყოს.

რასაკვირველია, ამ ცვლილებების გატარება ძნელია და მას დრო სჭირდება. პირველ შემთხვევაში (ქართული სკოლების რეფორმირება) სიძნელებები უფრო პოლიტიკური და ფსიქოლოგიურია, მეორეში არსებობს იგივე სიძნელებები, და მას ზედ დიდი ფინანსური და ორგანიზაციული დანახარჯების აუცილებლობა და დროის საკმაოდ დიდი პერიოდი ემატება. მაგრამ პირველ ნაბიჯად, ამ მიმართულებით მოძრაობის, ანდა ამდაგვარი რეფორმების გარდუვალობაზე მსჯელობის აუცილებლობა უნდა ვაღიაროთ. არსებულ მდგომარეობასთან შეგუება ისევ და ისევ ნიშნავს ნიადაგი მომავალ კონფლიქტებს მოვუმზადოთ.

ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში

არნოლდ სტეპანიანი
ზაურ ხალილოვი

ეს ნარკვევი მოიცავს *სამოქალაქო მოძრაობა – მრავალეროვნულ საქართველოში* ჩვენი მუშაობის სამ წელზე მეტი პერიოდის გამოცდილებას. ის ეფუძნება სხვადასხვა დროს ჩატარებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებულ დისკუსიებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შესწავლას, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების დეკლარაციებსა და მოწოდებებს.

1. შესავალი

ახლო წარსულის მეტეკვიდრეობა

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ რადიკალურად განწყობილი ნაციონალისტური ძალები. აღებულ იქნა კურსი ეთნოკრატიზმის პოლიტიკის გატარებაზე. მათი მმართველობის მცირე პერიოდში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეთნიკური ნაციონალიზმის რიტორიკამ, რომელიც ახასიათებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდს 1989-91 წლებში, მიგვიყვანა მნიშვნელოვან დამაბულობამდე.

ამ პოლიტიკის შედეგად საზოგადოება აღმოჩნდა რეალური გახლეჩის საშიშროების წინაშე. ყველაფერი ეს აისახა ქვეყნის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თითქმის ყველა რეგიონზე. ნაციონალისტურმა და კორუმპირებულმა ჯგუფებმა, როგორც ეთნიკური უმრავლესობით, ასევე უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რიგ რეგიონებში შეძლეს მოსახლეობაში ნაციონალისტური გრძნობების გაღვივება. ამას შედეგად მოჰყვა, ერთი მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა, მეორე მხრივ – საზოგადოების დაყოფა რამდენიმე ნაწილად. ორი ეთნოტერიტორიული კონფლიქტი დამთავრდა ორი თვითაღიარებული რესპუბლიკის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – შექმნით, რომელთაც უკავიათ საქართველოს ტერიტორიის 15%. ამ ტერიტორიებიდან მოხდა ეთნი-

კურად ქართული მოსახლეობის განდევნა. ამავე დროს ხდებოდა ეთნიკური უმცირესობების განდევნა მათი კომპაქტური განსახლების რაიონებიდანაც (ქვემო ქართლის რეგიონის სოფლებიდან, რომლებიც დასახლებულია ეთნიკური აზერბაიჯანელებით, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონების სოფლებიდან, რომელიც დასახლებული იყო ეთნიკური ოსებით) და ამ სოფლებში ეთნიკური ქართველი მიგრანტების დასახლება საქართველოს დასავლეთი რაიონებიდან.

მეორე შემთხვევაში ქვეყნის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულმა ზოგიერთმა რეგიონმა (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი) კურსი აიღო ადგილობრივი თემების ავტონომიურ განვითარებაზე, თანაც, ხშირ შემთხვევაში, ეს პროცესები მიმდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლების აბსოლუტური გულგრილობისა და უმოქმედობის ფონზე. ამავე პერიოდში, საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ დისპერსიულად ან კომპაქტურად, მაგრამ არ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, მათ საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნების მიზნით, ასევე უფლებებისა და ინტერესების ერთობლივი დაცვისათვის, დაიწყეს ნაციონალურ თემ-ორგანიზაციებად გაერთიანება, რომლებიც უფრო წააგავდა “ორგანიზაცია ციხე-სიმაგრეს“, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციას. ამით ეთნიკური უმცირესობები უნებლიედ ახდენდნენ თვითი-ზოლაციას მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან და იქმნიდნენ დაცულობისა და ფსიქოლოგიური კომფორტის ილუზიას.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და ეთნიკური ურთიერთობები

თანამედროვე საქართველოსთვის ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პრობლემები გამწვავებულია იმ გარემოებითაც, რომ ეს ურთიერთობები მიმდინარეობს ნაციონალური სახელმწიფოს შენების კონტექსტში.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისას საქართველო აღმოჩნდა უჩვეულო სიტუაციაში. სუვერენიტეტის გამოცხადება არა მარტო დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლას, არამედ იყო ამ პროცესის შედეგი. საქართველომ სუვერენიტეტი გამოაცხადა პოლიტიკურად და განამტკიცა იურიდიულად. დროის მოკლე მონაკვეთში ახალ სახელმწიფოს უკვე ჰქონდა ყველა აუცილებელი ატრიბუტიკა და ნიშანი – ტერიტორია, საზღვარი, პარლამენტი, მთავრობა, კანონები, არმია, სასამართლო ხელისუფლება, გერბი, ჰიმნი და ა. შ. სირთულეების მიუხედავად, საქართველო შედგა როგორც სახელმწიფო, თუმცა მისი სახელმწიფოდ ფორმირების გზა განსხვავდებოდა სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორიულად კლასიკური თანმიმდევრობისა-

გან: როცა საზოგადოება მწიფდება, პოლიტიკურად ფორმირდება და ქმნის საკუთარ სახელმწიფოს. საქართველოში ყველაფერი პირიქით ხდებოდა. თავიდან იყო შექმნილი სახელმწიფო, ხოლო შემდეგ დაიწყო თანამედროვე ქართული საზოგადოების ფორმირების პროცესი.

ახალი სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს გამაერთიანებელ იდეას, რომელიც საზოგადოების კონსოლიდირებას მოახდენს და იქნება მისი სტაბილიზაციის საფუძველი. ცხადია, რომ ისეთ პოლიეთნიკურ სახელმწიფოში, როგორც საქართველოა, მსგავსი იდეა მისაღები უნდა იყოს მისი ყველა მოქალაქისათვის მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა.

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნა განაპირობებს რიგ რთულ პროცესებს და პრობლემებს საქართველოს ეთნოსთა თვითგამორკვევისა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სფეროში; ეს პრობლემებია:

1. საზოგადოებაში არსებული ალტერნატიული თეორიული მიდგომები და მისწრაფები პოლიტიკურად ან ეთნიკურად განსაზღვრული ნაციის შექმნისაკენ
2. ქართული ეთნოსის შიგნით ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა (თვით სეპარატიზტულ მოძრაობებამდე)
3. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის, როგორც ეროვნული უმცირესობის, იდენტიფიკაციასთან და ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის, როგორც უმცირესობის, ოღონდაც სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფარგლებში, რეიდენტიფიკაციასთან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის ეთნოპოლიტიკური შედეგები საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოსათვის. ახალი სახელმწიფოს შექმნას დღემდე სათანადო ძალით არ უმოქმედია ნაციონალურ ინტეგრაციაზე (კონსოლიდაციაზე)

2. ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები

დღესდღეობით საქართველოში არის რამდენიმე რეგიონი, ქალაქი და მხარე, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკურად არაქართული მოსახლეობით, მათ შორის: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, პანკისის ხეობა და თბილისი (პირველი ორი მოცემულ მომენტში ფაქტიურად არ იმყოფებიან საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ). ამ რეგიონების მოსახლეობის ერთმანეთთან,

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობასთან, ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის დონე მინიმალურია. კავკასიაში არსებული კონფლიქტების (სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი მთიან ყარაბაღში, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტები, ასევე სხვა ნეგატიური მოვლენები: თურქი-მეხსენების დეპორტაცია საქართველოდან 40-იან წლებში, ოსებსა და ქისტებს /ეთნიკურ ჩეჩნებს/ შორის დაძაბული ურთიერთობები პანკისის ხეობაში, დუხობორების /ეთნიკურად რუსების/ ნაწილის მიგრაცია სამცხე-ჯავახეთიდან რუსეთში და ეთნიკურ ბერძნებსა და იძულებით მიგრანტ ეთნიკურ ქართველებს შორის არსებული შუღლი წალკის რაიონში) სამინელი შედეგები, ზემოთ მითითებულ რეგიონებში არსებული ენობრივი ბარიერები, საინფორმაციო ვაკუუმი, აგრეთვე ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში მიმდინარე მოვლენების შესახებ თანამედროვე ინფორმაციის უქონლობა, მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ საშუალებებზე მიუწვდომლობა, მუდმივი სატრანსპორტო კომუნიკაციების სიმწირე ამ რეგიონებს შორის, გარდა თბილისისა, – ყველაფერი ეს არასახარბიელო ფონს ქმნის ეთნოსთა შორის სტაბილური ურთიერთობების განვითარებისათვის არა მარტო ზემოთ მითითებულ რეგიონებში, არამედ – საერთოდ ქვეყანაში.

ეთნიკური ერთობები და მათი ინტეგრირებულობის ხარისხი

საინტერესო სიტუაცია ჩამოყალიბდა თავად ეთნიკური ჯგუფების შიგნითაც. ასე მაგალითად, თითოეული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული მითითებულ რეგიონებში, თავის მხრივ, შინაგანად არაერთგვაროვანია. ასე, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები განათლებას იღებენ აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო შიდა ქართლის აზერბაიჯანელები – ქართულად. თბილისში მცხოვრები სომხები უფრო მეტად არიან ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები (რომელთა უმრავლესობამაც არ იცის ქართული ენა), აფხაზეთში მცხოვრები სომხების უმრავლესობას კი, 10 წელიწადზე მეტი ხანია, არ გააჩნია ურთიერთობის არავითარი დადებითი გამოცდილება დანარჩენ საქართველთთან. იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის რუსულ თემზეც. ბერძნული დიასპორა ასევე იყოფა ბერძნულენოვან და თურქულენოვან ერთეულებად. ებრაული თემი წარმოდგენილია ქართულენოვანი ქართველი ებრაელებით, მთაში მცხოვრები ებრაელებით, რომლებიც საუბრობენ ფარსის ერთ-ერთ დიალექტზე და ევროპელი ებრაელებით, რომელთა უმრავლესობაც საუბრობს რუსულად. სერიოზული წინააღმდეგობები აქვთ ქურთებსა და იეზიდებს: ერთი ნაწილი თავს ეროვნებით ქურთად განსაზ-

ღერავს, ხოლო სარწმუნოებით – იეზიდად, სხვები თავს ეროვნებითაც იეზიდებად მიიჩნევენ; ორივე ჯგუფი კურმანჯის დიალექტზე ლაპარაკობს.

განათლების სისტემის როლი

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ნახეთ სტეპანიანისა და მიროზოევის სტატია ამავე გამოცემაში.

ლინგვისტური ბარიერი

ეთნოსთაშორისი თანამშრომლობისათვის სერიოზული პრობლემად იყო და არის ე.წ. ლინგვისტური ბარიერი. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ეთნიკურად ქართულ და არაქართულ მოსახლეობას შორის ურთიერთობებზე. ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი უმცირესობების არასაკმარისი მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის ქართული ენის სრული არცოდნა ან მისი სუსტი ცოდნა, რაც მემკვიდრეობად გვერგო საბჭოთა დროიდან. თუ ახალი თაობებისათვის ქართული ენის შესწავლის პრობლემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონეზე ასე თუ ისე წყდება, ზრდასრულებთან დაკავშირებით მდგომარეობა გაცილებით რთულია: ქვეყნის ოფიციალური ენის უცოდინრობა ართულებს ურთიერთობებს სახელმწიფო სტრუქტურებთან, ზღუდავს შესაძლებლობებს სამუშაო ბაზარზე, არ იძლევა შესაძლებლობას პიროვნების სრული თვითრეალიზაციისათვის და, საბოლოოდ, ხელს უშლის ურთიერთგაგების გაღრმავებას ჩვენს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მოქალაქეებს შორის. როგორც სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, უმცირესობები მზად არიან შეისწავლონ ქართული ენა სათანადო პირობების შემთხვევაში: თუ ეყოლებათ მასწავლებლები, ექნებათ სახელმძღვანელოები ან თვითმასწავლებლები და ა. შ. ცხადია, რომ საჭიროა აქტიურად განვავითაროთ ქართული ენის შესასწავლი კურსების ქსელი, განსაკუთრებით – უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ენასოთ, როგორ გადაწყდება ეს პრობლემა სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიხედვით, რომლის საჯარო განხილვაც ჯერ არ მომხდარა.

ემიგრაცია

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შვილები განათლებას იღებენ სკოლებში მშობლიურ ენაზე, რომლის დამთავრების შემდეგ ყველაზე უნარიანი ახალგაზრდები ისტორიულ (ეთნიკურ) სამშობლოში მიდიან, ან იკარგებიან მასაში; ეს ნიშ-

ნავს, რომ არსებობს ენობრივი ფილტრი, რომლის მეშვეობითაც ხდება პრესტიჟული სოციალური ნიშების შემოსაზღვრა ეთნიკური კონტრაგენტებისაგან.

სამოქალაქო განათლება

საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უმცირესობათა აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების მიღება. ბევრი სირთულე, რომელიც აფერხებს ინტეგრაციულ პროცესებს და არ აძლევს უმცირესობებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას, წარმოდგება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების დაბალი დონიდან. ბევრი მათგანი თავს არ იმძიმებს სახელმწიფოს მიმართ მოვალეობებით, რაც, ძირითადად, საკუთარი, იურიდიულად გაფორმებული უფლებების არცოდნით ან მათი იმედის არქონის გამო ხდება. ყველაფერ ამას, ბუნებრივია, მივყავართ უმცირესობათა თვითდისკრიმინაციამდე, ნაწილობრივ, იზოლაციამდე და სუსტ მონაწილეობამდე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარადოქსალურია ისიც, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ყველაზე აქტიური წარმომადგენლებიც კი არ ფლობენ ინფორმაციას საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში არსებული, უმცირესობათა უფლებების დაცვის კონკრეტული მექანიზმების შესახებ; უფრო მეტიც: საერთოდ არ იციან ასეთი ბაზის არსებობა მითითებულ დოკუმენტებში.

სახელმწიფოს მმართველობის და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხი

დღეს ქვეყანაში ფუნქციონირებს ეთნიკურ უმცირესობათა 120 -ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაგან ზოგი, სამწუხაროდ, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის დანამატია ან საერთოდ არ ფუნქციონირებს. ხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობის ხარისხი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკიდურესად მცირეა, თუმცა, ბოლო ორი-სამი წელია, იგრძნობა გარკვეული გამოცოცხლება. ძნელია ილაპარაკო ეთნიკური უმცირესობების აქტიურ მონაწილეობაზე სახელმწიფოს მართვის პროცესში: ისინი მიზერული რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში. ასე მაგალითად, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკურ უმცირე-

სობათა რაოდენობა არასდროს აღემატებოდა დეპუტატთა საერთო რაოდენობის 6%-ს. ეთნიკურად შერეული მოსახლეობის რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც არაადეკვატურ სურათს აჩვენებს. ამ სფეროში არასახარბიელო მდგომარეობაზე არაერთხელ მიუთითებდნენ არა მარტო ადგილობრივი დამკვირვებლები, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი სტრუქტურებიც, ისეთები როგორცაა: ევროსაბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, სახეზეა ეთნიკური უმცირესობების ქვეყნის სამთავრობო, საპარლამენტო და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში წარუმატებელი ინტეგრაციის მაგალითი, რაც ასევე წარმოადგენს რისკის სერიოზულ ფაქტორს და რომელიც შემდგომში შეიძლება არასტაბილურობის მიზეზადაც იქცეს.

მოცემულ კონტექსტში აუცილებელი იყო აღგვინიშნა არაერთგვაროვანი ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანთა სახელმწიფო მართვის უმაღლეს ემელონებში აქტიური მონაწილეობის პრობლემა. ნაციონალისტური რეჟიმის შეცვლიდან 10 წლის განმავლობაში ნელინელ ისევ იგრებენ ძალუბს ადამიანები ნაციონალისტური ლოზუნგებით. სახეზეა მცდელობა ქვეყნის ეთნოსთა ურთიერთგაგებისაკენ მიმართული კურსი შეცვალონ სისხლის, ეთნიკური წარმომავლობისა და ეთნოსთა გამიჯნული ცხოვრებისაკენ ორიენტირებული კურსით, თანაც ასეთ ტალღას აძლიერებენ და მხარს უჭირენ ცნობილი პოლიტიკოსები, რეგიონალური და სხვა ლიდერები. მესამე ათასწლეულის დასაწყისში ჩვენი საზოგადოება კვლავ რჩება ისეთ ერთობად, სადაც ადამიანის გენეოლოგიურ ხეში ეძებენ უცხო ნაწილს, წარმოაჩენენ მას, როგორც ნაკლს და ივწყებიენ, რამდენი კარგი რამ გააკეთეს საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი „ნაკლის“ მქონე ადამიანებმა. ეთნიკური წარმომავლობის პოლიტიზაცია სახელმწიფოს მართვის პროცესში მონაწილეობის დაშვება-არდაშვებას განსაზღვრავს.. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას დედის ეთნიკურად არაქართული წარმომავლობა აქტიურად იყო გამოყენებული მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ. ამავე დროს, დემოკრატიასა და ერთობაზე მოლაპარაკე და პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკოსის იმიჯის მქონე ზოგიერთი მოღვაწის მხრიდან ხდება ეთნოსთაშორისი ურთიერთობების თემით სპეკულირება, რაც იწვევს ზოგადი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას და ეთნოსთა შორის შუღლის გაძლიერებას. ამის მაგალითია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დროს ქვემო ქართლის სხვადასხვა რეგიონიდან თბილისში ჩამოსული ეთნიკური აზერბაიჯანელების მისამართით ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან გაკეთებული შუღლის ჩამომგდები მოწოდებები; ამით ისინი საკუთარი პოპულარობის ამაღლებას ისახავდნენ მიზნად ქართული მო-

სახლეობის ნაციონალისტურად განწყობილ ნაწილში. მსგავსი დამოკიდებულება წყალს ასხამს იმათ წისქვილზე, ვინც პროპაგანდას უწევს ეთნიკურ შეუწყნარებლობას, მოსახლეობის გაყოფას „ძირითად“ და „არაძირითად“ ნაწილებად. განსაკუთრებით ცუდია, როცა მსგავსი პოზიცია მხარდაჭერას პოულობს ადგილობრივი მასმედიის მხრიდან, რომელთა ინფორმაციაც ზოგჯერ ეროვნებათა დაპირისპირებისაკენ ღია მოწოდებებსაც კი შეიცავს.

მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ურთიერთობები

ამ პრობლემის განსაკუთრებულ სიმწვავეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების ბევრი წარმომადგენელი ხშირად უჩივის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათდამი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. იმის გამო, რომ ეთნიკური უმცირესობების ძალზე ცოტა წარმომადგენელი მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში (როგორც ადგილობრივ, ისე ზოგადნაციონალურ დონეზე), ისინი თავს სახელმწიფოსაგან გაუცხოებულად გრძნობენ. განსაკუთრებით, მტკივნეულად დგას ეს პრობლემა სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში, რადგან ამ სტრუქტურების წარმომადგენლებთან მოქალაქეებს ყველაზე ხშირად უწევთ ურთიერთობა.

ქართული არმია

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქართულ არმიაში ისევე მსახურობენ, როგორც ქვეყნის დანარჩენი მოქალაქეები, თუმცა მოცემულ მიმართებაში მაინც არის სპეციფიკური მომენტები, რომლებიც თავს იჩენენ ეთნიკური წარმომავლობისა და რეგიონალური კუთვნილების დამთხვევის პირობებში. მხედველობაში გვაქვს ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელ და ქართველ ჯარისკაცებს შორის არმიაში არსებული ხშირი გაუგებრობები, ასევე, ქართულ ჯარში სამსახურისაგან თავის არიდების დიდი პროცენტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მკვიდრი ეთნიკური სომხების მხრიდან.

მიწის პრობლემა

საქართველოს ეთნიკურ ერთობებში სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს 21 კმ-იანი სასაზღვრო ზონის არსებობასთან დაკავშირებული პრობლემა; ამ ზონაში საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მიწა არ ექ-

ვემდებარება პრივატიზაციას. რადგან საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა განსახლების რეგიონები თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ძირითადად საზღვრის პირას არიან განლაგებულნი (ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ამიტომ ხსენებული რეგიონების მოსახლეობა ასეთი ზონის შექმნას ზოგჯერ განიხილავს როგორც მიწის მათ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის მიზნით მოგონილ საბაბს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მონაწილეობის მიღება სახელმწიფოს ცხოვრებაში, აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს. ეს მოქალაქის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური უფლებაა. ინფორმაციის უკმარისობა იწვევს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებას. ამან კი სახელმწიფოს სოციალური პროგრამების არაეფექტურობით, ეკონომიკური ჩამორჩენილობით და მსგავსი მიზეზებით გამოწვეულ პრობლემებს შეიძლება ეთნიკური შეფერილობა მიანიჭოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე გამოიცემა 21 გაზეთი და 4 ჟურნალი, ეს გამოცემები ხშირად ხელმისაწვდომი არაა ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ნაწილისთვის. გარდა ამისა, ბევრი მათგანი არაკონსტრუქციულ ხასიათს ატარებს, რადგან, სინამდვილეში, სულაც არ არიან დამოუკიდებელნი, არამედ ასრულებენ პარტიების, კლანების, აგრეთვე სხვა გარეშე და შიდა ძალების შეკვეთებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ სიტუაციას. ადგილობრივ ლოკალურ ტელევიზიებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ საინფორმაციო პროგრამების გადმოცემა იმ ენაზე, რომელიც გასაგებია უმცირესობებსთვის. გარკვეულწილად, ამას ხელს უშლის საკანონმდებლო ბაზაც, რადგან არსებული კანონით ადგილობრივი ტელევიზიის გადაცემების უმეტესობა ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს.

ისტორიული სამშობლოს ფაქტორი

დაბალი სამოქალაქო კულტურისა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში უმცირესობათა ისტორიული სამშობლოს ფაქტორს შეუძლია ნეგატიური როლი ითამაშოს. მით უფრო, თუ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები ესაზღვრება მას (ჯავახეთი ესაზღვრება სომხეთს, ქვემო ქართლი – აზერბაიჯანს.). ასეთ პირობებში ხდებოდა და ხდება მთელი რეგიონების ინკორპორირება მეზობელ სახემწიფოთა კულტურულ და ლინგვისტურ სივრცეში.

ინფრასტრუქტურა

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის არსებული გზების ცუდი მდგომარეობა ზრდის მითითებული რეგიონების იზოლირებულობის ხარისხს და, შესაბამისად, ამცირებს მოსახლეობის უმცირესობასა და უმრავლესობას შორის კონტაქტების სიხშირეს.

3. უმცირესობებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო სახელმწიფოსთან ურთიერთობის, ფართო რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტში

ფედერალური მოწყობა და ავტონომიის საკითხი

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განიხილება ქვეყნის ფედერალური მოწყობის პროექტები, თუმცა მწყობრი კონცეფცია ჯერაც არ არსებობს. ამ დონეზე ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის ტრადიციული პრობლემატიკა გადაიზრდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურში, როდესაც დგება საკითხი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში რეგიონალური თვითმმართველობის შესახებ. ჩვეულებრივ, ასეთ მიდგომასთან აკავშირებენ რეგიონალური ენების სტატუსის პრობლემასაც.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფედერალიზაციის მოწინააღმდეგეებს ემინიათ ეთნოკრატიული და სეპარატისტული ტენდენციების ზრდისა უმცირესობათა კომპაქტური განსახლების ადგილებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ფედერალიზაციის მომხრეები ამოდიან არა ქვეყნის ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების ფაქტიდან, არამედ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან.

ქვეყნის ფედერალიზაციის მომხრეებს ბევრი სერიოზული არგუმენტი გააჩნიათ, მაგრამ აუცილებელია მოიძებნოს სწორი ბალანსი ხელისუფლების რეგიონალურ დონეზე უფლებების გადაცემასა და ზოგადსახელმწიფოებრივი კონტროლის შენარჩუნებას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი მაფიოზური კლანების სათარეშოდ ხელსაყრელი პირობები იქმნება, ზოგჯერ – ეთნოკრატიული შეფერილობით.

უფრო რთულადაა საქმე უმცირესობათა პრობლემების პოლიტიკურ ასპექტთან მიმართებაში. აქ საქმე გვაქვს სამოქალაქო მშვიდობის დამყარებასთან ავტონომიებში. ქვეყნის სავარაუდო ფედერალიზაციის ფარგლებში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებს მიენიჭება განსაკუთრებული პოლი-

ტიკური სტატუსი. საუბარია ასევე ორპალატიან პარლამენტზე, რომლის ერთი პალატი – სენატი – მეთაური იქნება აფხაზეთის წარმომადგენელი. თუმცა, ეს საკითხი არაა დამუშავებული არც თეორიულად და არც საკანონმდებლო დონეზე და ამოიწურება პოლიტიკური განცხადებებით. უმნიშვნელოვანეს პირობად აქ გამოდის სახელმწიფოს პატივისცემა ერთა თვითგამორკვევის უფლებისადმი, რომელსაც გააჩნია რეალიზაციის განსხვავებული ფორმები. მისი განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო მოწყობას და სუვერენიტეტს და უნდა ეფუძნებოდეს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

გერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ეუთო-ს მონაწილეობით ნორციელდება კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის მცდელობები. საქართველოს პოზიცია ასეთია: ორმხრივი მოლაპარაკებების გზით შეიქმნას პირობები აფხაზთა და ოსთა უფლებების მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის არსებული სახელმწიფოებრიობის ჩარჩოებში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის პრინციპის დაცვით. ასეთი მიდგომა შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის აღიარებულ ნორმებთან.

ევროპის ბევრმა სახელმწიფომ გაიარა ეს გზა, რომელიც სულაც არ ყოფილა მოფენილი ვარდებით. ცენტრის ურთიერთობები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და ნაციონალურ-ტერიტორიულ ერთეულებთან რეგულირდება როგორც სპეციალური საკონსტიტუციო დებულებებით, ისე ცალკეული კანონებით, რომლებმაც გაიარეს აპრობაცია დროში.

დღეისთვის საქართველოში ავტონომიის საკითხი თამამად შეიძლება წამოწეულ იქნას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ორი რეგიონის (ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) მოსახლეობის მხრიდან (მე განზრახ არ ვახსენებ ორ კონფლიქტურ რეგიონს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და რეგიონს, რომელსაც უკვე აქვს ავტონომია – აჭარას). ბოლო დროს განსაკუთრებული ტერიტორიული სტატუსის საკითხი ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებული რეგიონებისათვის არ წამოჭრილა, თუმცა აზერბაიჯანული თემის შიგნით განსაზღვრული პოტენციალი ნაციონალისტური განწყობებისათვის არსებობს. სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში ავტონომიის შესახებ საუბრები უფრო ხშირია. მოცემულ საკითხში გარკვეულ როლს თამაშობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული რეგიონისათვის, კერძოდ, ისეთები როგორცაა: რუსული სამხედრო ბაზის არსებობა რეგიონში, დანარჩენ საქართველოსთან სტაბილური კომუნიკაციის არქონა, თურქეთთან საერთო საზღვარი და სხვ.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ადამიანის უფლებების, კერძოდ – უმცირესობების, დაცვის სფეროში

ცხადია, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყანა იძულებულია ტოლერანტული იყოს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სახელმწიფოს მყარი შინაგანი სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, მისი განვითარების საწინდარია.

უმცირესობების უფლებები საკმაოდ ზუსტად არის ასახული ქვეყნის კონსტიტუციაში, რომლის მეორე თავი შეიცავს როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალს.

კერძოდ, მე-14 მუხლი აღიარებს კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას მათი ეროვნული, ენობრივი, რელიგიური, ასევე რასობრივი მიკუთვნებულობის მიუხედავად. მოცემული საკითხის განხილვისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძირითადი კანონის 38-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს ყველა მოქალაქე ფლობს თანასწორ უფლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ხოლო უმცირესობებს გარანტირებული აქვთ მათი ენის, კულტურისა და ტრადიციის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, კონსტიტუციის ამავე მუხლში კეთდება შენიშვნა, რომ უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. სხვა სიტყვებით, ძირითადი კანონის მიხედვით, უმცირესობები უზრუნველყოფილია კულტურული ავტონომიის ფართო უფლებებით, თუმცა მასში საუბარი არ არის და არც შეიძლება იყოს სეპარატისტულ მისწრაფებებზე.

ბევრი ქართული კანონი თავის თავში მოიცავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის ამკრძალავ დებულებას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი აცხადებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია მოქმედება, რომელიც ადამიანთა თანასწორობას არღვევს და იწვევს მათი უფლებებისა და თავისუფლებების სერიოზულ შეზღუდვას. უმცირესობის უფლების დაცვის კუთხით, საქართველოს ძალზე სერიოზული საერთაშორისო მოვალეობები გააჩნია, კერძოდ: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის, აგრეთვე ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის ფარგლებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძა-

ლა სახელმწიფოს შიდა ნორმატიულ აქტებთან შედარებით. გარდა ამისა, ზემოთ ნახსენებ შეთანხმებებს საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში აქვს პირდაპირი მსვლელობა. სხვა სიტყვებით, იშვიათი გამოწვევის გარდა, საკუთარი თავის სარეაქციოდ ისინი არ მოითხოვენ მაიმუხობის ტიპის შეთანხმებებს, სრულიად შესაძლებელი უნდა იყოს ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე უშუალო აპელირება ნაციონალურ სასამართლოებში. ქვეყანას შეეძლო ეამაყა მიღებული საკანონმდებლო აქტების დემოკრატიულობით, რომ არა მათი ცუდი შესრულება. საკანონმდებლო აქტების თანდათანობითა მოწვევებამ საზოგადოებაში არსებული რეალური სიტუაციიდან შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე. სახელმწიფო და საზოგადოება, „გაყინულ მდგომარეობაში“ 75 წლიანი ყოფნის შემდეგ, აშკარად ვერ ართმევს თავს კაცობრიობის მრავალრიცხოვანი დემოკრატიული მიღწევების ერთდროულ ათვისებას. თუმცა, პოტენციალის არსებობა, სახელმწიფოს ყოველმხრივი განვითარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის უშუალო მონაწილეობის გააქტიურება იძლევა საზოგადოების სწრაფი დემოკრატიზაციის იმედს. ვფიქრობთ, რომ ჩვენს პირობებში კანონის მიხედვით დადგენილი თანასწორობიდან რეალურ თანასწორობამდე საკმაოდ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

პოლიტიკური პარტიები

დღესდღეობით ნაციონალური უმცირესობებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გააფორმონ საკუთარი ურთიერთობები სახელმწიფოსთან. იმის გამო, რომ საქართველოს კანონმდებლობით ეთნიკური ნიშნით შექმნილი და მომუშავე პოლიტიკური პარტიები აკრძალულია, ისევე როგორც პარტიის შექმნა რეგიონალური ნიშნით, ნაციონალურ უმცირესობებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა ორგანიზებულად გავლენა მოახდინონ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ატმოსფეროზე.

საქართველოს ეთნოპოლიტიკის ფორმირება

საქართველოს ეთნოპოლიტიკის ფორმირების პროცესში ძირითადი პრინციპი, რომელსაც შეუძლია უმცირესობებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების ნორმალიზება, არის ქართული საზოგადოების პოლიეთნიკურობისა და მულტიკულტურულობის ფაქტის, როგორც დადებითი ღირებულების მქონე მოვლენის, აღიარება. საზოგადოების კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნება დადებით ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული, ფაქტორად, რომელიც განაპირობებს მის სულიერ სიმდიდრეს, ხოლო ნაცი-

ონალური უმცირესობები უნდა იქნენ განხილული როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, საზოგადოების მულტიკულტურალიზმის პირობებში ნორმალური, მშვიდობიანი, წყნარი ცხოვრება მოითხოვს ისეთ დამატებით პირობებს, როგორცაა:

- სამოქალაქო ერთობის განვითარება. ქვეყნის სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სამართლებრივი კუთხით ინტეგრაციაზე მძარბული პოლიტიკის ფორმირება;
- კულტურათაშორისი დიალოგისა და შემწყნარებლობის კლიმატის შექმნა.

ამ პრინციპების შემწეობით თითოეული ეთნიკური ჯგუფი შეძლებს შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი იდენტურობა, კულტურა, ენა, ტრადიცია, ამავედროულად თავისი წვლილი შეიტანოს ქართული საზოგადოების ინტეგრაციისა და კონსოლიდაციის საქმეში. ამ პრინციპების დაუცველობამ შესაძლებელია შემოიტანოს ქართული საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპისათვის არასასურველი ფედერალიზაციის ელემენტები.

იმაზე, თუ როგორ პრიორიტეტებს აირჩევს საკუთარი თავისათვის ესა თუ ის ეთნიკური უმცირესობა, რამდენად ორგანულად იქნება ჩართული საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციულ პროცესებში, იქნება დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი სოციალური სტაბილურობა.

სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობების ტიპები

ქართული საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესში თითოეულმა ეროვნულმა უმცირესობამ სრულიად შესაძლებელია გააცნობიეროს საკუთარი „ბედის ერთობა“ ქართულ ეთნოსთან და არ იგრძნოს თავისი სხვაგვარობა. სახელმწიფოსა და ინდივიდუუმს შორის მკაფიო სამართლებრივი ურთიერთობები, ასევე მოქალაქეთა უდავო თანასწორობა არის ინტეგრაციის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუმცა, საფუძველი ასეთი განვითარებისათვის შეიძლება იყოს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი და დემოკრატიის გაღრმავება.

მომავალი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულებაზე. შეიძლება გამოვყოთ ასეთი ურთიერთობების შესაძლო ოთხი ტიპი:

- სახელმწიფო ფლობს რა იძულების საშუალებებს, წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს ზოგიერთი მოქალაქისთვის, ან ეთნიკური უმცირესობებისათვის.
- მოქალაქე გამოდის როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შემოქმედი, მისი მალევეტიმირებელი ფაქტორი.
- მოქალაქე დამოკიდებულია სახელმწიფოზე, როგორც ორგანოზე, რომელიც უზრუნველწოდებს მის მატერიალურ კეთილდღეობას და უსაფრთხოებას.
- მოქალაქეები არიან კულტურული ერთობის წევრები, რომელიც განისაზღვრება სატიტულო ენით, ისტორიით, ტრადიციებით და ცხოვრებისეულ წესით. ეს ერთობა არის დაცული და კულტივირებული სახელმწიფოს მიერ, მისი შესაბამისი ინსტიტუტებისა და პროგრამების მეშვეობით.

4. ვინ ვისთან ინტეგრირდება: პასუხი უმცირესობათა პოზიციიდან

სამოქალაქო ერთობისაკენ

რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, კითხვა იმის შესახებ, თუ: „როგორ და რა პირობებში უნდა მოხდეს უმცირესობის ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში?“ არასოდეს გამხდარა სერიოზული საჯარო განხილვის საგანი. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში სრულიად მშვიდობიანად თანაცხოვრობს ერთმანეთთან. ამიტომაც საზოგადოებრივი ყურადღება თითქმის მთლიანად მიპყრობილია სხვა საჭირობოროტო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე. თუმცა, შეიძლება ახსნა უფრო ღრმადაც ვეძებოთ. 90-ანი წლების დასაწყისის ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ქვეყანას თავსდამტყდარი უბედურებების შემდეგ ეთნიკურ ქართველთა უმრავლესობას გაუჩნდა ბუნებრივი ინსტინქტი, საერთოდ არ შეეხონ ეთნიკურ საკითხს: ის მიჩნეულია ერთობ სახიფათო და ფაქიზ საკითხად, რომლის წამოწევაც არ არის მიზანშეწონილი ქვეყანაში, რომელიც იტანჯება მრავალი სხვა პრობლემის სიმძიმის ქვეშ. მაგრამ ასეთი მიდგომა არ არის პროდუქტიული. ის, რომ გარკვეული უმცირესობები, სინამდვილეში, გამორთულია ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან, საკ-

მაოდ ცხადია და ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად დაგვაყენებს პრობლემების წინაშე.

საბჭოთა სისტემის კრიზისმა და 80-იანი წლების ბოლოსთვის დაწყებულიმა რღვევამ საქართველო, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, დააყენა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის წინაშე. ამ სიტუაციამ, უეჭველია, ქართული საზოგადოების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის პროცესის სტიმულირება მოახდინა. ეს გამოიხატა ეროვნული თვითცნობიერების ზრდაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმასვლაში, ასევე ქართული ნაციონალიზმის აღორძინებაში. ამ პირობებში ისეთ საბაზო კითხვებზე, როგორცაა სოციალურ-ფსიქოლოგიური – „ვინ ვართ ჩვენ“ და პოლიტიკური – „რა არის საქართველო“, გაცემული პასუხები იქნება მაჩვენებელი ეროვნული კონსოლიდაციის კონცეფციის არჩევანისა – ეთნიკური თუ სამოქალაქო ერი (სახელმწიფო), რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს როგორც თავად მომავალი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმას, ასევე ეთნოსთმორის ურთიერთობების მთელ სპეციფიკას რესპუბლიკაში. სამოქალაქო ერი (მაგალითად, ამერიკული, ფრანგული) ეფუძნება „ნიადავის კანონს“ და გამოყოფს კულტურას, როგორც ერთობის საფუძველს, საერთო წარმომავლობის ყოველგვარი მოხსენიების გარეშე. მასთან, სახელმწიფომ შეიძლება დაუშვას თავის შემადგენლობაში სხვა ერების არსებობაც კი, შეეცდება შექმნას ეროვნული ერთობის უფრო ფართო გრძნობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას. მაგალითად, ფრანკო-კანადელები და შოტლანდიელები აღიარებულია ნაციებად, თუმცა არსებობს ასევე კანადური და ბრიტანული ნაციის ცნებებიც. ანუ, ნაციის სამოქალაქო კონცეფციის მახასიათებელია საერთო პოლიტიკურ კულტურაში მონაწილეობა. ეთნიკური „გამომრიცხველი“ ერი კი (მაგალითად, გერმანული) დაფუძნებულია „სისხლის კანონზე“ და ნაციონალური ერთობის საფუძველს სწორედ საერთო წარმომავლობაში, საბოლოო ჯამში კი – ბიოლოგიაში ხედავს. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია ისეთ კომპონენტებზე, როგორცაა: გენეოლოგია, პოპულინში, ჩვეულებები და ენა. ერის ეთნიკური კონცეფცია ცდილობს ჩვეულებებითა და დიალექტებით ჩაანაცვლოს იურიდიული კოდები და ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენს სამოქალაქო ერის საფუძველს. სამოქალაქო ერის საერთო კულტურასაც და „სამოქალაქო რელიგიასაც“ (პატრიოტიზმი) გააჩნია თავთავისი ეკვივალენტი ეთნიკურ კონცეფციაში.

საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ეთნიკური ერთობების წარმომადგენლები ქვეყანაში საერთო-სამოქალაქო ინტეგრაციის პირობებსა და პერსპექტივებთან დაკავშირებით ძალზე განსხვავებულ თვალსაზრის-

სებს ემხრობიან. ასე მაგალითად, საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნოსების წარმომადგენლები (ქურთები, იეზიდები, ასირიელები, ოსები) მეტად ემხრობიან ეთნიკური უმცირესობებისათვის ისეთი განსაზღვრული გარანტიების, როგორცაა: ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კანონის მიღება, საქართველოს მიერ უმცირესობების უფლებების დაცვის კონვენციათა უმრავლესობის რატიფიცირება. ამავდროულად საქართველოში რაოდენობრივად მსხვილ ეთნოსთა წარმომადგენელთა ერთი ნაწილი მოცემულ საკითხს სხვანაირად უყურებს: მათ მიაჩნიათ, რომ ზემოთ მითითებული დოკუმენტებისა და კანონებისაგან მომდინარე უფლებები გამოიწვევს მათ გამოყოფას დანარჩენი საზოგადოებისაგან ეთნიკური ნიშნით.

მოცემულ ასპექტში ასევე საინტერესოა პირადობის მოწმობაში გრაფის – „ეროვნება“ შეტანა-არშეტანის შესახებ საკითხი. ეს უკანასკნელი დროდადრო სათამაშო ბანქოდ იქცევა ხოლმე პოლიტიკოსთა ხელში. ტერმინების: „ნაცია – თანამოქალაქეობა“ და „ეთნონაცია – ეთნონაციონალობა“ მნიშვნელობებს შორის არსებული განსხვავების აბსოლიტური გაუგებრობის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი (როგორც ეთნიკური უმრავლესობა, ისე უმცირესობა) პიროვნების ოფიციალური მოწმობიდან გრაფის – „ეროვნება“ – ამოღებას აღიქვამს როგორც სახიფათოს: ეთნიკური უმცირესობა – როგორც ასიმილაციის მცდელობას ეთნიკური უმრავლესობის მხრიდან, ეთნიკური უმრავლესობა კი – როგორც „სახელმწიფოს შექმნილი ეთნოსის“ სტატუსის ხელყოფის მცდელობას. როგორც ეთნიკური უმცირესობა, ისე უმრავლესობაც ამ მცდელობაში ხედავს ეთნიკური იდენტურობის დაკარგვის საფრთხეს.

პირველი ნაბიჯები სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ

სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო 1993 წელსთვის საქართველოში მცხოვრებ ყველა პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება. „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონმა პირველად განსაზღვრა „საქართველოს მოქალაქის“ ცნება. მასში იყო ჩადებული ე.წ. „ნულოვანი პრინციპი“, ანუ, ყველა ის პიროვნება, ვინც მოცემული კანონის მიღების პერიოდში ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და არ აცხადებდა უარს საქართველოს მოქალაქეობაზე ავტომატურად ხდებოდა საქართველოს მოქალაქე.

ქართული სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო ინტეგრაციის ტემპების დაჩქარებისადმი ინტერესის ზრდა გამოიხატა საქართველოს პარლამენტში სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის შექმნით (იგი 1999

წლის მოწვევის პარლამენტში შეცვალა ეროვნულ უმცირესობათა საქმეთა კომიტეტმა). საქართველოში მხოლოდ ამ პერიოდში დაიწყო სერიოზულად საუბარი სამოქალაქო ინტეგრაციის არსზე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლაზე, ასევე ინტეგრაციული პროცესების რამდენიმე შესაძლო მოდელის საჯარო აპრობაციაზე. ამ კომიტეტის მუშაობის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ შეიძლება შეფასდეს მისი საქმიანობის ავ-კარგი. კომიტეტის მუშაობამ ხელი შეუწყო იმას, რომ საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობა სულ უფრო ხშირად ასოცირდება ნაციის სამოქალაქო და არა ეთნიკურ კონცეფციასთან.

ინტეგრაციული პროცესები და ენობრივი პრობლემატიკა

ინტეგრაციული პროცესების ორგანიზება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც ეჯახება სახელმწიფო თავისი განვითარების გარდამავალ ეტაპზე. თუ ზოგიერთი მათგანის წინაშე დგას ერთი ტიპის შინაგანი ინტეგრაციიდან არსობრივად ახალი ტიპის ინტეგრაციაზე გადასვლის ამოცანა, მაშინ სხვა, ახალგაზრდა ან კვლავწარმოქმნილ სახელმწიფოებს უწევთ საშინაო ინტეგრაციის შენება ნულიდან.

საქართველო განეკუთვნება სახელმწიფოთა მეორე ჯგუფს. საბჭოთა კავშირის დროს მისთვის დამახასიათებელი იყო შინაგანი ინტეგრაციის დაბალი დონე. ამან ქვეყანა პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიყვანა ღრმა პოლიტიკურ და სამართლებრივ კრიზისამდე, რომლებმაც ასახვა პოვა ღია და ფარულ ეთნოკონფლიქტებში.

საქმეთა ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ გამონატყულებას წარმოადგენს ლინგვისტური სივრცის მოუწესრიგებლობა. უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რადგან იგი უნდა იქცეს ერთ-ერთ მთავარ მაინტეგრირებელ ფაქტორად. ქართულ ენას არ შეუძენია სათანადო გავრცელება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ენობრივი პრობლემატიკა აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძაფრი არსებულ კონფლიქტებში.

საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სფეროში სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა უნდა იყოს სწორი ენობრივი პოლიტიკა. სამწუხაროდ, მოცემულ სფეროში ბოლო 13 წლის განმავლობაში დაშვებული იყო ბევრი შეცდომა. 1989 წლიდან გამოცხადებული პრიორიტეტი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გამოყენებისა, დანარჩენ ენებთან შედარებით, არ არის გამაგრებული სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქარ-

თული ენის შესწავლით. საბჭოთა კავშირის დროს არსებული ენობრივი პოლიტიკის შედეგად დღეს ეთნიკური უმცირესობები აღმოჩნდნენ ენობრივი ბარიერის წინაშე, რომელიც მათ არ აძლევთ საშუალებას აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესობის პრობლემა არაა, არამედ უმრავლესობისაც, რადგანაც მასაც არ შეუძლია უმცირესობასთან ურთიერთობა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სწორი ენობრივი პოლიტიკის შექმნა, გატარება და მხარდაჭერა, რომლის ნაწილიც შეიძლება იყოს კვალიფიციური ბილინგვისტური პედაგოგების მომზადება, რომლებიც თანაბრად ფლობენ ორ ენას: იმას, რომელსაც ასწავლიან და იმას, რომელზეც ლაპარაკობენ მათი მოსწავლეები.

ნებისმიერ შემთხვევაში, რა იმედებსაც არ უნდა ვუკავშირებდეთ მომავალს, ერთი რამ ცხადია: მთელ მსოფლიოში ეთნიკურობის აფეთქების დროს სამოქალაქო საზოგადოება შეუძლებელია გაექცეს დაბალანსებული ენობრივი პოლიტიკის შემუშავების პრობლემას.

რელიგია

რელიგიური სიტუაციის განსაზღვრისა და რელიგიური ჯგუფების საქმიანობის გააქტიურების ხარისხის განსაზღვრისას კეთდება დასკვნა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის პოლიტიზაციის ხარისხის ზრდაზე როგორც რესპუბლიკის, ისე ადგილობრივ დონეებზე. სახელმწიფომ ამ პირობებში უფრო სრულად უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა კონფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; ამასთან, არ დაუშვას რელიგიური ექსტრემიზმის გავრცელება, რომელსაც მივყავართ საზოგადოების სრულ დეზინტეგრაციამდე.

ქალთა საკითხი

ქალთა უფლებების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში. მათი მდგომარეობა სულ უფრო ხშირად აწუხებს საქართველოს საზოგადოებას. გადაუდებელ ყურადღებას საჭიროებს ზოგიერთი ეთნიკური და რელიგიური ერთობის წარმომადგენელ ქალთა ჩაკეტილობა და ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესებიდან აბსოლუტური გამიჯნულობა. განსაკუთრებით, ეს ითქმის ზებრაიჯანულსა და ასირიულ თემებზე ქვემო ქართლში, ნაწილობრივ – სომხურსა და ღუბოლოების თემებზე ჯავახეთში, ქურთებისა და იეზიდების ერთობებზე თბილისში.

5. რეკომენდაციები

პოლიტიკური და სხვა სახის ზომების კომპლექსური გეგმის შემუშავება

საქართველოში მაცხოვრებელი უმცირესობებისათვის მაქსიმალურად მისაღები პოლიტიკური გარემოს შექმნის მიზნით პირველ ეტაპზე აუცილებელია პოლიტიკური და სხვა სახის ზომების კომპლექსური გეგმის შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება:

- მოქალაქეობის ინსტიტუტის ყოველმხრივ განმტკიცებაზე;
- მოსახლეობის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ჭეშმარი-ტი თანასწორობის მიღწევაზე, არა მარტო ერთნაირი სასტარტო პოზიციების შექმნის, არამედ შესაბამისი საბოლოო შედეგის მი-ღების კუთხითაც;
- ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების პრიორიტე-ტულ განვითარებაზე, უმცირესობათა ენობრივი, კულტურული, ეროვ-ნული და სხვა სახის თვითმყოფადობის სრული შენარჩუნებით.

ასეთი მიმართულებით მოვლენათა განვითარება, ჩვენი აზრით, თანამედრო-ვე სამყაროში გაბატონებული ტენდენციებით არის ნაკარნახევი, და ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სტაბილურობა

აუცილებელია ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სტაბილიზაციის ისეთი ძირითადი ფაქტორების განმტკიცება, როგორებიცაა:

- პოლიტიკურ სფეროში – ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში ეროვნული უმცირესობების თანაბარი საკადრო წარმომადგენლობა.
- სოციალურ-ეკონომიკურში – დასაქმებულობის პრობლემების გა-დაჭრა.
- სამართლებრივში – სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება ყოფით დონეზე ნაციონალიზმის გა-მოვლინებებისათვის და ეროვნული ღირსების გრძნობის შეურაც-ხყოფისათვის.
- კულტურულ-ენობრივში – მშობლიურ ენაზე პრესის, ლიტერატურ-რის და სახელმძღვანელოთა უკმარისობის პრობლემის გადაჭრა.

ასევე რეალურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი ღონისძიებათა სისტემა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების რეგულირების სფეროში, კერძოდ:

- სისტემატიური კონფლიქტოლოგიური მონიტორინგი.
- ეროვნებათა შორის შესაძლო დაძაბულობების პრევენციისათვის ორგანიზაციული საფუძვლების შექმნა (მაგალითად, ეროვნებათა-შორისი საბჭოების შექმნის გზით).
- ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების აქტივობის მხარდაჭერა.
- ამ მოღვაწეობების იდეოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შესაბამის ღონისძიებათა სისტემის გატარება (მაგალითად, მასმედიის საშუალებებით).
- ეთნოსთაშორისი ურთიერთობების მდგომარეობა და ეთნოსთა განვითარების პრობლემები მუდმივად უნდა კონტროლირდებოდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მეშეობით.

მრავლობითი და თავისუფალი იდენტიფიკაცია

საქართველოში მცხოვრებთა საერთო მოქალაქეობრივი იდენტიფიფიკაციის ღონის გაზრდა არ ნიშნავს ასიმილაციურ პროცესს; იგი გულისხმობს მრავლობითი და თავისუფალი იდენტიფიფიკაციის შესაძლებლობას, იდენტიფიფიკაციის შემადგენელი კონფესიური, ნაციონალური და სამოქალაქო კომპონენტების გაყოფას.

თითოეულ იდენტიფიფიკაციას უნდა ჰქონდეს თავისუფალი თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა.

კომპლექსური სამოქალაქო განათლების პროგრამის შემუშავება

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების განსამტკიცებლად აუცილებელია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის კომპლექსური სამოქალაქო განათლების პროგრამის შემუშავება (სახელმწიფო ენის, კონფლიქტოლოგიის, პოლიტოლოგიის, სამართალმცოდნეობისა და სხვა დისციპლინების შესწავლის ჩათვლით). პროგრამა უნდა მოიცავდეს სამოქალაქო განათლებაში მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნას, ხსენებული პროგრამით კურსების გახსნას საშუალო

განათლების სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფო დაწესებულებების ნაწილში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ სახელმწიფო მოხელეთათვის კურსების გახსნას და, ბოლოს, სამოქალაქო განათლებაში მულტიეთნიკური რესურსცენტრების ქსელის დაარსებას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა რეგიონში.

განათლების სისტემის რეფორმა

განათლების სისტემის განვითარება და შეცვლა სკოლაში მოითხოვს შემდეგი ზომების გატარებას:

- კვალიფიციური ბილინგვისტური კადრების მომზადებას, რომლებიც თანაბრად ფლობენ ორივე ენას: რომელსაც ასწავლიან და რომელიც მოსწავლეთა მშობლიური ენაა.
- ექსპერიმენტული სკოლების გახსნა უმცირესობებისათვის, რომლებშიც ზოგად და სპეციალურ საგნებში სწავლა იქნება ქართულ ენაზე, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა.

განათლებისა და კულტურის სამინისტროები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი იმაზე, რომ ეროვნული უმცირესობებისათვის გათვალისწინებული საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამები არ ეწინააღმდეგებოდეს საერთო სახელმწიფოებრივ სასწავლო პროგრამას.

აუცილებელია მომზადდეს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოები, სადაც დაბალანსებული სახით იქნება წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობებისა და ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ამ ეტაპზე წინააღმდეგობრივი შეხედულებები ჯავახეთის, ქვემო ქართლის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და მთლიანად რეგიონის წარსულზე.

საჭიროა პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება სახელმწიფო ენის არსებული ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად. საუბარია ეფექტური სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე, აგრეთვე მართებულ ენობრივ პოლიტიკაზე, რომელიც ითვალისწინებს პრობლემატადმი კომპლექსურ მიდგომას, უზრუნველყოფს ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას დედაქალაქსა და ეთნიკური უმცირესობებით კომპლექსურად დასახლებულ რეგიონებში.

ეთნიკური უმცირესობებით კომპლექსურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის პოზიციების გაძლიერების მნიშვნელოვანი პირობა შეიძლება იყოს ისეთი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რომელთა საფუძველზე შეიქმნება ბევრი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. რაკი ქართულ ენაზე საქმიანობის წარ-

მოება ამ ობიექტებზე აამაღლებს ამ რეგიონების მოსახლეობაში სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციას.

აუცილებელია შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფები, რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ სახელმწიფო ენის შემსწავლელ სახელმწიფო პროგრამებს.

ქართული ენის სტატუსის დასაცავად აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო სექტორის ძალისხმევა და უცხოური დახმარებების მიზიდვა. სახელმწიფომ ამ მიზნით უნდა გამოიყოს გაცილებით მეტი სახსრები. სასურველია შეიქმნას პროფილირებული სასწავლო დაწესებულებები დედაქალაქში და ისეთ რეგიონებში, სადაც ჭარბობენ ეთნიკური უმცირესობები. მსგავს სასწავლებლებში უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს სხვა საგნებთან ერთად შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეისწავლონ ქართული ენა გაძლიერებული პროგრამით. მხოლოდ ასე ექნებათ ქართველ თანატოლებთან თანაბარი შესაძლებლობები მომავალი კარიერისთვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

იმისათვის, რომ გადაილახოს ქართველებსა და არაქართველებს შორის არსებული ორმხრივი სტერეოტიპები, საკმარისი არ არის სახელმწიფო ენის ათვისების და სხვა პროგრამების შემუშავება, თუ ამას არ დაემატა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტრატეგიის გაძლიერება.

გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას ინტეგრაციის პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაძლიერების თაობაზე:

- კარგი იქნებოდა, ქართული სატელევიზიო არხები გადაიცემოდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ტელევიზია არის მასობრივი ინფორმაციის ძალიან გავლენიანი საშუალება, მაგრამ ახლანდელი ტელევიზიის სტრუქტურა საჭიროებს არა მარტო დამუშავებას, არამედ ისეთი ხარისხიანი ქართულენოვანი პროგრამების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობდა უმცირესობათა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.
- აუცილებელია გაუმჯობესდეს საინფორმაციო რადიო-პროგრამების ხარისხი სახელმწიფო ენაზე.
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, აუცილებელია გამოიყოს ფინანსური მხარდაჭერა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის უმცირესობათა ენებზე გადაცემების საწარმოებლად. აგრეთვე გაუმჯობესდეს ქართულ პრე-

საში განთავსებული ინფორმაციის ხარისხი. ასევე სასურველია დახმარება გაეწიოს ბილინგვურ გაზეთებს და შემუშავდეს ქართული და არაქართული პრესის ჟურნალისტების გაცვლის პროგრამები;

- * აუცილებელია დიდი ყურადღება მიექცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნასა და მხარდაჭერას, ტელე და რადიო პროგრამების ტრანსლირებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე, რაც შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრას და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.
- * საჭიროა განსაკუთრებულად ვიზრუნოთ უმცირესობებთან მიმართებაში საინფორმაციო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. უნდა მოხდეს მოსახლეობის ისეთი ჯგუფების, როგორებიც არიან: სკოლის მასწავლებლები, თემების და ახალგაზრდების ლიდერები, სათანადო ინფორმირება აღნიშნულ საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, კერძოდ, უნდა მოხდეს იურიდიული ინფორმაციის მიღებაზე დიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

რეგიონებს შორის არსებული კომუნიკაციები

ეს საკითხი მოითხოვს არსებული რეგიონალური პროექტების განვითარებასა და ახლების შექმნას, რათა განამტკიცოს ნდობა და ეკონომიკური ურთიერთობები სახელმწიფოს მასშტაბით. უნდა განხორციელდეს კონკრეტული პროექტები უმცირესობათა რეგიონალური იზოლაციის გადასალახავად და რეგიონებს შორის კომუნიკაციების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, აუცილებელია, გადაუდებლად დაიწყოს მასობრივი კომუნიკაციების განვითარება და გზების ადგილობრივი ქსელების მშენებლობა/რემონტი იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურადაა დასახლებული.

ქართული საზოგადოებისათვის ეთნიკური უმცირესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

ქართულმა საზოგადოებამ უფრო კარგად უნდა იცოდეს საქართველოში დასახლებული ეთნიკური უმცირესობების კულტურა და მათი როლი ქვეყნის ისტორიაში. აუცილებელია შესაბამისი კუთხით გადაინიხჯოს სკოლის სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში. ასევე უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, როგორიცაა: წიგნები, სატელევიზიო გადაცემები და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანია მსგავსი სამუშაოების ჩატარება ქარ-

თულ ჯარში, რომელიც იდეაში წარმოადგენს ერის მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ინსტიტუტს საქართველოში, მაგრამ ამ ამოცანას თავს ვერ ართმევს.

სამოქალაქო პატრიოტიზმი და პოლიტიკური ლოიალობა

მრავალეროვნულმა სახელმწიფომ ყველა ეთნიკურ ჯგუფს უნდა შეუქმნას მათი კულტურისა და ენის განვითარების თანაბარი შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი ეროვნული თვითშეგნების მაღალ დონის შენარჩუნებას. შედეგად (ნაწილობრივ, როგორც მაღლიერების გამონახულება ეთნოენობრივი ტოლერანტობისათვის), მოცემულ ჯგუფებს შეიძლება გამოუქმნავდეთ ზოგადსამოქალაქო პატრიოტიზმი და სახელმწიფოსადმი ლოიალობაც.

ქალთა საკითხები

ქალთა პრობლემა, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების სამოქმედო არეალში ექცევა. გარდა იმისა, რომ ქალთა უფლებების, როგორც ასეთის, დაცვა მისასაღმებელია, უფრო ინტენსიურ კონტაქტებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჯგუფებსა და საქართველოში არსებულ ქალთა ორგანიზაციების საკმაოდ განვითარებულ ქსელს შორის, შეუძლია შექმნას კიდევ ერთი არხი ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში უმცირესობების აქტიურად ჩასართველად.

რელიგია

რელიგიური იდენტობის აღორძინების პროცესი სამოქალაქო იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მექანიზმია და ეს უნდა იქნას გათვალისწინებული შიდაპოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას.

სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოების შექმნა

აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საკანონმდებლო ორგანოების მიერ უმცირესობათა უფლებების დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების დარეგულირებისა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

ეფექტური პოლიტიკის შემუშავება

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება. მოცემული სტრატეგია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეთნიკურ ერთობათა ენის, კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიის შენარჩუნებას იმ ზომით, რომლითაც თემის წევრებს უნდათ მათი შენარჩუნება. თუმცა, უკანასკნელმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ არ არსებობს არაქართული მოსახლეობის ძალადობრივი ან ნებაყოფლობითი გზებით მასობრივი ასიმილაციის საშიშროება. საქართველოში მცხოვრები უმცირესობების შემფოთების მთავარი მიზეზი მდგომარეობს სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტისგან მათ გაუცხოებაში.

მართალია, საქართველოს ხელისუფლება არ ახორციელებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას უმცირესობათა მიმართ, მაგრამ მოცემულ პირობებში ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია შემუშავდეს მათი ინტეგრაციისათვის უფრო ეფექტური პოლიტიკა და სპეციალური მოქმედებების გეგმა.

ჩემი აზრით, გარკვეული ისტორიული პირობების არსებობისა და მრავალეროვანი სახელმწიფოს მიერ მართებული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელია როგორც უმცირესობათა ეთნიკური თვითშეგნების შენარჩუნება, ისე საერთო სახელმწიფოებრივი ლოიალობის მაღალი დონის მიღწევაც.

ჩამოთვლილი საკითხები საქართველოს ხელისუფლების, უცხოელი დონორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ეროვნებათაშორისი კონფლიქტებისა და ულტრანაციონალიზმის პროპაგანდის აღკვეთა

სახელმწიფო უნდა იღებდეს ზომებს ეთნოსთაშორისი კონფლიქტების პროპაგანდის აღსაკვეთად. ამ მიზნით აუცილებელია ჩავაზმოთ ულტრანაციონალიზმის გამოვლინებები და ხელი შევუწყოთ ინტერკულტურული განათლების, ერთა შორის ნდობის კულტურისა და ურთიერთპატივისცემის განვითარებას.

საკადრო პოლიტიკა, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებში

აუცილებელია ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტრატეგიის ფორმირება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს მისცემს შესაძლებლობას სრულუფლებიანი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ცხოვრების ყველა დონეზე.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური პროგრამები, რომელიც გამიზნული იქნება უმცირესობათა იმ ახალგაზრდების შერჩევაზე, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა, ასევე შექმნას მათთვის სპეციალური შემსწავლელი პროგრამები და დააარსოს სტიპენდიები.

რეაბილიტაცია

აუცილებელია იმ პირთა რეაბილიტაცია, რომლებიც დაზარალდნენ ეთნოკონფლიქტების დროს და მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა.

საერთაშორისო თანამეგობრობა

საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველმხრივ მხარს უნდა უჭერდეს იმ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც იღწვიან უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. თანამეგობრობამ უნდა გაააქტიუროს თავისი უშუალო მონაწილეობა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების დარეგულირების, განვითარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ტემპების დაჩქარების პროცესებში.

ეროვნულ უმცირესობათა ენებზე განათლება საქართველოში

არნოლდ სტეპანიანი
აგიტ მირზოვეი

სტატისტიკური მონაცემები

საქართველოში 141 აზერბაიჯანული სკოლაა და 8 დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სექტორი სხვა სკოლებში, 133 სომხური სკოლა და 20 დამოუკიდებელი სექტორი, 87 რუსული სკოლა და 152 დამოუკიდებელი სექტორი, 10 დამოუკიდებელი ოსური სექტორი. სულ, საქართველოში ფუნქციონირებს 361 ე.წ. არაქართული სკოლა და 190 დამოუკიდებელი სექტორი, სადაც სწავლება ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე მიმდინარეობს (აქ და შემდგომში არ არის გათვალისწინებული აფხაზეთისა და ოსეთის მონაცემები).

საერთო სიტუაცია

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იმყოფება რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში, მაინც დიდი ყურადღება ექცევა განათლებას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. ეს შეიძლება მიანიშნებდეს საქართველოში არსებულ მოქალაქეთა კულტურული და ენობრივი უფლებების პატივისცემაზე. თუმცა, არსებობს სპეციფიკური სიძნელები, რომლებიც ფუჭს ხდის ყველა იმ ძალისხმევას, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს ეროვნულ უმცირესობათა განათლების სფეროში.

სახელმძღვანელოების პრობლემა

სამუშალო განათლების სკოლების უმრავლესობა, რომლებშიც ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის ენა გამოიყენება სასწავლო ენად, სახელმძღვანელოებს იღებს სხვადასხვა ქვეყნიდან – ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის სამშობლოდან. ამ ქვეყნების განათლების პროგრამა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოში მიღებულ სტანდარტებს. პრობლემატურია ასევე საქართველოში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების ცუდი პოლიგრაფიული ხარისხი, აპრობირებული სასწავლო პროგრამების

არარსებობა იმ დაწასებულებებისათვის, სადაც უმცირესობათა ენები გამოიყენება სასწავლო ენად და მოქმედი სტრუქტურების არაეფექტურობა, რომელთაც ევალუბათ ასეთი პროგრამის განვითარება და შეფასება.

ისტორიის სახელმძღვანელოები

უმცირესობათა ენებზე მოქმედი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები არ მოიცავენ მათი ისტორიული სამშობლოს ისტორიის შესწავლას, როგორც საერთო განათლების სასწავლო პროგრამის ნაწილს. არადა, უმცირესობების მრავალი წარმომადგენელი მოითხოვს, რომ ეს საგნები შეტანილ იქნას ამ სკოლების პროგრამაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და საზოგადოება დგას დილემის წინაშე: ამ საგნების შემოტანამ სასკოლო პროგრამაში შეიძლება წინააღმდეგობა წარმოშვას ერთი სასკოლო პროგრამის ფარგლებში და ხელი შეუწყოს ინტერეთნიკური დაძაბულობის ზრდას. ისტორიული ფაქტების წარმოდგენა და ინტერპრეტაცია ამ სახელმძღვანელოებში (დაწერილი შესაბამის სახელმწიფოებში) შესაძლებელია სრულ დაპირისპირებაში მოვიდეს იმასთან, რაც დაწერილია ქართულ ისტორიის სახელმძღვანელოებში. მეორე მხრივ, მოსახლეობის ნაწილის მოთხოვნათა იგნორირებამ შეიძლება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ უკამყოფილება და ლოიალურობის ეროზია შექმნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის ისტორიული სამშობლოს ისტორია საშუალო განათლების სკოლებში ფაკულტატიურ საფუძველზე მაინც ისწავლება და სახელმწიფო სერიოზულად არ ეწინააღმდეგება ამ პრაქტიკას.

საშუალო განათლების სკოლები

განათლების ხარისხი საშუალო განათლების დაწესებულებებში, რომლებშიც ამა თუ იმ უმცირესობის ენა სასწავლოდ ენად გამოიყენება, მთლიანობაში, არ უთანასწორდება იმ სკოლებს, სადაც სასწავლო ენას საქართველოს სახელმწიფო ენა წარმოადგენს. გამომწვევ მიზეზებს ზემოთ და ქვემოთ მითითებულ პრობლემათა მთელი სპექტრი წარმოადგენს. მათ შორისაა, სახელმძღვანელოების პრობლემა (მათი არარსებობა, სიძვირე და ცუდი ხარისხი), მასწავლებელთა დეფიციტი, განსაკუთრებით, კატასტროფული უკმარისობა ქართულის მასწავლებლებისა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად არის იმის შედეგი, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა გადაინადოს მათი შრომის საფასური უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ამასთან, არარსებობა მიზანდასახული, აპრობი-

რებული სასწავლო პროგრამებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა, სადაც სწავლება იქნებოდა უმცირესობათა ენებზე, ავსებს შექმნილი უპერსპექტივობის პანორამას.

ბილინგვური განათლება

დღეისათვის საქართველოში ბილინგვური კლასების რაოდენობა საშუალო განათლების სკოლებში, რომლებშიც უმცირესობათა ენა გამოიყენება სასწავლო ენად, შემოიფარგლება მხოლოდ თავად ქართული ენის შესწავლით და – იშვიათ შემთხვევებში – საქართველოს ისტორიით. დღეისათვის, ექსპერიმენტული ბილინგვური კლასების შექმნის საკითხი, საზოგადოებაში, უფრო და უფრო აქტიურად ისმება და, თავისთავად, ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები.

მომხრეები

არსებულ იდეას მხარს უჭერენ სახელმწიფო სტრუქტურების და ქართული ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ხსენებულის შედეგად, დაიწყება ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობის სოციალურ სტრუქტურებში ინტეგრაციის (ან ასიმილაციის?) რეალური პროცესი. ამ პოლიტიკის მხარდამჭერები არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც, ძირითადად, ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ დიდ ქალაქებში შერეული მოსახლეობით და ასევე ადგილობრივი ეთნიკური ელიტების წარმომადგენლები.

მოწინააღმდეგეები

იდეის მოწინააღმდეგეები, ძირითადად, არიან ნაციონალისტური მიმართულების ძალის წარმომადგენლები, როგორც ეთნიკური უმცირესობის ისე უმრავლესობის მხრიდან. თუმცა, წინააღმდეგობის მიზეზი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნაციონალისტები ეთნიკური უმრავლესობიდან ეწინააღმდეგებიან ამ სიახლეს იმ „იმედით“, რომ შეინარჩუნებენ და უზრუნველყოფენ უპირატესობას ეთნიკური პრინციპით, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში და წახალისებენ ემიგრაციის პროცესს; ნაციონალისტები ეთნიკური უმცირესობებიდან ეწინააღმდეგებიან ზემოთხსენებულ სტრატეგიას ასიმილაციის (თუ ინტეგრაციის?) შიშით. გარდა იმისა, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანების მონაწილეობამ სახელმწიფო სტრუქტურებსა და ადგილობრივ თვითმმარ-

თველობებში შეიძლება გავლენა ოქონიოს ბილინგვური სკოლების მომავალზე, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს დღეისათვის არ გააჩნია ფინანსური და ადამიანური რესურსები მოცემული იდეის განსახორციელებლად. აგრეთვე, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ამ იდეას ხშირად ეწინააღმდეგებიან საქართველოს ეთნიკურ თემთა ხელმძღვანელები საზოგადოებში საკუთარი ადგილის დაკარგვის შიშით. პრობლემა ისაა, რომ რაიონებში, სადაც სოფლის მოსახლეობა მრავლად არის წარმოდგენილი, არსებობს ფრთხილი დამოკიდებულება მოცემული სტრატეგიის მიმართ და თემთა ლიდერებს არ სურთ საკუთარი ავტორიტეტის შერყევა არაპოპულარული პროექტებით. ობიექტური ინტერესი, წინააღმდეგობა გაუწიონ მსგავს რეფორმას, აქვთ საშუალო განათლების სკოლათა ხელმძღვანელებს, სადაც ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის ენა სასწავლო ენად გამოიყენება, და აგრეთვე ხანშიშესულ პდევოგებს, რომელთაც არ შეუძლიათ გაიარონ ხელახალი კვალიფიკაცია და, შესაბამისად, ეშინიათ საშუალო ადგილების დაკარგვისა.

სკოლამდელი განათლება

საქართველოში არ არსებობს სახელმწიფო ორგანიზაცია, სადაც შესაძლებელია ეროვნულ უმცირესობათა ენაზე განათლების მიღება, გარდა რუსულისა. შედეგად, ბავშვები, რომლებიც დადიან რუსულენოვან ბალებში, სკოლაში შესვლისას არ ფლობენ ქართულ ენას და, შესაბამისად, ბავშვებს, რომლებიც დადიან ქართულენოვან საბავშვო ბალებში, არა აქვთ შესაძლებლობა საფუძვლიანად განავითარონ ცოდნა ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის ენაზე, მაშინც კი, თუ ისინი განეკუთვნებიან მათ.

უმაღლესი განათლება

საქართველოში, უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა ეთნიკურ უმცირესობების ენებზე, სრულიათ არაადეკვატურია საშუალო განათლების სკოლათა რაოდენობისა.

დღეს ეთნიკური უმცირესობები, იღებენ რა ცოდნას მშობლიურ ენებზე, არა აქვთ შესაძლებლობა საჭირო დონეზე შეისწავლონ სახელმწიფო ენა და, ბუნებრივია, არ შეუძლიათ განაგრძონ განათლების მიღება ქართულ ენაზე. ამით ისინი, მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ამცირებენ თავიანთი სამოქალაქო გამოსადეგობის კოეფიციენტს და იზოლაციაში რჩებიან საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან.

ნათქვამის ერთ-ერთი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები, რომელთაც არა აქვთ შესაძლებლობა განათლების გაგრძელებისა, არ არიან კონკურენტუნარიანები სამუშაო ბაზარზე და შეუძლიათ მხოლოდ არაპრესტიჟული და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება. ამას მიეყვართ იქამდე, რომ ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდები ემიგრირებენ თავიანთ ისტორიულ (ეთნიკურ) სამშობლოში ან სხვა ქვეყნებში. ზოგი კი მასაში იკარგება. იქმნება გარკვეული ენობრივი ფილტრი, რომლის დახმარებითაც ხდება პრესტიჟული სოციალური ნიშების განცალკევება ეთნიკური კონტრაგენტებისაგან.

სამოქალაქო განათლება

ერთ-ერთი უმთავრესი პირობა, ეროვნულ უმცირესობათათვის საქართველოს განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, არის სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების ქონა. ინტერეთნიკურ სფეროში არსებული მრავალი სირთულე, რომელიც ანელებს ინტეგრაციულ პროცესებს და საშუალებას არ აძლევს უმცირესობებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში, გამომდინარეობს სწორედ მათი სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების დაბალი ხარისხიდან. ბევრი მათგანი არ იტვირთავს თავს სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობებით, რისი მიზეზიც, ძირითადად, საკუთარი უფლებების არცოდნა ან უნდობლობაა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, განაპირობებს თვითდისკრიმინაციას, ნაწილობრივ იზოლაციას და ეთნიკური უმცირესობების მცირე მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. პარადოქსალურია ისიც, რომ ხშირად, შედარებით აქტიურ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც კი, არ გააჩნიათ ინფორმაცია არა მხოლოდ უმცირესობათა უფლებების დაცვის ბერკეტების შესახებ, რომლებიც ჩადებულია საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, არამედ, ხანდახან საერთოდ არ იციან ნახსენები დოკუმენტების ბაზის არსებობა.

განათლების სახელმწიფო სისტემა, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები

ზემოთ ნახსენები პრობლემების გადაუჭრელობა ხშირად ხდება შედეგი შემდეგი მიზეზებისა:

- სახელმწიფოს ეფექტური პოლიტიკის არარსებობა ეთნიკურ უმცირესობათა განათლების სფეროში;

- სისტემის რეალური სიტუაციის იგნორირება;
- ხშირი შეუსაბამობა განცხადებულ მიზნებსა და საშუალებებს შორის, რაც ბაღებს გაუგებრობას სისტემის ხელმძღვანელობასა და უშუალო შემსრულებლებს შორის;
- ზოგიერთი გადაწყვეტილება მიღებული იყო მომენტის პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით და არ ითვალისწინებდა გრძელვადიან პოლიტიკურ შედეგებს;
- არასაკმარისი მეთოდური და ინფორმაციული დახმარება მშობლებს;
- ფინანსებისა და კრედიტების არამზნობრივი დანაწილება, კორუფცია განათლების სისტემის თითქმის ყველა დონეზე;
- არასაკმარისი თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან.

არასამთავრობო სექტორი

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად არ ფლობენ განათლების სისტემის რეფორმებზე ზემოქმედების ბერკეტებს. რაც შეეხება ეთნიკურ თემთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი ან არ მუშაობენ ამ სფეროში ან ზოგიერთ შემთხვევაში მხარს უჭერენ სკოლებს უმცირესობათა ენებზე იმით, რომ ეხმარებიან სახელმძღვანელოების მოპოვებაში შესაბამის ეთნიკურ სამშობლოში.

საერთაშორისო თანამეგობრობა

საერთაშორისო თანამეგობრობა, ხვდება რა სიტუაციის პრობლემატირობას, ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს რეფორმებში ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების ფინანსური მხარდაჭერის გზით. სამწუხაროდ, აქამდე ამას არ მოჰქონდა რაიმე შესამჩნევი რეზულტატი. არასამთავრობო სექტორი მათი მხედველობის არის გარეთ რჩება. შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, ეფექტური ზემოქმედება მოახდინონ განათლების სისტემის რეფორმაზე.

რეკომენდაციები

- დაჩქარდეს განათლების სისტემის რეფორმების ტემპები, განსაკუთრებით – ეთნიკურ უმცირესობათა განათლების სფეროში; მხარი

დაეჭიროს საგანმანათლებლო ინიციატივებსა და სიახლეებს; შეიქმნას პირობები, რაც უზრუნველყოფს განათლების სისტემის განვითარებას; განხორციელდეს განათლებისა და მისი სუბიექტების სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვა; მოხდეს პროგნოზირება და წინასწარი გადაწყვეტილებების მიღება.

- გაიხსნას სამოქალაქო და სამართლებრივი ცენტრები, სადაც პარალელურად მოხდება სახელმწიფო ენის შესწავლა.
- საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობებისათვის მაღალ დონეზე სახელმწიფო ენის შესწავლა.
- შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ მონიტორინგს სახელმწიფო პროგრამებზე განათლების სფეროში, მათ შორის – სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაზე.
- მიღებულ იქნას ზომები საიმისოდ, რომ განათლების ხარისხი სახელმწიფო სკოლებში, სადაც უმცირესობათა ენები სასწავლო ენად გამოიყენება, ამაღლდეს განათლების იმ ხარისხამდე, როგორც არის სკოლებში, სადაც სასწავლო ენად სახელმწიფო ენა გამოიყენება.
- იქნას გათვალისწინებული ტექნიკური, პროფესიული, საუნივერსიტეტო და უმაღლესი განათლების სხვა ფორმების შესაძლებლობა ეთნიკურ უმცირესობათა შესაბამის ენებზე.
- იმ სკოლების სასწავლო გეგმა, სადაც შეისწავლება პროფესიულ-ტექნიკური საგნები მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე, იმდგვარად უნდა იქნას შედგენილი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი სპეციალობის გამოყენება, როგორც უმცირესობის, ისე სახელმწიფო ენაზე.
- სასწავლო პროგრამების შინაარსი, რომლებიც უმცირესობებს ენება, უნდა მუშავდებოდეს შესაბამის უმცირესობათა ორგანიზაციებთან ერთად.
- დამკვიდრდეს ორენოვანი განათლება საბავშვო ბაღებში; აღმზრდელებს უნდა უტარდებოდეს კონსულტაციური დახმარება და ამაღლდეს მათი მეთოდური მომზადება.
- შეიქმნას სასწავლო პროგრამების დამუშავებისა და შეფასების სტრუქტურები იმ დაწესებულებებისათვის, სადაც უმცირესობის ენა სასწავლო ენად გამოიყენება.

- სასწავლო ორგანიზაციებისათვის – მათ შორის ბილინგვურებისთვის – ჩამოყალიბდეს სწავლების ახალი პრინციპები; სახელმწიფომ მოამზადოს ბილინგვურ სკოლათათვის მასწავლებლები, შემუშავდეს საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება ბილინგვური სწავლების ეფექტურობის შემოწმება და მოცემული პროცესის მუდმივი მონიტორინგი არასამთავრობო სექტორის მუდმივი მონაწილეობით; გაეწიოს ორგანიზება ბილინგვური განათლების შესახებ დისკუსიებსა და კვლევებს;
- მოხდეს განათლების სიტუაციის ანალიზი დამოუკიდებელი ექსპერტების, დაინტერესებული ჯგუფების და ორგანიზაციების ჩართვით;
- შემუშავდეს მასმედიასთან ერთად ინფორმირების სისტემა განათლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გასაშუქებლად;
- შეიქმნას განათლების სისტემის სტრუქტურაში ეთნიკურ უმცირესობათა განათლების სამმართველო. ამ სამმართველოს ხელმძღვანელად მინისტრმა უნდა დანიშნოს პირი, რომელიც რეკომენდირებული იქნება საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მიერ. საბჭოს წევრებს უნდა წარმოადგენდნენ სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლები. სამმართველო უნდა მუშაობდეს იმ მდგომარეობასთან შეთანხმებით, რომელსაც დაამტკიცებს განათლების სამინისტრო საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს თანხმობით.

3. **ღანართი**

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფცია

ტერმინთა განმარტება

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია გულისხმობს ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა აქტიურ და ეფექტურ ჩართვა-მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ სფეროში პოლიტიკის გატარების პირობაა სოციალური სუბიექტის ფორმირება განვითარებული სამოქალაქო თვითშეგნებით, რომელიც მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა ეფექტურად და თავისუფლად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეყნის მართვაში, მატერი-ალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში.

კონცეფციის განხორციელების პრინციპები

კონცეფციის რეალიზაცია უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებების უნივერსალობა და პრიორიტეტი;
- ანტიდისკრიმინაციული მიმართულება;
- ქართველი ერის (ასევე აფხაზების ავტონომიის ფარგლებში), მისი ენისა და კულტურის გამაერთიანებელ-მაინტეგრირებელი როლი;
- ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება;
- ეროვნული უმცირესობების უფლებათა გარანტია, ეროვნული უმცირესობების ნაციონალური კულტურისა და ენების განვითარების ხელშეწყობა;
- ინდივიდუალურად ან კოლექტიურად სარგებლობა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით;
- ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი;
- აკრძალვა მოღვაწეობისა, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოების საწინააღმდეგოდაა მიმართული ან იწვევს სოციალური, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივებას;

- საქართველოში მცხოვრები დიასპორების ხელშეწყობა მათ ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნებასა და განვითარებაში;

ინტეგრაციული პოლიტიკის მიზანია:

1) პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სფეროში:

- სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება;
- ფორმირება ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიალური მოწყობისა, რომელიც გულისხმობს საერთო სახელმწიფოებრივი და უმცირესობათა ჯგუფების სპეციფიკური ინტერესების ერთიანობას;
- სახელმწიფო სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების ყველა რგოლის, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეების ძალისხმევით გაერთიანება, რათა მიღწეულ იქნას ეროვნული თანხმობა, დაფუძნდეს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი;
- კონფლიქტების პრევენცია და გადაწყვეტა;
- სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალური პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ-კულტურული ინტერესების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას;
- მოქალაქეთა ეროვნული ღირსებისა და პატივის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, შუღლის გავლევებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება;
- ბრძოლა აგრესიული ნაციონალიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ.

2) საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია სახელმწიფოს რეგიონალურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

3) სულიერების სფეროში:

- ტოლერანტობის, ერთა მეგობრობის, ერთაშორისი თანხმობის, სამოქალაქო პატიოტოზის გრძნობის ფორმირება და კულტივირება;
- საქართველოსა და ქართველი ერის, ასევე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, ისტორიისა და კულტურის ცოდნის გავრცელება;
- საქართველოში მცხოვრები ეთნოსების ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ასევე მათი ეროვნული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შემდგომი განვითარება;

- ქართული კულტურის, ისტორიისა და ენისადმი პატივისცემის დამკვიდრება. მთლიანად საზოგადოებაში უმცირესობების კულტურული ფასეულობებისადმი პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა და საერთოდ მსოფლიო კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება;
- ქართული ენის (აფხაზურის – ავტონომიის ფარგლებში) როგორც სახელმწიფო ენის გამოყენება, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა;
- ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების გაძლიერება და სრულყოფა, როგორც ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენისადმი და კულტურისადმი ზიარების ინსტრუმენტისა, ასევე როგორც ინსტრუმენტის, რომელიც ხელს შეუწყობს თითოეული ეთნოსის კულტურისა და ენის განვითარებას.

4) საგარეო პოლიტიკის სფეროში:

- საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის ცხოვრებაში გატარება.
- ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებში მონაწილეობა, თანამშრომლობა სასაზღვრო რეგიონში კომპაქტურად დასახლებული უმცირესობების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, სასაზღვრო რეჟიმის რეგულირების ჩათვლით.
- თანამშრომლობა საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მოგვარების მიზნით.

კონცეფციის განხორციელების სტრატეგია

კონცეფცია ითვალისწინებს პრაქტიკული პრობლემების მასშტაბურობას. მასთან, შესაბამისად განისაზღვრება კონცეფციის განხორციელების რეჟიმი. აქედან გამომდინარე:

სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს უმცირესობებისათვის მინიჭებულ უფლებათა სრულ რეალიზაციას ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე (საბიუჯეტო შემოსავლების თანაფარდობა ვარირდება და თანხმდება სპეციალურად). ან არსებითად უზრუნველყოფს მინიჭებული უფლებების რეალიზაციას, რაც გულისხმობს ნაწილობრივ საბიუჯეტო და ნაწილობრივ ფინანსირების სხვა საშუალებებს. (გრანტები, შე-

მოწირულობები, ისტორიული სამშობლოს დახმარებები და ა.შ.). ან ხელს უწყობს კერძო ინიციატივას და წახალისებს მინიჭებული უფლებების რეალიზაციისათვის, ან ეწინააღმდეგება მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ხელმისაწვდომობის აკრძალვისა და შუღლედის პრაქტიკას, ან ხელს არ უშლის მინიჭებული უფლებების რეალიზაციას.

შედარებით სრულად ესა თუ ის რეჟიმი რეალიზდება იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. დისპერსიულად მცხოვრები ჯგუფების მიმართაც, რაც დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე, ასევე ხორციელდება სხვადასხვა რეჟიმი. მაგალითად, რუსულ უმცირესობას არ გააჩნია კომპაქტური დასახლებები საქართველოში, მაგრამ რიცხვობრივად ერთერთი უდიდესია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რუსული ენა ინერციით ინარჩუნებს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენის ფუნქციას, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მისი ხმარების გამოიყენება რეჟიმი, რომელიც ეწინააღმდეგება აკრძალვისა და შუღლედის პრაქტიკას.

ძირითადი მიმართულება:

განათლების სისტემაში:

1. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას (აფხაზურისას – ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე), როგორც სახელმწიფო ენისას სახელმწიფოს ყველა სასწავლო დაწესებულებაში, იმ პერსპექტივით, რომ გაიზრდება ქართულ ენაზე (აფხაზურზე – ავტონომიაში) სწავლების საგნების რაოდენობა როგორც არაქართულ ასევე არააფხაზურ სკოლებში ავტონომიის ფარგლებში.

კერძო სასწავლო დაწესებულების, რომელიც ეროვნული უმცირესობის ენაზე ხორციელდება, ლიცენზირების პირობა იქნება ქართული ენის სწავლების უზრუნველყოფა, იმ პროგრამების შესაბამისად რაც დამტკიცებული საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) და აფხაზურისა ავტონომიის ფარგლებში.

სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს მოზრდილთათვის ქართული და აფხაზური ენების კურსების შექმნას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც განათლების სისტემის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს პირობებს აფხაზური ენისა და ლიტერატურის, როგორც ცალკე საგნის სწავლებისათვის, შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო არსებითად უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს და წაახალისებს კერძო ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება აფხაზური ენისა და ლიტერატურის შესწავლისაკენ ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, როგორც სამუშალო, სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების შემადგენელი ან ფაკულტატიური ნაწილი. ეს ზომები გამოიყენება იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლები ითხოვენ სწავლებას და მოსწავლეთა რაოდენობა არის საკმარისი.

2. უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებების რაიონებში სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას, ასევე სრულად უზრუნველყოფს უმცირესობების არსებული ნაციონალური სკოლების ფუნქციონირებას მათი კომპაქტური დასახლებების ფარგლებს გარეთ.

ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელს უწყობს და წაახალისებს კერძო ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლამდელი, დაწყებითი, სამუშალო, სამუშალო-პროფესიული განათლების მიღებას მშობლიურ ენაზე (მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლა სასწავლო პროგრამების ჩარჩოებში ან ფაკულტატიურ საფუძველზე). ეს ზომები გამოიყენება იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლები ითხოვენ სწავლებას და მოსწავლეთა რაოდენობა არის საკმარისი.

3. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ზოგიერთი სახეობის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული სექტორი პედაგოგიურ უნივერსიტეტში);

სრულად უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ენისა და ისტორიის, მათი კულტურის, როგორც ცალკე საგნის სწავლებას შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში. არსებითად უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს და წაახალისებს კერძო ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ენისა და ისტორიის, კულტურის როგორც ცალკე საგნის ან ფაკულტატიურის სწავლებას. ეს ზომები გამოიყენება იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლები ითხოვენ სწავლებას და მოსწავლეთა რაოდენობა არის საკმარისი.

4. რაც შეეხება რუსულ ენაზე სწავლებას, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოსწავლეთა კონტიგენტის საკმარისი რაოდენობის არსებობისას სრულად უზრუნველყოფს სკოლამდელი, დაწყებითი, სამუშალო, სამუშალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, არსებითად უზრუნველყოფს

მისი, როგორც უცხო ენის, სწავლებას არარეალურ სასწავლო დაწესებულებებში ყველა დონეზე.

5. სახელმწიფო უზრუნველყოფს „სრულად უზრუნველყოფს“ რეჟიმის განხორციელებისათვის მასწავლებელთა მომზადებასა და გადამზადებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები:

1. სახელმწიფო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ავტონომიისა და დამოუკიდებლობის პრინციპებისადმი ზიანის მიყენების გარეშე სრულად უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ოფიციალური ორგანოების ფუნქციონირებას ქართულ ენაზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აფხაზურ ენაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში.
2. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ცენტრალური და რეგიონალური ტელე-რადიო მაუწყებლობის სტრუქტურებში ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე რეგულარული პროგრამების გაშვებას.
3. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს პირობებს როგორც სახელმწიფო, ასევე ეროვნული უმცირესობების ენაზე იმ რაიონების საზღვრებში, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ ოფიციალური ადგილობრივი ტელე-რადიო მაუწყებლობისათვის.
4. სახელმწიფო იმ პირობებით, რასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა, ხელს უწყობს და წახალისებს ეროვნული უმცირესობების ენებზე კერძო ტელევიზიებისა და რადიოსადგურების შექმნის ინიციატივას. ასევე აუდიო და ვიდეო პროდუქციის შექმნასა და გავრცელებას.
5. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ცენტრალური ოფიციალური გაზეთების რეგულარულ გამოშვებასა და გავრცელებას ეროვნული უმცირესობების ენებზე.
6. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოების გამოცემასა და გავრცელებას როგორც სახელმწიფო, ასევე ეროვნული უმცირესობების ენაზე მათ მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. ქმნის პირობებს ადგილებზე ბეჭდვითი ორგანოების გამოცემისა და გავრცელებისათვის.
7. სახელმწიფო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ხელს არ უშლის უმცირესობების ენებზე კერძო გაზეთების გამოშვებასა და გავრცელებას.
8. სახელმწიფო ხელს არ უშლის, რომ მეზობელი ქვეყნებიდან მიღებულ იქნას ტელე-რადიო გადაცემები იმ ენაზე, რომელიც იდენტურია სა-

ქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენებისა და ხელს არ უშლის ამ გადაცემების რეტრანსლირებას, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

კულტურული ღონისძიებები და მათი უზრუნველყოფის სამუშაოები:

1. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული და აფხაზური კულტურების მიღწევებისადმი ხელმისაწვდომობას.
2. სახელმწიფო არსებითად უზრუნველყოფს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით ეროვნული უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მათი ხალხური შემოქმედების განვითარებას.

არსებითად უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს და ახალისებს ბიბლიოთეკების, ვიდეოთეკების, კულტურული ცენტრების, მუზეუმების, არქივების, თეატრებისა და კინოთეატრების, ასევე ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინოპროდუქციის, ხალხური შემოქმედების, ფესტივალების, ხალხური რეწვის შენახვასა და განვითარებას.

3. სახელმწიფო თავის თავზე იღებს ეროვნული უმცირესობების კულტურული და ისტორიული ძეგლების შენახვის პასუხისმგებლობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

სახელმწიფოთაშორისი გაცვლები:

ეროვნული უმცირესობების უფლებათა რეალიზაციის მიზნით სახელმწიფო დებს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს კულტურის, განათლების, ინფორმაციის სფეროში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის ისტორიულ სამშობლოს. სახელმწიფო ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებისა და რაიონების ხელისუფლების თანამშრომლობას.

ეკონომიკური ცხოვრება:

სახელმწიფო რეგიონალური პოლიტიკის ჩარჩოებში (კერძოდ, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშიც) ქმნის პირობებს:

1. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრებისათვის.
2. შრომის ტერიტორიული დანაწილებისა და რეგიონებს შორის წარმოების კოოპერაციის უპირატესობის გამოყენებისათვის.
3. სპეციალური ღონისძიებების გატარებისათვის, რათა დასაქმების უზრუნველსაყოფა მოხდეს იმ რეგიონებში, სადაც მკვეთრად იგრძნობა სამუშაო ადგილების დეფიციტი.
4. მცირე და საშუალო ბიზნესის სპეციალური პროგრამების განხორციელებისათვის.
5. ინვესტიციების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებების მოსაზიდად ხელს უწყობს და წახალისებს მეწარმეთა და ფერმერთა ასოციაციების, გაერთიანებების და კოოპერაციის სხვა ფორმების განხორციელებას, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირების შექმნას. (მაგ.: საირიგაციო სისტემების, მექანიზაციის საშუალებების განვითარებისათვის).
6. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის ბაზებზე მომუშავე მოსახლეობის დასაქმებას ამ ბაზების გაყვანის პროცესის პარალელურად. სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სახელმწიფო არსებითად უზრუნველყოფს რუსეთის ბაზებზე დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეთათვის სამუშაო ადგილების შექმნას, მათ ჩაბმას მცირე და საშუალო ბიზნესში; ასევე ხელს უწყობს და წახალისებს საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორთა ძალისხმევას ამ მიმართულებით.
7. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უმნიშვნელოვანესი მეგა-პროექტები, რომლებიც ხორციელდება საქართველოში (მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანა) უშუალოდ იქნება რეალიზებული ეროვნული უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობაში სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო პოტენციალის ზრდას.

ეკონომიკურ სფეროში ასევე უზრუნველყოფილია:

ქართული ენის ხმარება, აფხაზურისა ავტონომიის ფარგლებში, ყველა დოკუმენტაციაში, რომელიც ეხება ეკონომიკურ სფეროს და რომელზეც ვრცელდება სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი.

სახელმწიფო ასევე ეწინააღმდეგება ისეთ პრაქტიკას, რომლის მიზანია ხელის შეშლა არაქართული ენის ხმარებისას შიდა მოხმარების დოკუმენ-

ტაციებში, რომლებიც ეხება მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობას და კომერციულ პრაქტიკას და რომლებზეც არ ვრცელდება სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი. აუცილებლობის შემთხვევაში დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

სახელმწიფო ასევე გამორიცხავს აკრძალვას, რომ გამოყენებულ იქნას არაქართული (არა აფხაზური – ავტონომიის ფარგლებში) ენა დოკუმენტებში, რომელიც შეეხება ქირავნობის ხელშეკრულებებს, ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქციებს. აუცილებლობის შემთხვევაში დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

საზოგადოებრივი ცხოვრება, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათვისტომოების, ასოციაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნის უფლებას. ამ დაწესებულებებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების და სარგებლობენ სახელმწიფოს მხარდაჭერით.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები როგორც ინდივიდუალურად, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით სარგებლობენ უფლებით, რომ დაამყარონ კონტაქტები ერთმანეთთან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მშობლიურ ენაზე, ასევე ქვეყნის გარეთ – როგორც მათ ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ მოქალაქეებთან და იქ არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე სხვა ქვეყნებში.

ცენტრალური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურებთან ხელისუფლება ქმნის საბჭოებს, რომლებშიც შედიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები და კონსულტაციას უწევენ ამ ორგანოებს, ეროვნული უმცირესობების პრობლემების საკითხებთან დაკავშირებით. მათ გააჩნიათ აგრეთვე სათათბირო ორგანოს ფუნქცია.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სტრუქტურებში იქმნება ქვედანაყოფები, რომელნიც უძღვებიან ეროვნული უმცირესობების პრობლემებს, სადაც უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა გარანტირებულია.

ეროვნული უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში საჯაროობის საფუძველზე ვითარდება და სრულყოფილდება ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის დაგეგ-

მის სფეროში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ გადაწყვეტილების იმპლემენტაციაში.

ვითარდება და იქმნება დისპერსიულად მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლობითი არატერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები, რათა უზრუნველყონ ქვეყნის მართვაში თავიანთი წარმომადგენლების ეფექტური ჩართვა.

სასამართლო სისტემის ორგანოებში:

1. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ქართული ენის გამოყენებას სასამართლოს წარმოების ენის რანგში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (აფხაზურისას – აფხაზეთის ავტონომიის ტერიტორიაზე).

ამასთან ერთად

2. სახელმწიფო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთერთი მხარის თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს თარჯიმანის მომსახურებას.

ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო სამსახური

1. სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს ქართული ენის გამოყენებას მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში და სახელმწიფო სამსახურში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (აფხაზურისას – ავტონომიის ფარგლებში). ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მთელი საქმისწარმოება ადგილობრივ მმართველობასთან და თვითმმართველობასთან სორციელდება ქართულ ენაზე.

ამასთან ერთად:

2. სახელმწიფო არ ეწინააღმდეგება იმ პრაქტიკას, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოყენებულ იქნას უმცირესობათა ენა ვერბალური ურთიერთობების დროს.

რეგიონალურ დონეზე უზრუნველყოფილი იყოს იმ თანამშრომელთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელთაც ეცოდინება უმცირესობების ენა, რათა იყოს საშუალება უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა.

ასევე არ უქმნის წინააღმდეგობას უმცირესობების წარმომადგენლებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან საუბრისას, ასევე ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გამოყენებულ იქნას მოსაუბრეთათვის გასაგები ენა.

3. სახელმწიფო, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში არ ქმნის წინააღმდეგობებს, რათა გამოყენებულ იქნას უმცირესობათა ენა წარმომადგენლობით ორგანოების სესიებში დებატების დროს. ამასთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნას სესიაზე მიღებული დოკუმენტების სახელმწიფო ენაზე თარგმნა, ისევე როგორც დებატების მიმდინარეობის დროს დებატების შინაარსისა იმ პირობათვის ვინც არ იცის უმცირესობის ენა.
4. სახელმწიფო მასმედიის ოფიციალური ორგანოების საშუალებით სრულად უზრუნველყოფს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას უმცირესობათა ენებზე, მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.

საქართველოს მოქალაქის სახელის, მამის სახელის და გვარის დაწერა. ტოპონიმების ენა. სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოების და ა.შ. სახელწოდებების ენა. საინფორმაციო ჩანაწერების ენა.

1. ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს ისარგებლოს თავისი გვარით, სახელით (მამის სახელით) მშობლიურ ენაზე და ამასთანავე ის ოფიციალურად იქნას ცნობილი არსებული სამართლებრივი სისტემის პირობების შესაბამისად.
2. ტოპონიმები იქმნება და აღინიშნება სახელმწიფო ენაზე.
3. სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოების და ა.შ. ოფიციალური სახელწოდებები იქმნება და აღინიშნება სახელმწიფო ენაზე, ასევე უმცირესობების ენებზე იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ უმცირესობათა წარმომადგენლები. კერძო დაწესებულებებს უფლება აქვს თავის დასახლებებში გამოიყენონ უმცირესობათა ენები ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა სახელმწიფო ენაზე იმავე წარწერის არსებობა აუცილებელია.
4. განცხადებების, შეტყობინების, პლაკატების, აბრების, აფიშების ტექსტები და სხვა ვიზუალური ინფორმაცია, განუთვნილი საზოგადოებრივი მოხმარებისათვის, სრულდება სახელმწიფო ენაზე და შესაძლებელია თან ახლდეს თარგმანი უმცირესობების ენებზე მათ მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში.

აღნიშნული კონცეფცია ხორციელდება საკანონმდებლო აქტების შექმნის საშუალებით, მოქმედ კანონმდებლობაში დამატებებისა და ცვლილე-

ბების შეტანის საფუძველზე, ასევე სახელმწიფო პროგრამების, დადგენილებების, განკარგულებების, ბრძანებულების, ბრძანების და სხვა საშუალებებით. განხორციელების ერთერთ პირობას წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარება.

კონცეფციიდან გამომდინარე აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საქართველოს პარლამენტთან ერთად მოცემული დებულებების განსახორციელებლად შეიმუშავოს 2003 წლის 1 მაისამდე შემდეგი სახელმწიფო პროგრამები:

1. სახელმწიფო ენის დამკვიდრებისა და განვითარების პროგრამა.
2. რუსეთის ჯარების გაყვანის პარალელურ ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც გულისხმობს რუსეთის სამხედრო ბაზებზე მომუშავე პირთა დასაქმებას და მათ მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართვას.
3. სახელმწიფო პროგრამა სამოქალაქო განათლების ცენტრების ქსელის შესაქმნელად.
4. სახელმწიფო პროგრამა ინტეგრაციის პრობლემატიკაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის განვითარებისათვის.
5. სახელმწიფო პროგრამა საქართველოს კულტურის, საქართველოში მცხოვრები ხალხების კულტურის მიღწევების პოპულარიზაციაზე მომუშავე ცენტრების შექმნისათვის.

განმარტებითი ბარათი

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფციის პროექტზე

საქართველოში მწვავედ დგას ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემა. განსაკუთრებით აქტუალურია ამ მხრივ სიტუაცია მათ მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში. შეიძინევა ეროვნული უმცირესობების ჯგუფების არასაკმარისი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, ეკონომიკურ, სოციალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა. შ.

უმცირესობათა ინტეგრაცია უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. უამრავი უცხო ექსპერტების შეფასებით საქართველოში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება აუცილებელ სტანდარტებს. ამავე დროს სფეროში გარკვეული სირთულებები წამოიჭრა, რომლებიც ასახავენ საერთო სიტუაციას უმცირესობათა საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველო მიერთებულია მეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციასთან. მაგრამ, ჯერჯერობით არ ხდება ამ დოკუმენტის რატიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ევროკავშირში შესვლისას აიღო ვალდებულება მიეღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

რატომ ხდება ეს?

ჩვენი პოზიციაა აღებული ვალდებულების ბოლომდე გატარება, მაგრამ გარკვეული სირთულებები არსებობს. უპირველეს ყოვლისა საქართველო წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას იმ მხრივ, რომ მის ტერიტორიაზე ცხოვრობს უამრავი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავისი რაოდენობით, ისე დასახლების ტიპებით (კომპაქტური და დისპერსიული), სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მიმდევრები არიან და საქართველოში მათი მიგრაციის ისტორია და გეოგრაფია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თვითონ ეს ჯგუფებიც შინაგანადაც არ არიან ჰომოგენური. მაგალითად, სომხური უმცირესობა, ჯავანეთის სომხები საქართველოში ჩამოსახლდნენ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, იმ დროს როდესაც საქართველო ითვლებოდა რუსული იმპერიის ნაწილად, ხოლო შიდა ქართლში და კახეთში მცხოვრები სომხები საქართველოში ცხოვრობდნენ ბევრად მეტი ხნის მანძილზე და ამი-

ტომაც ესენი უფრო მეტად არიან ინტეგრირებული. მაგალითად, იგივე ითქმის ბერძნულ დიასპორაზეც, ქურთულ დიასპორას აქვს თვითიღნუგ-ფიკაციის პრობლემა, ნაწილი თავს თვლის ქურთებად ნაწილი იეზიდებად.

ანუ, ჩვენ გვაქვს საქმე ძალზე რთულ და უამრავ პრობლემასთან, რაც აგრეთვე გამოიხატა იმაში, რომ ჩვენს საკანონმდებლო პრაქტიკაში არ არის გამომუშავებული ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფების ღეფინიცია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უმცირესობების პრობლემების განხილვა არაჯანსაღ აჟიოტაჟს იწვევს ხოლმე. ეს იყო როდესაც განიხილებოდა კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ, კანონპროექტი ეროვნული უმცირესობების შესახებ და სხვა. თვითონ ეროვნულ უმცირესობებში არ არის ჯრთა ერთიანობა. რიგი გავლენიანი ორგანიზაციების პოზიცია ის არის რომ, ამოღებულ იქნას ნორმატიული აქტებიდან ცნება ეროვნული უმცირესობა, რადგანაც ამ ცნებაში დისკრიმინაციის ელემენტებს ხედავენ.

ჩვენი მიდგომა ისაა, რომ უნდა განვითარდეს საკანონმდებლო პროცესი ამ სფეროში, ამავე დროს უფრო ინტენსიური უნდა გახდეს მიზნობრივ-პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისკენ. ამ მხრივ დახმარებას ველით საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან. ჩვენს კომიტეტში მუშავდება კანონპროექტები, რომლის მიზანი არის იმპულსი მისცეს კონკრეტული პროგრამების შედგენას და რეალიზაციას. კერძოდ: სახელმწიფო ენის დამკვიდრებისა და განვითარების პროგრამა; რუსეთის ჯარების გაყვანის პარალელურ ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც გულისხმობს რუსეთის სამხედრო ბაზებზე მომუშავე პირთა დასაქმებას და მათ მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართვას და სხვა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისათვის მზადდება როგორც პრაქტიკული ასევე საკანონმდებლო პირობები. მაგრამ ამ პროცესს წინ უნდა უსწრებდეს პრობლემების კონცეფტუალური გააზრება. პრობლემების კონცეპტუალურ მიდგომა ხელს უწყობს იმას, რომ პრაქტიკული და საკანონმდებლო საქმიანობა მიზანდასახულ და სისტემატიურ ხასიათს იძენს. კონცეფციის წარმოდგენილი ვერსია არ არის საბოლოო. მისი განხილვის პროცესი გრძელდება და მასში მონაწილეობს სწავლების სხვა და სვა ფუნქციის წარმომადგენლები.

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია გულისხმობს ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა აქტიურ და ეფექტურ ჩართვა-მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ სფეროში პოლიტიკის გატარების პირობაა სოციალური სუბიექტის ფორმირება განვითარებული სამოქალაქო თვითშეგნებით, რომელიც მიუ-

ხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა ეფექტურად და თავისუფლად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეყნის მართვაში, მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში.

ინტეგრაციის პოლიტიკის მიზანია სამოქალაქო დემოკრატიული საზოგადოების ფორმირება; ფორმირება ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიალური მოწყობისა, რომელიც გულისხმობს საერთო სახელმწიფოებრივი და უმცირესობათა ჯგუფების სპეციფიკური ინტერესების ერთიანობას.

კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ქართული ენის სწავლების უზრუნველყოფაზე, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის აუცილებელ ნაწილზე, რადგანაც სწორედ ეს პრობლემა გვეკვლინება ხშირად უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სრულყოფილ მონაწილეობისათვის საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამავე დროს ზრუნვა არ უნდა მოაკლდეს იმ 350-ზე მეტ არაქართულ სკოლას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის დიდ მონაპოვარს წარმოადგენს.

კონცეფციის განხორციელების მნიშვნელოვან პირობად მიჩნეულია ქართველი ერის (ასევე აფხაზების ავტონომიის ფარგლებში), მისი ენისა და კულტურის გამაერთიანებელ-მაინტეგრირებელი როლი. ეროვნული უმცირესობების უფლებათა გარანტია, ეროვნული უმცირესობების ნაციონალური კულტურისა და ენების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

საერთოდ, კონცეფციის მიზანი მინიმუმია შეინარჩუნოს ეროვნული უმცირესობათა უფლებების რეალიზაციის არსებული დონე, რათა შემდგომში უფრო გააძლიეროს მიღწევები და აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებები.

კონცეფცია ითვალისწინებს პრაქტიკული პრობლემების მასშტაბურობას. ამასთან შესაბამისად განისაზღვრება კონცეფციის განხორციელების რეჟიმი. აქედან გამომდინარე:

სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს უმცირესობებისათვის მინიჭებულ უფლებათა სრულ რეალიზაციას ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე (საბიუჯეტო შემოსავლების თანაფარდობა ვარირდება და თანხმდება სპეციალურად). ან არსებითად უზრუნველყოფს მინიჭებული უფლებების რეალიზაციას, რაც გულისხმობს ნაწილობრივ საბიუ-

ჯეტო და ნაწილობრივ ფინანსირების სხვა საშუალებებს. (გრანტები, შემოწირულობები, ისტორიული სამშობლოს დახმარებები და ა.შ.). ან ხელს უწყობს და წახალისებს მინიჭებული უფლებების რეალიზაციის კერძო ინიციატივას. ან ეწინააღმდეგება მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ხელმისაწვდომობის აკრძალვისა და შეზღუდვის პრაქტიკას, ან ხელს არ უშლის მინიჭებული უფლებების რეალიზაციას.

შედარებით სრულად ესა თუ ის რეჟიმი რეალიზდება იმ რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. დისპერსიულად მცხოვრები ჯგუფების მიმართაც, რაც დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე, ასევე ხორციელდება სხვადასხვა რეჟიმი.

აღწერილია აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების გზები ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა განათლების სისტემა, კულტურა, მასმედია, საერთარისო კავშირები, ეკონომიკური ცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრება, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა, სასამართლო სისტემის ორგანოები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დებულებებს, რომელიც ეხება ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო სამსახურის ენას.

კონცეფცია ხორციელდება საკანონმდებლო აქტების შექმნის, მოქმედ კანონმდებლობაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის საფუძველზე, ასევე სახელმწიფო პროგრამების, დადგენილებების, განკარგულებების, ბრძანებულების და სხვ. მეშვეობით.

CIPDD-ის ბიბლიოთეკა

1. შარლ ლუი მონტესკიე. *კანონთა გონი*, 1994, 864 გვ.
2. *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციებზე* (ს. ფრანკი, ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი), 1994, 240 გვ.
3. *დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები*, 1994, 48 გვ.
4. Мераб Мамардашвили. *Классический и неклассический идеалы рациональности*, 1994, 96 გვ.
5. *ჭკუა ვაისაგან*, 1995, 160 გვ.
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
6. ვია ნოდია. *საით?* (პოლიტიკური პუბლიცისტიკა), 1995, 208 გვ.
7. *Грузия. Данные о вооруженных силах* (материалы русской разведки 1921 г.), 1995, 48 გვ.
8. ვაცლავ ჰაველი. *ძალა უძალოთა*, 1995, 96 გვ.
9. *საზოგადოება და პოლიტიკა I*, 1996, 272 გვ.
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
10. მოშე დაიანი. *ცხოვრება ბიბლიით*, 1996, 136 გვ.
11. ჟან ჟაკ რუსო. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება*, 1997, 152 გვ.
12. იოჰან ჰაინინგა. *Homo Ludens*, 1997, 260 გვ.
(ნაშრომი კულტუროლოგიაში)
13. მერაბ მამარდაშვილი. *ღუქციები ფსიქოანალიზის შესახებ*, 1998, 64 გვ.
14. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა* (ცნობარი), 1998, 280 გვ.
15. დავით ლოსაბერიძე. *თვითმმართველობა საქართველოში*, 1998, 131 გვ.
16. ფრენსის ფუკუიამა. *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი*, 1999, 400 გვ.

17. ვია ნოდია. *კონფლიქტი აფხაზეთში – მიზეზები და გააზრება*, 1999, 74 გვ.
18. *საზოგადოება და პოლიტიკა II*, 1999, 236 გვ.
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
19. *საზოგადოება და პოლიტიკა III*, 2000, 232 გვ.
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
20. *სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოს მაკალითზე*, 2000, 290 გვ.
21. ედვარდ ჰელეტ კარი. *რა არის ისტორია?*, 2001, 144 გვ.
22. *საზოგადოება და პოლიტიკა IV*, 2002, 288 გვ.
23. ქ. ს. ლუისი. *უბრალოდ ქრისტიანობა*, 2002, 200 გვ.
24. *მუშაობა კონფლიქტზე: უნარ-ჩვევები და სტრატეგიები* (სახელმძღვანელო), 2002, 224 გვ.
25. Ф. Куне. *НАТО и Южный Кавказ*, 2003, 116 გვ.